საერთო გაზეთი

№28 (384) • 3 აგვისტო, 2016 წ.• ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

გიორგი კვირიკაშვილი: ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ქვეყანაში ნებისმიერი საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და მშვიდობის შენარჩუნებაა

ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა, ანუ ორნი და კიდევ ერთი...

პროვოკაციული შეჭრა რომ არა, აფხაზებს ქართველების გამოდევნა აფხაზეთიდან არასოდეს მოუვიდოდათ აზრად

მთავარი საფრთხე

NDI-ს სიგნალი დაპიპინებულებს და აჟიმჟიმებულებს

დატოვებს თუ არა უჩა ნანუაშვილი თანამდებობას?

„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ თურქები“, ანუ სად ვეძებოთ ქვეყნის დასანგრევად მზადმყოფი მეხუთე კოლონა?

რატომ დასჭირდა 5 თვე და 5 დღე იმ დამნაშავის გამოაშკარავებას, რომელიც გამოძიების ცხვირწინ ტრიალებდა



BLACK SEA ARENA

გურია კავკასიის მუსიკალური ცენტრი ხდება

„ნაციონალებს“ სამშობლო არ აქვთ და სამშობლოს ღალატში როგორ დავადანაშაულო?

გზებზე იმდენი ახალგაზრდა გვეღუპება, რომ ხანდახან თავი ომში მგონია

თუ ეკოლოგიური პრობლემები არ მოგვარდება, მძიმე დაავადებები კატასტროფულად გაიზრდება

მიწიერი სამოთხე, რომელიც შეიძლება ჯოჯოხეთზე უარესი იყოს...

კლინტონის ოჯახის საიდუმლოებები: ბილმა ამაზე ილაპარაკა

ოსმანთა იმპერიის სულთანთა ქართველი დედები

BLACK SEA ARENA

გურია კავკასიის მუსიკალური ცენტრი ხდება

მომეჩვენა, რომ ლანჩხუთიდან კარგა მანძილი ვიარეთ.

გადახასხასებულ ტრასას ტყე და ბუჩქნარი აკრავს და მოულოდნელად, ჩემი მშობლიური გურიისთვის დამახასიათებელ აპირველყოფილ სიმწვანესა და სილაჟვარდეში ამოიმართება შავი ზღვის არენის გრანდიოზული საკონცერტო დარბაზი, ის შენობა, ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფოს „ტვირთად რომ აჰკიდა“...

30 ივლისს Black Sea Arena გაიხსნა.

იმ ულამაზესი სანახაობის, რაც კრისტინა აგილერამ წარმოადგინა და ბათუმელი არაჩვეულებრივი მომღერლების მართლაც სიმბოლური სიმღერის გარდა, უდიდეს შთაბეჭდილებას ქმნის Black Sea Arena მართლაც პირველყოფილი სილამაზის გარემოში, შეკვეთილში.

პალმებითა და შადრევნებით მორთული Black Sea Arena-ს ეზო, შენობის ფასადი და თანამედროვე ტექნოლოგიებით სრულად უზრუნველყოფილი მთელი ეს გრანდიოზული სტრუქტურა გურიას და კერძოდ, შეკვეთილს არა მხოლოდ საქართველოსთვის, მეზობელი ქვეყნებისთვის და მთელი მსოფლიოსთვისაც მნიშვნელოვანს ხდის.

როგორც კი ფეხი დავდგით შეკვეთილის მიწაზე, მაშინვე პრესისთვის განკუთვნილ კუთხეს მივაშურეთ. რეგისტრაციის გავლის შემდეგ „არენას“ ეზოში აღმოვჩნდით. ამდენი ხალხი შეკვეთილს, ალბათ, დიდი ხანია, არ ენახა...

კონცერტი ცოტა მოგვიანებით დაიწყო და დარბაზი ისე გადაიჭედა, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ბილეთის ფასი 40-100 ლარამდე იყო და, ალბათ, ამიტომაც, უნდა ვთქვა, გამიკვირდა, შეკვეთილში იმ დღეს უამრავი, წარმოიდგინეთ და, ექსტრავაგანტურად ჩაცმული ქალბატონი და მამაკაცი ვნახე კონცერტზე დასასწრებად მოსული. გურულებს უყვართ ყველაფერი უცხო...

კრისტინა აგილერას სტუმრობის ხარჯები საქართველოს ექს-პრემიერმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა სრულად დააფინანსა და კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად საქართველოს ბიუჯეტში გადაირიცხა.

ოპონენტები ხმის ჩახლეჩვამდე რომ გვიკიჟინებენ – რა დროს კონცერტებია, ხალხი შიმშილით იხოცებაო. თუ დარბაზი, კულტურული და სხვა მასშტაბური ტიპის ღონისძიებების ჩასატარებელი ადგილები არ იქნება პერიფერიებშიც, ხალხმა ყველამ რომ მოიყაროს თავი თბილისში და გლეხებმა სოფლის კლუბში დიაფილმებს უყურონ, ეს ჩვენს მომავალს ნამდვილად არ წაადგება.

არენას სიახლოვეს რამდენიმე ე. წ. „ბუნგალოს“ ტიპის კაფე და რესტორანიც არის.

კონცერტამდე ერთ ასეთ „ბუნგალოში“ ყავა მოვითხოვე.

– კიდო რამე ხომ არ გნებავთ? – მეკითხება გურული მიმტანი და მე, როგორც გურული ვხვდები: მიმტანი „კიდო რამეში“ შოკოლადს გულისხმობს...

– ყველაზა კაია ამ დარბაზის აშენება, გამოცოცხლდა აქაურობა, ჰლიაჟსაც უფრო უარს (უვლის – ი. კ.) ხალხი, ოჯახებშიც ჩამოდიან უკვე დამსვენებლები, უცხოელებიც ბევრი არიენ, – მიყვება ქეთინო, რომელიც შეკვეთილის მკვიდრია და „ბუნგალოში“ მიმტანად მუშაობს.

ვბრუნდები დარბაზში, სადაც ჟურნალისტებისთვის უფასოდ განსაზღვრულ სასმელებსა და ბუტერბროდებს გვთავაზობენ ულამაზესი აჭარელი და გურული გოგონები, დარბაზის მომსახურე კომპანიის სტუდენტი თანამშრომლები. აი, ესეც ერთ-ერთია – **ანა შაქარიშვილი,** ქობულეთელი გოგონა, რომელიც ძალიან კმაყოფილია, რომ ამ ზაფხულს ყველა ღონისძიებას დაესწრება Black Sea Arena-ში.

კონცერტამდე ფეხზე დასადგომი ბილეთებიც იყიდება და ამდენი ხალხის მიუხედავად, პოლიციის ოპერატიული, პროფესიონალური რეაგირებები მაოცებს.

კონცერტი დამთავრდა.

თბილისისკენ მოვდივართ. წვიმის თქეში აწყდება ჩვენი მძღოლის – რომას მანქანის მინებს.

მოვდივართ და მახსენდება სახარებისეული იგავი:

მდიდარმა უპოვართაგან ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს – ორი და უთხრა: – გარკვეული დროის მერე მოვალ და უკან დამიბრუნეთ, მანამდე როგორც გინდათ, ეს ფული ისე მოიხმარეთო.

ის, ვისაც ხუთი ტალანტი მისცა, წავიდა, ფული საქმეში ჩადო და ამ ფულით მოგება ნახა.

ორი ტალანტის მფლობელმა კი იფიქრა: მდიდარი მკაცრი კაცია, როცა მოვა, თუ ეს ორი ტალანტი არ მექნება, შეიძლება დამსაჯოსო. აიღო ფული და კარგად შეინახა – რომ მოიკითხავს, მივცემო.

მდიდარი რომ დაბრუნდა, ხუთი ტალანტის მფლობელმა ორჯერ მეტი მოგებით დაუბრუნა სარგებელი, ორი ტალანტის მფლობელმა კი კვლავ ორი ტალანტი დაუბრუნა.

მდიდარი ადგა, წაართვა იმ ორი ტალანტის პატრონს ის ფული და ისიც 5 ტალანტის პატრონს მისცა, ორი ტალანტის მფლობელს მაინც არ შეუძლია მოხმარებაო.

უსასყიდლოდ, საკუთარი ფულით აშენებული შენობები, ობიექტები, დაფინანსებული პროექტები, დახმარებები გაჭირვებულებისთვის, უპატრონო ოჯახებისთვის, უკურნებელი დაავადებებით დასნეულებულთათვის, ომებში დაჭრილ ჯარისკაცთა მკურნალობისთვის გაწეული დიდძალი ფულადი დახმარებებისთვის ბიძინა ივანიშვილი მადლობასაც არ ითხოვს ჩვენგან და ეს სიკეთეები, ხალხო, სიკეთეში მაინც მოვიხმაროთ, ისიც რომ არ წაგვერთვას, რაც განგებამ ბიძინა ივანიშვილის ხელით შემოგვაშველა – მიდით, იყოჩაღეთ, ქართველებო, აშენდით და აყვავდითო...

მხოლოდ კონცერტი მართლა ვერ უშველის ჩვენს ქვეყანას, მაგრამ იმედი უშველის, რომ გურია თუ გაძლიერდება, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა და ყველა ქართული კუთხე გაძლიერდება და მაშინ ჩვენი დამმარცხებელი დუნიაზე აღარ იარსებებს!

ირანდა კალანდაძე

შეკვეთილი-თბილისი
30 ივლისი, 2016 წ.
593 56 11 18

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ვახტანგ ხარჩილავა:

ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა, ანუ ორნი და კიდევ ერთი...

სტალინი ფანჩატურში ზის და ფიქრობს — ვინ შეიძლება მიღალატოს ჩემი ქვეშევრდომებიდან? ვინ შეიძლება გაბედოს ეს? ვის ეყოფა ამის ვაჟკაცობა?

ფიქრობს, დიდხანს ფიქრობს სტალინი, ათას ვიღაცას გაიხსენებს, მხედართმთავრებს, ბრძოლებში გამობრძმედილ პარტმუშაკებს, დიპლომატებს, პოლიტბიუროს წევრებს, ყველა საეჭვო წვრილმანს. ყველა დეტალს აანალიზებს, მაგრამ მაინც ვერ მიდის კონკრეტულ დასკვნამდე.

და უცებ, ამ უამრავი სერიოზული ადამიანების გუნდიდან მოულოდნელად ამოვარდება ერთი ფიგურა, უკრაინულ ხიფთანში, მელოტი, ღიპიანი, სასაცილო, რომელიც წვეულებებზე გოპაკს ცეკვავს ხოლმე და სტუმრებს ართობს.

— აი, ეს ტაკიმასხარა! ეს „ჟურაჩოკი“! აი, ეს მიღალატებს! ეს არარაობა, ყველა რომ მასხრად იგდებს, აი, ეს არის ის, მთავარი მოღალატე! ხრუსტალიოვ, ნიკიტა მომგვარე სასწრაფოდ!

ცოტა ხანში ხრუშჩოვი გამოცხადდება:

— გისმენთ, ამხანაგო სტალინ! — „სმირნაზე“ გაჭიმულ ხრუშჩოვს სახეზე სიყვარულით გაცისკროვნებული ღიმილი დასთამაშებს.

— ნიკიტა, შენ ხარ ის კაცი, ვინც მიღალატებს! — ჯიქურ მიახლის სტალინი გაბადრულ სტუმარს.

— არა, ამხანაგო სტალინ, არა, ეს არასოდეს არ მოხდება, ამხანაგო სტალინ! — შისგან გაფითრებული ხრუშჩოვი ერთიანად კანკალებს.

სტალინი გამგმირავ მზერას არ აშორებს აცახცახებულ ხრუშჩოვს, მერე კი ხელს ჩაიქნევს და ლმობიერი ხმით ეტყვის დამფრთხალ სტუმარს: — გეხუმრე, ნიკიტა, გეხუმრე...

* * *

მე არც სტალინი ვარ და არც ფანჩატური მაქვს, რომ მყუდროდ და განმარტოებით გავაანალიზო პროცესები და მოღალატეები გამოვიცნო, თუმცა გული მიგრძნობს, რომ სწორედ ეს კაცი, ეს გიორგი მარგველაშვილია ის, ვინც ახლო ხანებში საქართველოს დიდ უსიამოვნებებს შეამთხვევს.

არის რაღაც პარადოქსული და ალოგიკური იმაში, რაც ახლა ვთქვი — როგორ შეიძლება პრეზიდენტი საკუთარი სახელმწიფოს ანუ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიდიოდეს, თუმცა მსგავსი მაგალითები პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია და ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამისა მიხეილ სააკაშვილია, რომელიც 2013 წელს, მთელი ათი თვის განმავლობაში, თან პრეზიდენტი იყო, შეთავსებით კი მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ანუ მთავარი ოპოზიციონერი ბრძანდებოდა.

გიორგი მარგველაშვილი ძალიან ჰგავს მიხეილ სააკაშვილს, ორივე ერთად კი ძალიან ჰგავს ნიკიტა ხრუშჩოვს, ანუ სამივენი ძალიან გვანან ერთმანეთს თუნდაც იმით, რომ სამივემ თავიანთი პოლიტიკური კარიერის ზენიტს იმ ადამიანების ღალატით მიაღწიეს, რომლებმაც ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანეს და ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი მათ წინსვლას და წარმატებებს.

უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ გიორგი მარგველაშვილი საბოლოოდ გაემიჯნა იმ გუნდს, რომელმაც ის საპრეზიდენტო სავარძელში ჩასვა. ის ახლა ცდილობს თვითომ იქცეს ოპოზიციური პარტიების ახალ პოლიტიკურ ცენტრად და ამ პარტიებზე დაყრდნობით და მათი მხარდაჭერით როგორმე შეინარჩუნოს პრეზიდენტობა, რომელიც, როგორც მან აღმოაჩინა, ძალიან ტკბილი, ძალიან კომფორტული, ძალიან კარგი რამ ყოფილა თურმე.

მან შესანიშნავად იცის, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დამაჯერებელი გამარჯვება მისთვის

იქნება გამანადგურებელი კატასტროფა, ფაქტობრივად, მისი ტრაგიკომიკური პრეზიდენტობის დასასრული, ამიტომაც ის ყველაფერზეა წამსვლელი, ოღონდ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობით არ შევიდეს პარლამენტში, რასაც, მისი აზრით, დაუყოვნებლივ მოჰყვება მისი იმპიჩმენტის საკითხი.

გიორგი მარგველაშვილს დღეს, მოცემულ სიტუაციაში, არც ქვეყნის უსაფრთხოება აწუხებს, არც ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები, არც ქვეყნის გარშემო მიმდინარე უკიდურესად სახიფათო პროცესები — მას აწუხებს და ადარდებს მხოლოდ პრეზიდენტობის შენარჩუნების დაუოკებელი, შეიძლება ითქვას, მანიაკალური სურვილი და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად ის მზად არის, ეშმაკსაც კი შეეკრას.

გიორგი მარგველაშვილს, როგორც ჩანს, სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს და, აქედან გამომდინარე, ის უმძიმეს სულიერ მდგომარეობაში იმყოფება, თუმცა ჯერ-ჯერობით ამის დამალვას ასე თუ ისე ახერხებს, მაგრამ ეს მდგომარეობა მაინც იჩენს ხოლმე თავს მის განცხადებებში, მის არაადეკვატურ გადაწყვეტილებებში, მის რეპლიკებში.

პრეზიდენტის პოსტი, რაც მარგველაშვილმა ხონჩით მორთმეული მიიღო და რაც ზოგიერთს და, მათ შორის, მარგველაშვილსაც, შეიძლება ღვთის ბოძებულ ბედნიერებად და საჩუქრად მიაჩნდეს, სინამდვილეში მარგველაშვილისთვის ხაფანგად იქცა.

მარგველაშვილის ტრაგედია ის არის, რომ მან დაიჯერა, საპრეზიდენტო კვარცხლბეკზე ბიძინა ივანიშვილმა კი არ აიტანა საკუთარი ზურგით, არამედ თვითონ, დამოუკიდებლად აირბინა კვარცხლბეკისკენ მიმავალი ციცაბო გზა.

ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ თემა. რომლის გარშემოც მთელი სერიოზულობით მსჯელობენ ხოლმე პოლიტიკოსები, ექსპერტები, სოციოლოგები, ანალიტიკოსები, სინამდვილეში ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების შესასწავლი და გამოსაკვლევი თემაა.

რამდენი ბონაპარტე, სტალინი, რუზველტი, მაკედონელი, იულიუს კეისარი იცის ფსიქიატრიულმა მედიცინამ, თუმცა მათ არავინ უმტკიცებს, რომ, ვთქვათ, ესა და ეს ტიპი ბონაპარტე კი არა მიხოა ჭოპორტიდან თუ ჭილურტიდან, რადგან ამის მტკიცებას აზრი არ აქვს — მათ თვითონ „აირჩიეს“, თვითონ „დაინიშნეს“ საკუთარი პერსონები იმპერატორებად თუ მხედართმთავრებად და მათთვის ამის საპირისპიროს მტკიცება აბსოლუტურად უშედეგოა.

როგორც ჩანს, მარგველაშვილთან დაკავშირებითაც იგივე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე...

* * *

...როცა ამ წერილს ვწერდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბევრჯერ ნანახ ერთ ფილმს ვუყურებდი.

თან ვწერდი, თან იმ ფილმის კადრები მიტრიალებდა თვალწინ.

„ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ ჰქვია ამ ფილმს.

ძველი, დიდი ხნის წინათ გადაღებული ფილმია, მაგრამ ძალიან აქტუალური და იმავე დროს იმდენად თანამედროვე და მშობლიური, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ფილმი საქართველოზეა გადაღებული, იმ საქართველოზე, რომელსაც ერთმა ენამწარე ქართველმა საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკა უწოდა...

NDI-ს სიგნალი დაპირპირებულებს და აჟიმჟიმებულებს

ხალხი ერთმანეთს ეკითხება, იქნებ ვინმე იცოდეთ, ვინც NDI-მ გამოკითხაო და ჯერ არავინ ჩანს...

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე NDI-მ ახალი კვლევა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს დავით ბაქრაძეს იდენტური, 15%-იანი ნდობა გამოუცხადეს გამოკითხულებმა...

„ნაცინალურ მოძრაობას“ წინა წლებთან შედარებით პროცენტი მოემატაო, „ქართულ ოცნებას“ დააკლდაო... ასე და ამრიგად, მათი მხარდამჭერნი გათანაბრდნენო...

საერთოდო, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიგებმა ჯერ კიდევ 2013 წლიდან იკლოო, შესაბამისად, 2013 წლიდანვე გაზრდილა ნაციონალთა რიგებიც...

ახლა 2016 წელია... ახლა არჩევნები კარსაა მომდგარი და კი, „ნაცების“ გააქტიურება იგრძნობა, მაგრამ ზედა ეშელონში... მაგალითად, ბოკერია პრეზიდენტს ელაქუცება, ბაქრაძე – ამომრჩეველს, ბურჭულაძემ სიმღერასაც კი თავი დაანება, „ნაცებისთვის“ ბანის მისაცემად, ვაშაძე გამოეყო „ოჯახს“ და იმ ხმების მოპოვებას ცდილობს, რომლებზეც, როგორც ნაციონალს, ხელი არ მიუწვდა... მაგრამ, საინტერესო ისაა, რომ ხალხის აქტიურობა არ შეიმჩნევა... ბოკერიას ქვას ესვრიან, ბურჭულაძეს მელომანებიც აღარ უსმენენ და ვაშაძის პარტიის ყრილობის დროს რომ გაწვიმდა, ყველამ ვნახეთ, როგორ დაპატარავდა ეს მოედანზე გაფანტული ხალხი უცებ და როგორ დაეტივნენ ყველანი ერთი ქოლგის ქვეშ...

ჰოდა, სად არიან ეს NDI-ის ნაპოვნი მომრავლებული ნაცები? ჩირგვებში სხედან? მთვარიან ღამეს ელოდებიან უკეთ დასამალად, თუ რა ხდება?

ნაციონალებმა ხმას რიხი გაურიეს, დიახაცო, დავით ბაქრაძე დინჯია და სიტყვის კაციაო, დანაპირებს ასე ჰაერზე არ ისვრის და ხალხიც რომ მის მხარესაა, არ გვიკვირსო...

ბაქრაძე კიდევ უფრო გაიბღინძა, მხრებში გაიშალა და გაიმართა, სადამდეც შესძლო და გასწვდა და განაცხადა: ეს ჩვენთვის სიგნალიაო...

„დაგიპიპინეს“, ბატონო დავით?

თუ, „დაგაპიპინებინეს?“

რაო, როგორ და რამდენად „დაგაპიპინებინათო“, NDI-მო? რას დაპირდით, „ნაცები“ იმისათვის, რომ წინასწარ გაგიპრავათ არჩევნები და მეიდანზე ხმამაღალი გამოსვლის საბაბი მოგცათო?

სანამ ბატონი დავითი ამ კითხვაზე მიპასუხებს, მანამდე მის ბიოგრაფიას გადავავლე თვალი, რა ვიცი, აკი ასე სერიოზულია და სიტყვის კაციაო, უპატიოსნესი და უკეთილშობილესიო, გვიმტკიცებენ მავანნი...

ჰოდა, ეს ბატონი დავითიც დიდი ცუღლუტი ვინმე ბრძანებულა... ამ ბოლოს, ხშირად მიწევს ამ სიტყვის გამოყენება, მაგრამ რა ვქნა, მომრავლდნენ პოლიტიკაში ცუღლუტი პოლიტიკოსები...

დაჭერების და დანაშაულზე პასუხისგების წინააღმდეგი ყოფილა, ბატონი დავითი... 2004 წელს, ჩვენ რომ მოვედითო, ყველანი დასაჭერები იყვნენო, მაგრამ არ დავიჭირეთო... მაშინ ყველა რაღაცას იპარავდაო, მაგალითად, მე გაზს და დენს ვიპარავდიო...

რა მოხდა მერე, შევარდნაძის დროს თუ ყველა რაღაცას იპარავდა, დავით ბაქრაძეს რომ ცოტა გაზი მოეპარა, ცოტა დენი... უჭირდა, ალბათ-თქო, გავიფიქრე და გადავხედე, რას საქმიანობდა 2004 წლამდე დენის და გაზის ეს საწყალი ქურდი ბიჭი...

1998 წლიდან-2002 წლამდე მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 2002-დან 2004 წლამდე ეროვნული უშიშროების საბჭოში ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორი ბრძანდებოდა...

მოიცა, მოიცა, საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ თანამდებობა გეკავა, მაშინ იპარავდი გაზს და შუქს? ან უშიშროების საბჭოდან სახლში დაბრუნებული ითბობდი გათოშილ ხელებს, „ლევად“ შემოყვანილი გაზითა და დენით?

კარგით რა, ბატონო დავით, ამხელა თანამდებობის ქურდი, კი არადა, ამხელა თანამდებობის კაცი თუ დენს და გაზს იპარავდით, ვინ რა სინდისით უნდა დაგეჭირათ? ან თუ დენს და გაზს იპარავდით, სხვასაც ბევრს გააყოლებდით თქვენ ხელს, გინდ სამინისტროდან, გინდ უშიშროებიდან, გინდ თანამშრომლებიდან... ეჰ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, გაგვიგია და დავიჯერო, გადაეჩვიეთ ქურდობას, ბატონო დავით?

არ ვიჭერდითო? ჰო, დენის, გაზის, სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის, მთავრობის, სამინისტროების, უშიშროების საბჭოს მოხელეებს არ იჭერდით, თორემ, მაღაზიის გატეხვისა და ორი ფუნთუშის მოპარვისთვის ციხეში ჩასმული მშიერი ბიჭის ისტორიაც მახსოვს და იმ ბიზნესის ტერორიც, რომელიც წილში არ გსვამდათ...

და ასეც რომ იყოს, მართლაც რომ მოდური იყოს ქურდობა, მართლაც რომ არავინ არავის იჭერდეს მოპარვისთვის, განა ვანო მერაბიშვილი დენის და გაზის ქურდობის გამოა საკანში? განა ვანო მერაბიშვილის საკანი ჩემს ბინაზე დიდი და უკეთ მოწყობილი არ არის?

ეჰ, ბატონო დავით, როგორ ტყუილად „დაგაპიპინებინათ“ NDI-მ...

„პიპინზე“ გამახსენდა, დავით ბაქრაძემ პატრულიც დაგვიწუნა... ეკა ყურშიტაშვილები დაასხა თავზე ხელისუფლებამ პატრულსო, განაცხადა... (ეკა ყურშიტაშვილი იმ ცნობილი ვიდეოს მთავარი მოქმედი გმირია, სადაც ახალგაზრდა ქერათმიანი ქალბატონი იგინება და პატრულს ზემდგომით ემუქრება).

გინების მოყვარულმა ქალ-ეკამ... ისე, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი პოლიტიკური სახის და ეკა ყურშიტაშვილის დებატები ამ წინასაარჩევნოდ კარგი სანახავია, ღმერთმანი... გამეცინებოდა კიდეც, რომ არა NDI-ის სიგნალი...

ისე, სიგნალი კარგი რამაა... სიგნალი ამქვეყნიური ცნებაა, არ არის ზეციური ნათება, ამიტომ მას დასაწყისიც აქვს და დასასრულიც... ეს სიგნალიც, ალბათ, სადღაციდან მოდის, სადღაციდან იმართება... ამ სიგნალს სათავეც აქვს, მიმართულებაც და დანიშნულებაც...

სამწუხაროდ, ეს სიგნალი არჩევნების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დასაყენებლად მზადების სიგნალს გავს... სამწუხაროდ, ეს სიგნალი მართლაც არეულობისთვის მზადების და ჩირგვებიდან გამოსვლის სიგნალია მგონია...

თუ ასე არ არის, რაღა თებერვლის ბოლოს ჩატარდა გამოკითხვა, მაშინ, როცა კანდიდატები ჯერ არც კი იყო ცნობილი?

თუ კვლევას მხოლოდ 15 დღე სჭირდებოდა, რა აუცილებელი გახდა ასეთი სიჩქარე?

თუ ჩემი ეჭვი უსაფუძვლოა, უამრავი დანარჩენი ადამიანის ეჭვებს რა ვუყოთ? უბრალო, მშრომელი, პატიოსანი ადამიანების ეჭვებს...

ფეისბუქზე ძალიან ბევრი კომენტარი დევს, სადაც ხალხი ერთმანეთს ეკითხება, იქნებ ვინმე იცოდეთ, ვინც NDI-მ გამოიკითხაო...

და ჯერ არავინ ჩანს...

როგორ, ასეთ პატარა ქვეყანაში, ასეთი მაშტაბური კვლევა ჩატარდა და ერთი ადამიანიც არ ჩანს ჰორიზონტზე, ვინც იტყვის, მე ვმონაწილეობდი, ბატონებო, კვლევაში, აქა ვარ და ესა და ეს მქვიაო?

ნუ ახლა, თქვენც თუ კარუსელებით იარეთ, ან მკვდარი სულები გამოიკითხეთ, მაგ შემთხვევაში, შეიძლება მეძახიან კიდეც, აქა ვარ, მე გამომკითხეო, მაგრამ, რომელი მედიუმი მე ვარ, რომ მიცვალებულთა ხმები მესმოდეს...

მე რეალისტი ვარ... ამიტომ, ვეძებ რეალურ ადამიანებს, რომლებმაც მიიღეს ამ გრანდიოზულ კვლევაში მონაწილეობა... ჯერ ვერ მიპოვნია, მაგრამ ჯიუტად ვაგრძელებ ძებნას...

მანამდე კი, „ნაციონალურ მოძრაობას“ და დავით ბაქრაძეს „დააპიპინებინეს“...

მე კი ყველასთვის, თითოეული მოქალაქისთვის განკუთვნილ სიგნალს ვუშვებ: SOS, არეულობას გვიანონსებენ...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

სკანდალი სახალხო დამცველის ოფისში - დატოვებს თუ არა უჩა ნანუაშვილი თანამდებობას?

„საერთო გაზეთი“ სახალხო დამცველის აპარატის მთავარ მრჩეველს იურიდიულ საკითხებში **მაია ლიპარტელიანს** ესაუბრა:

— სახალხო დამცველის აპარატში 2013 წლის 10 აპრილიდან ვმუშაობ. 2014 წლის 10 აპრილიდან კი სახალხო დამცველის აპარატის მთავარ მრჩეველი გახლავართ იურიდიულ საკითხებში. პრობლემა, რომელმაც სასამართლომდე მიმიყვანა, დისციპლინურ კომისიებში ჩემი მონაწილეობის შემდეგ დაიწყო. მე სამსახურეობრივად მევალებოდა, რომ მონაწილეობა მიმეღო ამ კუთხით ჩატარებულ წარმოებაში. შესაბამისად, ვმონაწილეობდი ჩემი ერთ-ერთი თანამშრომლის, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის მთავრი სპეციალისტის გიორგი ქაჯაიას მიმართ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებაში. საქმე ეხებოდა გიორგის ხმამაღალ საუბარს უშუალო უფროსთან. ჩვენი შინაგანაწესის თანახმად, ოფისის მოსამსახურეს ეკრძალება ხმამაღალი საუბარი და კრიტიკულ სიტუაციაში ვალდებულია საქმის კურსში მისი უშუალო უფროსი ჩააყენოს. ფაქტის შესწავლისა და მოწმეების გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ გიორგი ქაჯაია ნამდვილად ხმამაღლა ესაუბრებოდა თავის უშუალო უფროსს, მაგრამ ასევე დადასტურდა, რომ უშუალო უფროსიც ხმამაღლა ესაუბრებოდა მას. ამიტომ კომისიამ მიიჩნია, რომ დამატებით, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ქმედებაც უნდა შეგვესწავლა , რომელიც თავის თანამშრომელს კონფლიქტურ სიტუაციაში შეჰყვა. ეს იყო კომისიის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რომელიც სახალხო დამცველს არ მოეწონა და რეზოლუციის დადებით აღნიშნა, რომ დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიმართ წარმოება არ უნდა დაწყებულიყო. თუმცა, იმ ეტაპზე სახალხო დამცველისგან არ მიგრძვნია, რომ ამის გამო, ჩემს მიმართ რაიმე განსაკუთრებული წყენა ჰქონდა. ეს მოგვიანებით, კიდევ ერთი თანამშრომლის მიმართ დაწყებული წარმოების დროს გამოხატა.

— ილია ჭანტურაიას მიმართ დაწყებულ დისციპლინურ წარმოებას გულისხმობთ?

— დიახ. ეს იყო საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის ილია ჭანტურაიას მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოება. მე სამწევრიანი კომისიის ერთ-ერთი წევრი ვიყავი. კომისიაში თავად ბატონი ნანუაშვილიც ბრძანდებოდა. საქმის გარემოებების შესწავლის და მოწმეების გამოკითხვის შემდეგ, დასკვნას არ დავეთანხმე და შენიშვნის სახით მივაწერე, რომ ილიას პასუხისმგებლობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. კომისიის მესამე წევრი კი ნაწილობრივ დაეთანხმა სახალხო დამცველის პოზიციას. ამ პერიოდში, ისევ გიორგი ქაჯაიას მიმართ, მეორე დისციპლინური წარმოება დაიწყო. ამჯერად, საკითხი ეხებოდა ე.წ. შრომის უუნარობის პერიოდს. თქვენს მკითხველს ამ საქმის ყველა დეტალზე საუბრით აღარ გადავღლი, უბრალოდ, გეტყვით, რომ ჩემი ვალდებულება კომისიაში პირნათლად შევასრულე და ყველა საჭირო ინფორმაცია მოვიპოვე, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კომისია კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში ვერ შეიკრიბა და შესაბამისი აქტი ვერ გამოსცა. როდესაც სახალხო დამცველმა ეს საქმე მოიკითხა, მან გამოთქვა სურვილი, რომ წარმოების ვადა გაგრძელებულიყო. კანონმდებლობით, როდესაც საქმე განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, შეიძლება წარმოების ვადა არა ერთი, არამედ, სამი თვით განისაზღვროს, მაგრამ როგორც კომისიის წევრი მაშინაც და ახლაც ვთვლი, რომ ეს არ იყო ისეთი სირთულის საქმე, რომლისთვისაც კანონმდებლობის ერთთვიანი ვადა საკმარისი არაა. მე წინასწარ ვერ წარმოვიდგენდი, რომ კომისია ვერ შეიკრიბებოდა.

— როგორც ვხვდები, სახალხო დამცველის მორიგი უკმაყოფილება ამ ფაქტს მოჰყვა.

— ერთ-ერთი პრეტენზია, რომელიც სახალხო დამცველმა ჩემს მიმართ გამოთქვა, ის იყო, რომ ქაჯაიას მიმართ განხორციელებული მეორე დისციპლინური წარმოებისას, საქმის კურსში არ ჩავაყენე, რომ შეიძლებოდა წარმოების ვადა გაგრძელებულიყო. საქმე ისაა, რომ ამას ვერ გავაკეთებდი, რადგან ჯერ ერთი, მოლოდინი მქონდა, რომ სახალხო დამცველმა ეს ისედაც იცოდა.

— თქვენი აზრით, თავად სახალხო დამცველი რამდენად ობიექტური იყო ჭანტურაიას, ქაჯაიას და თქვენი საქმეების შეფასებისას?

— ვფიქრობ, რომ ობიექტური არ იყო და ეს იმითაც გამოიხატა, რომ ამ ორ საქმეზე ჩვენი პოზიციები განსხვავდებოდა. მე ჩავთვალე, რომ ობიექტურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ შემთხვევაში ილია ჭანტურაია არ უნდა დასჯილიყო და მეორე შემთხვევაში, ქაჯაიასთან ერთად, რომელსაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეეფარდა, მისი უშუალო უფროსის ქმედებაც უნდა შესწავლილიყო. სახალხო დამცველი ყველას სახალხო დამცველი უნდა იყოს და მათ შორის, მის აპარატში დასაქმებული ადამიანებისაც. მის აპარატში დასაქმებულ ადამიანს არ უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ უკანონოდ და დისკრიმინაციულად ექცევიან. როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი სხვა პოზიციაზე გადაყვანის საფუძველი დისკრიმინაცია იყო, ბატონ უჩას შეთავაზებაზე უარი ვუთხარი. რადგან ჩემი გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდათ, სხვანაირად შეეცადნენ ჩემს მოშორებას. სახალხო დამცველის 30 მაისის ბრძანებით, აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის შტატი გადაკეთდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მთავარი მრჩეველის შტატად იურიდიულ საკითხებში. შესაბამისად, იურიდიულ საკითხებში მრჩეველის ორი პოზიცია შეიქმნადა ვითომ ე.წ. ფუნქციების გამიჯვნის მომიზეზებით, ჩემი ყველა ფუნქცია იმ ახალ შტატს გადასცეს.

— რომელზეც სახალხო დამცველის მოადგილის ნათია კაციტაძის მეგობარი, ვანდა ჯიჯელავა დაინიშნა.

— არა მხოლოდ ჯიჯელავა, ქაჯაიას ყოფილი დეპარტამენტის უფროსიც და უფროსის მოადგილეც ამჟამინდელი პირველი მოადგილის ნათია კაციტაძის სამეგობრო წრეა. ისინი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თანამშრომლები და მეგობრები არიან.

— შეიძლება თუ არა, რომ სახალხო დამცველის მხრიდან თქვენს მიმართ განხორციელებული ქმედებები შეფასდეს, როგორც სამსახურეობრივი დევნა?

— დევნასთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს იყო დისკრიმინაციული მოპყრობა და სასამართლოში სარჩელი ამიტომ შევიტანე. სასამართლომ წარმოებაში მიიღო ჩემი სარჩელი, თუმცა განხილვები ჯერ არ დაწყებულა. მე ვითხოვ სახალხო დამცველის მიერ გამოცემული იმ აქტების ბათილად ცნობას, რომლითაც სხვა სტრუქტურული ერთეულიდან შტატი გადმოიტანა და ფუნქციები ჩამომართვა. ასევე, ვითხოვ დისკრიმინაციის დადგენას და აღმოფხვრას. სასამართლოში შესაბამისი მტკიცებულებები უკვე წარვადგინე.

— გავრცელებული ინფორმაციით, უჩა ნანუაშვილი თქვენთვის ფუნქციების შემცირებას და ახალი თანამშრომლის დამატებას ბოლო პერიოდში გაზრდილი საქმეების რაოდენობით ხსნის და ამბობს, რომ დისკრიმინაციაზე საუბარი უსაფუძვლოა, რადგან მუშაობას აგრძელებთ.

— კანონმდებლობაში არსად არ წერია, რომ გათავისუფლება აუცილებელია იმისთვის, რომ დისკრიმინაცია დადგინდეს. ეს რომ სხვა ტიპის სტრუქტურა იყოს, შესაძლებელია, ხმა არ ამომეღო, მაგრამ 16 წელია ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს ვემსახურები და ვთვლი, რომ უწყებაში, რომელსაც სხვისი უფლებების დაცვა კონსტიტუციით ევალება, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ეს რომ არ გამეკეთებინა, მორალური უფლება აღარ მექნებოდა, რომ სხვისი უფლების დაცვაზე მემუშავა.

— იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ დააკმაყოფილა თქვენი სარჩელი და სახალხო დამცველის ქმედებებში დისკრიმინაციის ნიშნები აღმოაჩინა, დადგება თუ არა ნანუაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი?

— მე რომ სახალხო დამცველი და ქვეყანაში დისკრიმინაციის დაცვაზე ზედამხედველი ორგანოს ხელმძღვანელი ვიყო და სამი თანამშრომელი სასამართლოს წესით დისკრიმინაციაზე მედავებოდეს, მორალური უფლება არ მექნებოდა პოსტზე დავრჩენილიყავი. მოგეხსენებათ, რომ სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ადამიანების უმეტესობა იურისტები ვართ, რომლებიც ძალიან ბევრს ვშრომობთ იმისთვის, რომ დავადგინოთ სხვა უწყებებში დაირღვა თუ არა ადამიანის უფლება. როდესაც ასეთი ადამიანები სახალხო დამცველს, რომელიც თავად წარმოადგენს ქვეყანაში დისკრიმინაციის დაცვაზე ზედამხედველ ორგანოს, დისკრიმინაციაზე ედავებიან, ეს საგანგაშოა.. მის ნაცვლად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მის ადგილას მე ასე მოვიქცეოდი..

ნელი თორდია
571 35 36 88

მთავარი საფრთხე

„საერთო გაზეთის“ სტუმარია დავით თევზაძე

— ბატონო დავით, თავდაცვის მინისტრის თანამდებობებზე ახალი კანდიდატურები განიხილება. რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის ვინ უხელმძღვანელებს ამ თანამდებობას. ბაღის გამგეს ხომ არ ვნიშვანთ, ბოლო ბოლო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზეა საუბარი?

— კი ბატონო, თუ ვინ უხელმძღვანელებს უწყებას, ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მოცემულ მომენტში, არჩევნებამდე ორი თვით ადრე, როცა უწყების ხელმძღვანელი საარჩევნო კამპანიაში ჩაბმის გამო პოსტს ტოვებს, ვფიქრობ, ნებისმიერი კანდიდატურის შერჩევა და მისთვის პოსტის ჩაბარება არასწორი ნაბიჯია და არა მცდარი. ჩვეულებრივ არსებობს მიღებული პრაქტიკა, როცა, ასეთ შემთხვევაში, უწყების ხელმძღვანელობას პირველი მოადგილე ითავსებს, მაგრამ თუკი პიროვნების მიმართ შესაბამისი ნდობა არ არსებობს, მაშინ ეს თანამდებობა პრემიერმა უნდა შეითავსოს.

— კანდიდატურებიც ფრიად უცნაურია...

— ვინ განიხილება ამ თანამდებობაზე, ამას მნიშვნელობა არ აქვს — რა ღირსებები აქვს თითოეულს, ეს, აბსოლუტურად, ირელევანტურია. ამ პერიოდში როცა არჩევნებამდე ორი თვეა დარჩენილი და სავარაუდოდ, ახალი მთავრობის ფორმირება მოხდება, ეს ნაბიჯი აბსოლუტურად არასწორია. ეს ყველაფერი ცოტა გაუგებარია იმიტომ, რომ თუკი პირველ მოადგილეს იმდენი ნდობა არ აქვს, რომ ორი თვე უწყებას უხელმძღვანელოს, საერთოდ, რას აკეთებდა იქ, აქამდე და რატომ იკავებს აღნიშნულ თანამდებობას?!

— ბატონო დავით, საუბრობენ, რომ თავდაცვის სამინისტროს დაბალი ბიუჯეტი აქვს და ჯარი ქვეყნის პრიორიტეტი აღარ არის.

— ვერ გეტყვით, არის თუ არა სამხედრო უწყება პრიორიტეტი. მე ის ვიცი, რომ არასწორმა მენეჯმენტმა სამხედრო უწყება რღვევის პირას მიიყვანა. დღეს ეს ნათლად ჯერ კიდევ არ ჩანს, რაც შემდეგ და შემდეგ უფრო გამოჩნდება თუ რა სიტუაციაა ზოგადად, შეიარაღებულ ძალებში და რამდენად ვართ დაცულები.

— მაინც დღეს, რა ვითარებაა?

— დღეს რა ვითარებაა ამაზე უამრავი არასამთავრობო მუშაობს და შეგიძლიათ მათ მიმართოთ. ჯარის რიცხოვნობა შემცირებულია, თუმცა, ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს-ხოლმე, გააჩნია, რით ივსება ეს რიცხოვნობა. თუ ტექნოლოგიური უპირატესობა გაქვს, რიცხოვნობა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ესეც არ გაქვს, მაშინ რიცხოვნობას, რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

— კარგით. როგორც ირკვევა სტრუქტურის შიგნით მსხვრევა მიდის, სადაა ქართული გენერალიტეტი, ხმას რატომ არავინ იღებს?

— ჩვენ, ხმას ვიღებთ და საკმაოდაც ვჩანვართ. არ მგონია ვინმე ხმას არ იღებდეს და ჩუმად იყოს. უბრალოდ, პოლიტ.კონიუნქტურაა ასეთი, რასაც ვერაფერს ვუშველით. ახლოვდება არჩევნები და პოლიტიკური ლანდშაფტი უნდა შეიცვალოს, თორემ რღვევა შეიარაღებულ ძალებშიც გაგრძელდება, განათლების სისტემაშიც და უამრავ სხვა სივრცეშიც. ეს იმგვარ ფორმას მიიღებს, რომ შეიძლება ქვეყანა, თავისი არსებობის კუთხით, სერიოზული პრობლემების წინაშე დადგეს. ამიტომ, ყველაზე კარგი იქნება თუ ადამიანები 8 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან აუცილებლად მივლენ და არა იმის მიხედვით აირჩევენ ვინ ვის რამდენი გადაუხადა და ვინ ვის რას შეჰპირდა, არამედ იმის მიხედვით, თუ ვის შეუძლია რეალურად, ქვეყანა წინ წაწიოს და არა ერთი ადგილი ტკეპნოს.

— ქვეყნის რღვევის გაძლიერების საფრთხეს ხედავთ?

— მეტი რა საფრთხე გნებავთ, გადახედეთ, თქვენს გარშემო, ვინ რით და როგორ ცხოვრობს, რა აწუხებს და დასკვნებსაც გამოიტანთ. ის რომ დემოგრაფიული სურათი კი არ უმჯობესდება, არამედ უარესდება, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანაში რაღაც არასწორად ხდება. ამაზეა ლაპარაკი. ჯარი და სხვა დანარჩენი მერე ეწყობა, მთავარია, საზოგადოება იყოს ჯანმრთელი. ჯანსაღ საზოგადოებას კი ჯანსაღი, სწორი მართვა სჭირდება, რისიც ჯერ არაფერი გვეტყობა.

— არჩევნებში რა გეგმები გაქვთ, რას მოიცავს თქვენი პროგრამა?

— დიახ, პროგრამა არსებობს, მაგრამ იქამდე სანამ აქტიური კამპანია დაიწყება, გამჟღავნებას ვერიდებით იმიტომ, რომ ისეთ სივრცეში ვართ, როდესაც ჩემს ნათქვამ სიტყვას ისე გაიმეორებენ რომ არც კი მახსენებენ ისე მოხდება მისი ტირაჟირება. ჩვენი გეგმა ძალიან მარტივია — ბარიერი უნდა დავძლიოთ. სხვა გეგმა, ამჟამად, არ გვაქვს.

— ძირითადად, პარტიების პროგრამები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. უცხოელმა დამკვირვებლებმა არჩევნებზე გაოცება ვერ დამალეს, თუ რის მიხედვით ირჩევს ქართველი ხალხი.

— გეტყვით, რის მიხედვითაც ირჩევს: საქართველოში უნიკალური საარჩევნო მენეჯმენტი შეიქმნა. საშუალება მქონდა და მის თავისებურებებში ბოლომდე გავერკვიე. შემიძლია გითხრათ, კიდევ დიდხანს საარჩევნო პროგრამას არანაირი მნიშვნელობა არ ექნება იმიტომ, რომ არსებობს გარკვეული ტექნოლოგიები, რომლებიც ადამიანებს სხვა ადამიანების მანიპულირების საშუალებას აძლევს. აი, ეს არის მტერი საქართველოს დემოკრატიის განვითარებისაც და საერთოდ, განვითარების. ეს საარჩევნო სისტემა რომელიც დღეს არსებობს, იმგვარად არის შეკოწიწებული, რომ პოლიტიკურ სუბიექტებს რომლებიც მოცემულ მომენტში ხელისუფლებაში არიან, გარკვეულ უპირატესობებს აძლევს, რაც საკმაოდ დიდი ხანია გრძელდება. მახსოვს, როდის ჩაეყარა ამას საფუძველი. სულ იმის იმედი გვქონდა, რომ ეს სიყმაწვილის სენია და პოლიტიკური სპექტრი დადინჯდება, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც ჩანს, 25 წელი ამისთვის საკმარისი არ არის.

— ბოლო დროს მიგვაჩვიეს, რომ პარტიებს მათი კურისის, ორიენტაციის მიხედვით ვირჩევთ. ასპარეზზე, ძირითადად, პრო-დასავლური და პრო-რუსული პარტიები მოსჩანს. პრო-ქართული სადაა?

— ეს ყველაფერი ფსევდოპრობლემები, ფსევდო-დაპირისპირებებია, არანაირი მნიშვნელობა ამას არ აქვს იმიტომ, რომ ყველას სააზროვნო ყალიბი ერთია.

— ბატონო დავით, გააქტიურდა საარჩევნოდ საკაშვილის დაბრუნების თემა. რა საფრთხეები შეიძლება წარმოიშვას არჩევნებამდე და მას მერე?

— ესეც ფსევდო-პრობლემაა. ეს იცით რას მაგონებს? — შევარდნაძეს აბაშიძე ბუად რომ ჰყავდა და ამასობაში ნამდვილი ბუა გამოეპარა, მერე, საკაშვილს რუსეთი ჰყავდა ბუად და სინამდვილეში, დღემდე ვერ გავრკვეულვართ 9 წელი რა რეჟიმში გვაცხოვრეს. ახლა რაც შეეხება, ბუნებრივია, არსებობს ლტოლვა, რათა რეალური პოლიტიკური სივრცე შეინარჩუნონ, რისთვისაც საფრთხობელა სჭირდებათ. არ ვიცი, რა იქნება სწორი გზა, სტრატეგია. ესაა მორიგი საფრთხობელა და თვალში ნაცრის შეყრა.

— შევარდნაძის და საკაშვილის დროს ნამდვილი ბუა გამოგვეპარაო, ახსენეთ. ახლა ვინაა ნამდვილი ბუა?

— ნამდვილი ბუა ჩვენს შიგნითაა. ვერ მოვახერხეთ ის, რომ საზოგადოებაში ისე დაგველაგებინა ურთიერთობები, რათა დემოკრატიული პროცედურები რეალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

— ბოლოს ისევ სამხედრო თემატიკით მინდა დავასრულოთ. ამერიკასა და საქართველოს შორის, ახლახან, იარაღის შეძენასთან დაკავშირებით მემორანდუმი გაფორმდა. ეს რამდენად მნიშვნელოვანი ნაბიჯია?

— კონკრეტულად რა იარაღზეა საუბარი, ეს თემები დახურულია, წვდომა არ მაქვს, რომც მქონდეს მაინც ვერ გავაჟღერებ. ასე, რომ ინტერესი ინტერესად რჩება. თუმცა, ვიტყვი, რომ ნებისმიერ იარაღს სჭირდება ადამიანი, რომელიც მას ისე იხმარს, რომ არ გააფუჭებს, უტრირებულად რომ ვილაპარაკო — შეინახავს ისე რომ არ გააფუჭებს და როცა საჭირო გახდება შეძლებს მის შენაცვლებას სხვა, ამავე რიგის იარაღით. ეს ყველაფერი ერთ სისტემაშია. ასე, რომ ვიღაცამ დღეს იარაღი რომ მოგცეს, რაც არ უნდა ზეაღმატებულიიყოს იგი, შენ, მას ან ვერ იხმარ, ან ვერ გაუფრთხილდები, ან ვერ მოუვლი და შესაბამისად, რაღაც პერიოდის მერე მისი შეცვლა დაგჭირდება. ყოველთვის, ის იარაღია კარგი, რომელსაც თავად აკეთებ. ეს უფრო მნიშვნელოვანი თემაა. ჩვენს გარშემო ყველამ შეძლო სამხედრო მრეწველობის აღორძინება. თუმცა, სასტარტო ნიშნული გაცილებით დაბალი ჰქონდათ როგორც სომხეთს, ასევე აზერბაიჯანს. ეს თემა, ძალიან კარგად ვიცი. მათ შეიარაღებას ჩვენ ვარემონტებდით. ასევე, ვარემონტებდით საფრენ აპარატებს შუა აზიის ერთ-ერთი ქვეყნისთვის. დღეს, ეს შესაძლებლობები არ გვაქს. ვერც ახალს ვქმნით და ვერც ძველს ვუკეთებთ შესაბამის მომსახურეობას. ეს გაცილებით მნიშვნელოვანია. არის თემები, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს და სიღრმეში ჩახედვა კი არავის უნდა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ თურქები“, ანუ სად ვეძებოთ ქვეყნის დასანგრევად მზადმყოფი მეხუთე კოლონა?

გასულ კვირას **ერდოღანის** ხელისუფლებამ ამბოხში მონაწილეობის ბრალდებით და ამერიკის მოქალაქე **ფეთჰულაჰ გიულენთან** კავშირში ეჭვმიტანილი სამი საინფორმაციო სააგენტო, 16 ტელეკომპანია, 45 ყოველდღიური ცენტრალური გაზეთი, 130 ადგილობრივი (რეგიონული) გამოცემა და ტელეარხი დახურა. რამდენიმე ჟურნალისტი დააპატიმრეს...

თურქეთი სეკულარული სახელმწიფოა, მმართველობის უნიტარული ფორმით. ათათურქის მოსვლის შემდეგ, XXს-ის დასაწყისიდან, თურქეთი მჭიდროდ დაუკავშირდა ევროკავშირსა და ნატოს.

ერთი ქართველი პოეტისა არ იყოს, „ჩვენ რა თქმა უნდა არ ვართ თურქები“. არ ვართ და საქართველოში, რომის პაპზე მეტად კათოლიკეები, ზოგიერთი ლიბერალი მოაზროვნეები, გმობენ თურქეთის სახელმწიფოს მიერ პრესის შეზღუდვას, რითაც კიდევ მეტად ასხამენ წყალს იმ დიქტატორულ წისქვილს, რომელსაც კვლავ „ნაცმოძრაობის“ ნეობოლშევიკური ნარჩენები ამუშავებენ, ფქვავენ და ფქვავენ დეზინფორმაციულ შხამებს ამ ძველფეოდალურ წისქვილში და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას განაგრძობენ.

ქართულ პრესაში ჯერ კიდევ ორი წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტმა, სხვათა შორის, გაზეთ „შანსის“ ყოფილმა ჟურნალისტმა მიხეილ საკაშვილმა უკრაინაში „საქართველოს განთავისუფლების“ შტაბი შექმნა, რომელშიც **გიორგი ვაშაძე, გიორგი ბარამიძე, დავით საყვარელიძე,** ასევე ყოფილი ჟურნალისტები: **გივი თარგამაძე** და **გიგა ბოკერია** შედიან და ეს ხალხი იმ შტაბის ძირითადი ბირთვია.

ბიუჯეტის მღრღნელები, ციხეებში თანამოქალაქეების მწამებლები, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილები, ქართული მიწის გამყიდველები, ქართული სოფლების რუსეთისთვის გადამცემები, აგვისტოს ომის მაპროვოცირებლები, 26 მაისის და 7 ნოემბრის მომწყობები რისგან და ვისგან ათავისუფლებენ საქართველოს უკრაინის ტერიტორიიდან, ჯერ კიდევ გაუგებარია, მაგრამ მთავარი ისაა, საქართველოში არსებული მედიასაშუალებების დიდი ნაწილი, ერთ დროს მიშას და მის ამფსონებს საკუთარი ჯიბის კამათლებად რომ ჰყავდათ ქცეული, რასაც უბრძანებდნენ, იმ ინფორმაციას რომ აწვდიდნენ მოსახლეობას, ეს მედიასაშუალებები, როგორც ამბობენ და როგორც ჩანს, კვლავ მიშას „კურთხეული“ მარჯვენით იკვებებიან.

სხვა რა უნდა იფიქრო, როცა „იმედის“ დარბევისას იატაკზე რომ ახოხეს ჟურნალისტები, მათ შორის ორსულებიც, ისინიც კი დღეს მიშას „ჭირს მიწაზე არ აგდებენ“. ზოგიერთი საერთოდ „გავლითაა“ ჟურნალისტი, როცა სჭირდებათ, პრესის წარმომადგენლები არიან და თუ, მაგალითად, გიორგი თარგამაძესავით გაუმართლებთ და სარფიან წინადადებას შესთავაზებენ, პოლიტიკოსები ხდებიან, მერე ისევ ჟურნალისტები და არის დოლარების თვლა, ტაში და დიმპიტაური.

ზოგიერთი ჟურნალისტი და

მედიასაშუალება, რომლებიც ამ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მედიაგარემოში ათასობით თანხებს იჯიბავენ მოსახლეობის ინფორმაციულ მოწამვლაში, მიშა საკაშვილთან და მის დამქაშებთან ფლირტს აგრძელებენ, ხოლო ნაწილი მის დაბრუნებას სულმოუთქმელად ნატრობს....

ასევე ყოფილი ჟურნალისტი, აწ უკვე პოლიტიკოსი **მერაბ მეტრეველი პაატა ბურჭულაძის** რუპორად იქცა. ახალი ამბავი არაა, მაგრამ ფაქტია და უნდა ვთქვა, პროფესიასთან ერთად მეტრეველმა პოლიტიკური ორიენტაციაც შეიცვალა...

აი, ძალიან ლაბილური და „დრეკადია“ ქართული ჟურნალისტიკის მსოფლმხედველობა, მე და ჩემმა მზემ....

თითქმის ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ, წინა ღამით დასიზმრებულ კოშმარულ სიზმარს ზოგიერთი მეორე დღეს პრესით რომ ავრცელებს და კაციშვილი არაა პატრონი ან დაკითხოს, ან მოიძიოს ამ ინფორმაციის ნამდვილობა და რეაგირება მოახდინოს.

ქართული მედიის „ელიტარები“ ხან კიევში დაძვრებიან, ხან – ლონდონში და ხან ბრიუსელში, ხვდებიან ძებნილებს, სახელმწიფო დამნაშავეებს და ამ ხალხისთვის ხელის ხლება პრესის დევნად ითვლება – „შეუვალი“ პრინციპით – ჟურნალისტისთვის ხმის აწევა, პრესაზე ზეწოლას ნიშნავს, ხოლო პრესასთან ომში კი არავის გაუმარჯვია!

ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებებში შემჩნეული პირები, მაგალითად, ჩვენს მეზობელ „უკულტურო“ თურქეთში ქვეყნის მოღალატეებად ითვლებიან, კანონმდებლობა სჯის და ვერ შველით ვერც ეს ჩვენში ყბადაღებული ე.წ. ჟურნალისტური პრივილეგირებულობა.

საქართველოში კი ერის გენოციდში ეჭვმიტანილებთან ფულის და კეთილდღეობისთვის გარიგებაში შესული ჟურნალისტი, რადგან ჟურნალისტია, არც უნდა დაიკითხოს, ის კი არა, ბუზიც არავინ არ უნდა აუფრინოს!..

გვარამიამ, რომელიც ხან პროკურორია, ხან კომპანიის დირექტორი და როცა უნდა – ჟურნალისტი, რამდენიმეჯერ გააფრთხილა საზოგადოება და ხელისუფლება ამ შემოდგომაზე არეულობას მოგიწყობთო, ჩერგოლეიშვილი „ტაბულადან“ იმუქრება, პოლიტიკაშიც რომ ბედი სცადა და არ გამოუვიდა, ის ინგა გრიგოლია კვლავ კივის და ამ დაზაფრულ ხალხს ისევ გულს უხეთქავს, გაზეთები წერენ, რომ ქვეყანა იქცევა, ბეჭდავენ პრემიერის, ექსპრემიერების და სხვა სახელმწიფო მოხელეთა შარჟებს ხან ნიფხავში, ხან – უნიფხვოდ ისე, რომ „შარლი ებდო“ მონაგონია და ესაა ქართული მედიაპლურალიზმი, რომელიც გამორიცხული არაა, მედია კი არა, სინამდვილეში სპეცსამსახური იყოს...

ამ აღებ-მიცემობაში, სანამ საკაშვილი და მისი ნაცხროვა საელმწიფო გადატრიალებას არ მოახდენს, ჩვენ წყნარად ვუყუროთ „კურიერს“, დაველოდოთ გვარამიას რევოლუციურ „ამბოხს“ და თუნდაც სახელმწიფოებრიობის უგულებელყოფის ხარჯზე შევინარჩუნოთ „დასავლური“ მედიასტანდარტები, აბა, ბარბაროს ერდოგანს და ველურ თურქებს ხომ არ დავემსგავსებით?!...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

პროვოკაციული შეჭრა რომ არა, აფხაზებს ქართველების გამოდევნა აფხაზეთიდან არასოდეს მოუვიდოდათ აზრად

სანდო წყაროს ცნობით, ქართულ სპეცსამსახურებს დიდი ხნის წინ ჰქონდათ ინფორმაცია, ანუ იმ დროს, როცა ჯერ არ იყო დაწყებული ერაყის ომი, რომ ამერიკა სანამ ერაყს „დაარტყამდა“, მანამდე ერაყ-რუსეთის გზა უნდა გადაეკეტა, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე გადიოდა. ეს ინფორმაცია თურმე აქტიურად ტრიალებდა, ოღონდ არ ხმაურდებოდა. სავარაუდოდ, ამ მიზეზით დაიწყო ყარაბაღის კონფლიქტი, რომელსაც მოგვიანებით აფხაზეთის ომი მოყვა და ერაყში შესასვლელები გადაიკეტა. შევარდნაძემ, ვითომდა რკინიგზის დაცვის მოტივით, აფხაზეთში ჯარის ნაწილების შეყვანით დიდი შეცდომა დაუშვა. ეს სინამდვილეში პროვოკაცია იყო. ამერიკამ, როგორც კი გადაუკეტა რუსეთს გზა, მოკლე ხანში ჩაატარა სამხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ. რამდენად შეეფერება ეს ინფორმაცია სიმართლეს, წყარო დაზუსტებით ვერ ამბობს, მაგრამ ფაქტია, საეჭვოდ ემთხვევა ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტები, ამერიკა-ერაყის შეიარაღებულ დაპირისპირებასო.

ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, „საერთო გაზეთი“ აფხაზეთის უშიშროების ყოფილი მინისტრს, გენერალ **ლევან კიკნაძეს** და სხვა კომპეტენტურ წყაროებსაც ესაუბრა, რომელთაც ვინაობის ღიად დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს.

ლევან კიკნაძე: „ამ ინფორმაციის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირებების შეყვანით, დანაშაულის ტოლფასი შეცდომა ჩაიდინა იმდროინდელმა სახელმწიფო საბჭომ, ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს და დღესაც გავიმეორებ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ უარესი არაფერი დაგვემართებოდა იქაურ ქართველებს, კრემლისთვის აფხაზეთიდან ჩვენი გამოდევნის საბაბი რომ არ მიგვეცა. კიტოვანმა ზედმიწევნით შეასრულა რუსეთის სპეცსამსახურების დავალება, იმიტომ, რომ ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ამ მოვლენებს, ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან ჩვენთვის მძიმე ტექნიკის გადმოცემა, რომლებიც დაქოქისთანავე სოხუმისკენ გაემართნენ. ომის შედეგად, აფხაზეთიდან რომ არ გამოვედევნეთ, ჩვენ დღესაც იქ ვიქნებოდით და იქ დარჩენილ ქართველებს, დღეს როგორც ექცევიან, ჩვენ ამას ვერ გაგვიბედავდნენ. როგორც არ უნდა გართულებულიყო ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის, თუნდაც 1989 წლის აგვისტოს სისხლიანი დაპირისპირების მსგავსი, ორივე მხარეს გვეყოფოდა გონიერება, რომ უაღრესად ფეთქებადსაშიში ვითარება, ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომში არ გადაზრდილიყო. აზრად არავის ჰქონდა, მათ შორის, ყველაზე სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებსაც კი, ჩვენი იქიდან გამოდევნა. ნათლად ჩანს, რომ ეს იყო რუსეთის სპეცსამსახურების გეგმა, რადგან სხვანაირად ვერ დაგვიმორჩილებდნენ და არ შეიქმნებოდა ის ვითარება, რაც დღეს არის. ჩვენი გამოდევნის შემდეგ, სეპარატისტებმა ქართველების გარეშე ჩაატარეს ე.წ რეფერენდუმი და გამოაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, მიუხედვად გაეროს ცნობილი დადგენილებისა, რომლის თანახმადაც დიდი ხნის დამთავრებული უნდა იყოს, რამდენიმე ეტაპად გაწერილი დევნილთა დაბრუნების გეგმა, რუსეთი დღემდე ეწინააღმდეგება ქართველების მასიურ დაბრუნებას, ქართველები მხოლოდ გალის რაიონში დააბრუნეს. რატომ დათახმდნენ სეპარატისტები გალელი ქართველების დაბრუნებას, ამასაც თავისი ახსნა აქვს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთში მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი ქართველი მოსახლეობა იყო, ხოლო აფხაზეთის ბელელად წოდებული გალის რაიონი, ოდითგანვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ძირითად მწარმოებლად ითვლებოდა. ქართული მოსახლეობის გაჟლეტის და გამოდევნის შედეგად წარმოქმნილ ვაკუუმს, ვერაფრით შეავსებდნენ ვერც აფხაზები და ვერც აფხაზეთში ჩამოთესლილი უთვისტომო, უცხო ჯიშისა და ჯილაგის ხალხი, რომლებიც ანგრევდნენ და ანიავებდნენ ქართველების მიერ წლობით ნაშენებს. ამდენად, გალელი ქართველების დაბრუნებას, აფხაზებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, კრემლი კი დღემდე აპელირებს, რომ თითქოს დევნილების დაბრუნების პროცესი დაიწყო. რატომ არ ამთავრებს ამ პროცესს, კრემლს პასუხი არა აქვს, თუმცა პასუხის მოთხოვნას ვერავინ უბედავს, მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებით იფარგლებიან. დღეისათვის, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები (დაახლოებით 40.000-ზე მეტი ქართველია, რომლებიც ძირითადად გალისა და ახლანდელ ოჩამჩირის რაიონებში ცხოვრობენ) ხაჯიმბას უუფლებო მდგომარეობაში, უფრო ზუსტად, მონურ მდგომარეობაში ჰყავს ჩაყენებული. მე ერთხელ დავწერე კიდეც, რომ ეს არის აფხაზური აპარტეიდი, შეხამებული რუსულ შოვინიზმთან. რაც შეეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, არძინბას რეჟიმიდან მოყოლებული, „დამოუკიდებელ“ აფხაზეთის მოსახლეობის საპროტესტო აქციებს პერმანენტული სახე აქვს, რაც გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა გამოწვეული. ვითარებას უფრო ამწვავებს ხელისუფლების ნებისმიერ ეშელონში გამეფებული კორუფცია და კრიმინალთა დაუსჯელი თარეში. თუ რუსეთიდან შემოდინებულ ფინანსურ ნაკადებთან „დაახლოებულ“ ჩინოვნიკებს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ ბიზნესმენებს ქონებრივი თუ სხვა სახის გაჭირვება არ აწუხებთ, ამას ვერ ვიტყვით ძველ მეომრებზე, რომლებიც ყოველთვის თვლიდნენ და დღესაც თვლიან, რომ მათ ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული. აქვე არც ყოფილი ფუნქციონერები უნდა დაგვავიწყდეს, რომლებმაც კარგად იციან რუსული ფინანსური ნაკადის ანატომია აფხაზეთში და თანამდებობის დაკარგვისთანავე, მოხერხებულად ირგებენ ოპოზიციონერის მანტიას, რათა როგორმე ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

ერთადერთი ალექსანდრე ანქვაბი იყო, რომელმაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა “ძლევამოსილ” კლანურ დაჯგუფებებს და რაც ყველაზე მისაღები იყო ქართული მხარისთვის, იგი შეეცადა აფხაზური პასპორტების გაცემით, ნაწილობრივ მაინც აღედგინა იქაური ქართველებისთვის ადამიანის უფლებები. სწორედ ანქვაბის ხსენებულმა ნაბიჯებმა მისცეს ხაჯიმბას საბაბი, იგი პროქართველად მოენათლა, რაც აფხაზეთში ჯერ კიდევ ითვლება სამშობლოს ღალატის ტოლფასად, აქედან გამომდინარე, საპროტესტო აქციებმაც არ დააყოვნეს. ლოზუნგი - ჩამოერთვათ ქართველებს პასპორტები და დაისაჯონ პასპორტების გამცემი სამართალდამცავები, ატაცებული იქნა ანტიქართულად განწყობილი ჯგუფების მიერ, რომელთათვისაც ჯერ კიდევ „აქტუალურია“ სეპარატისტ იდეოლოგების მიერ შექმნილი მტრის ხატი, სახელად “ქართველი ოკუპანტი”.

კიდევ ერთი თემა, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო ყურადღება, ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს სულ უკან მივსდევთ, პროცესებზე შესამჩნევ გავლენას ვერ ვახდენთ და მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედზე ვართ. საქმე იმაშია, რომ არც მათ მიერ, ჩვენს სასარგებლოდ მიღებული უამრავი გადაწყვეტილებები შველის საქმეს. ის ფაქტი, რომ რამდენიმე ათეული ათასი ქართველი დღეს უუფლებო მდგომარეობაშია, გალის რაიონის აბორიგენ ქართულ მოსახლეობას აფხაზეთის მოქალაქეობას ართმევენ (თუნდაც არალეგიტიმურს), რაც აფხაზეთში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევითაა და ამას აფხაზეთის საზოგადოება არანაირი ფორმით არ აპროტესტებს, ამ უკანასკნელთ კარგს არაფერს მატებს. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს ჩვენი, ქართული მხარის ბრალიცაა. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აქილევსის ქუსლი ნდობის საკითხია, სხვათა შორის, ეს ნდობის არქონა პასპორტების ჩამორთმევის თემასაც უკავშირდება. ნდობის გარეშე, არანაირი საქმის დაწყებას, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ის, აზრი არ აქვს. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ძალზე მტკივნეულად განიცდის მთელი აფხაზური საზოგადოება და თვით კრემლსაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ჩვენ აქ მომრავლებული ლიბერასტი არასამთავრობების გადამკიდე, საკამათოდ ვხდით და პრაქტიკულად უარს ვერ ვამბობთ. ავიღოთ მიწის უცხოელებზე გასხვისების საკითხი, რასაც შეეწირა ბაღაფშის სიცოცხლე და ანქვაბის თანამდებობა. მე არ ვიცი პრემიერი კვირიკაშვილი როგორ გაიტანს ამ საკითხს, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობა, სხვა მიზეზებთან ერთად, მიწის საკითხსაც შეეწირა. გადაჭრით ვერ ვიტყვი, ხვალ რა ჭკუაზე დადგებიან აფხაზები, მაგრამ დღეს აცხადებენ, რომ ცოცხალი თავით არ დაუშვებენ მიწის სხვა ქვეყნის მოქალაქეზე გაყიდვას, თუნდაც ეს ქვეყანა რუსეთი იყოს. ვფიქრობ, მიწის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ აფხაზებზე გაცილებით მეტი უფლება გვაქვს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი თავიანთი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპების დაცვისას, თუნდაც ბევრჯერ არასწორის, განსაკუთრებით ქართველებთან მიმართებაში, უფრო ვაჟაკცურად მოქმედებენ, ვიდრე ჩვენ. იგივე ითქმის ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ დამოკიდებულებაზე და სხვა უამრავ საკითხზე, რომლებიც კავკასიურ ტრადიციებს ეწინააღმდეგება. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც ასე აღელვებს აფხაზურ საზოგადოებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი მხრიდან ნებისმიერი ფორმით გამოხატულ მორალურ მხარდაჭერას, რომელიც ყველა შესაძლებელი საშუალებით უნდა მიგვქონდეს აფხაზეთის მოსახლეობამდე. ჩვენ იმასაც კი ვერ ვახერხებთ, რომ სათანადოდ

გავაშუქოთ და აფხაზ მოსახლეობამდე მივიტანოთ ინფორმაცია, თუ რა დახმარებას უწევს მათ საქართველოს ჯანდაცვის უწყება გადაუდებელი და სტაციონალური მკურნალობის კუთხით. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ ინფორმაციების გაჟღერებით, დარტყმის ქვეშ დავაყენებთ ჩვენთან ნამკურნალებ აფხაზებს, ძალიან ცდება. არც ერთი აფხაზი ავადმყოფის ენგურს აქეთ გადმოსვლა, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე არ ხდება. ვფიქრობ, აუცილებელად უნდა გამოინახოს ამ დახმარებების გაშუქების ფორმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ც“ ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში აფხაზეთის მოსახლეობის ჩართვა. თუ სეპარატისტული რეჟიმი შეეცდება, ჩვენი ხელისუფლების ასეთი ჰუმანური ინიციატივის წინააღმდეგ წასვლას, იქაური მოსახლეობა ამის საშუალებას არ მიცემს, რაც უფრო მომგებიან პოზიციაში ჩაგვაყენებს. უამრავი საკითხია, თუნდაც სახალხო დიპლომატია, რომლის წახალისებასაც უაღრესად დადებითი როლის შესრულება შეუძლია, იგივე ქართულ-აფხაზური ნათესაური კავშირების აღდგენის კუთხით. ბუნებრივია, ამ საკითხებზე მსჯელობა საჯაროდ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ როდემდე ვუსმინოთ ტრფვარეტულ ფრაზებს და მოწოდებებს, რომლებსაც ხშირად ვისმენთ, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, რომ ყველას ვალია, წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობის, მისი ტერიტორიული

მთლიანობის აღდგენის საქმეში. ამ მოწოდებების ავტორნი ნუთუ ერთხელაც არ დაფიქრებულან, რას ნიშნავს საქმის კეთება, არ იციან, რომ ნებისმიერი საქმის კეთებას, პირველ რიგში პროფესიონალიზმი და ამ საქმისადმი თავდადება ჭირდება“.

- ბატონო ლევან, მგონი, არც ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ არიან მაინც და მაინც დაინტერესებული, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები მოგვარდეს, თუ პრობლემები მოგვარებული გვქნა, რუსეთის წინააღმდეგ საპროვოკაციოდ ხომ ვეღარ გამოგვიყენებენ?

- შეიძლება არის გარკვეული პოლიტიკური ელემენტი, მაგრამ ხელისუფლება რომ ხარ, დღეს შენს ეროვნულ ინტერესებს რაც აწყობს, ისეთი პოლიტიკა უნდა გაატარო. ბრიტანული შეგონებაა: „ქვეყანას არც მარადიული მეგობრები ჰყავს და არც მარადიული მტრები, ქვეყანას მარადიული მხოლოდ ინტერესები აქვს“. საქართველოსთვის ამ მარადიულ ინტერესებს მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებს, რაც უდიდეს გამოწვევებთან იყო და არის დაკავშირებული. ეს გამოწვევები ყოველთვის დიდ სახელმწიფოებს შორის დაუნდობელ ბრძოლას უკავშირდებოდა, ჩვენზე გავლენის მოსაპოვებლად და ყველა ხელისუფლების ზრუნვის საგანი, სწორედ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა და თვითმყოფადობის დაცვა უნდა იყოს. როცა შენი ქვეყნის ინტერესს ვაჟკაცურად წარმოაჩენ და გაატარებ, დარწმუნებული ვარ, ვინც არ უნდა იყოს, ასეთი პოლიტიკაც რომ ჰქონდეს, უკან დაიხევს. ყველაფერზე თავი არ უნდა დახარო და კი ბატონო იძახო.

ძალზე შემაშფოთებელია ჩვენს მოქალაქეების სისტემატური გატაცება შიდა ქართლში, ფაქტობრივად, სტატისტებად ვართ გადაქცეული. ვინმემ იცის დაზუსტებით, რამდენი კაცია საერთოდ გატაცებული? მერე რა რომ დააბრუნეს. წარმოგიდგენიათ, რა გადაიტანეს იმ ადამიანებმა, მათმა ოჯახებმა და ახლობლებმა? ამის აღსაკვეთად გარკვეული ღონისძიებები უნდა გატარდეს, მე არ ვამბობ ავტომატებით ვებრძოლოთ რუსეთს, მაგრამ ისეთი პოლიტიკა უნდა გავატაროთ, რომ რუსებმა ჩვენი მოქალაქეები აღარ წაგვართვან. ყველა ქართველს აინტერესებს, რატომ ვერ მივაღწიეთ ამ საკითხის ირგვლივ შეთანხმებას. ცხადია, ეს ამბავი ხელისუფლებასა და სპეცსამსახურებსაც აწუხებს, მაგრამ მარტო შეწუხება, გამოსავალი არ არის. შეიძლება ამ უაღრესად შემაშფოთებელი პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ღონისძიებები ტარდება კიდეც, მაგრამ ან პროფესიონალიზმის დეფიციტი გვაქვს, ან კიდევ ამ საკითხის გადაჭრას შესაბამისი ყურადღება არ ეთმობა. გამოსავალი ყველა პრობლემიდან არსებობს, მთავარია ამის ნებაც არსებობდეს.

მცოცავი ოკუპაცია და ქართველების გატაცება რომ 2008 წლის ომის შედეგია, ვფიქრობთ, ყველა ხვდება. ჩვენი ანონიმი რესპოდენტების აზრით, ეს ომი კრემლისა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთშეთანხმებით დაიწყო. ეს იყო გამიზნული პროვოკაცია საქართველოს წინააღმდეგ და რატომ - აფხაზეთმა, რომელიც მანამდე თავის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც არ იყო მთლიანი, კომუნისტების პერიოდში დადგენილ საზღვრებში აღიდგინა ტერიტორია, რაც კოდორის ხეობის ჩაბარების ხარჯზე მოხდა. ხეობას წლების განმავლობაში ადგილობრივებისგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი „მონადირე“ აკონტროლებდა, სანამ ნაცხელისუფლებამ არ დაშალა და განდევნა იქიდან ის მეომრები. ნაცხელისუფლებამ კოდორის ხეობას სახელიც გადარქვა და ზემო აფხაზეთი უწოდა, დაბა ჯვრიდან მოასფალტებული გზაც გაიყვანეს, ეტყობა „ზრუნავდნენ“, აფხაზებს ხეობის დაკავება არ გაუჭირდეთო, რის შემდეგაც ერთი ტყვია არ გაუსვრიათ, ისე ჩააბარეს იქაურობა. ზუსტად იგივე მოხდა ცხინვალის რეგიონშიც, 2006 თუ 2007 წლიდან მოყოლებული მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე მოიხსენიებდა სამხრეთ ოსეთს, მან ყოფილ ავტონომიურ ოლქს სტატუსი აღუდგინა არამარტო ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში, სხვა ტერიტორიებიც დაუმატა, რესპუბლიკა დაარქვა და საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩაუტარა კოკოითის ალტერნატიულ ხელისუფლებას. ასე რომ, ვითომდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის „მებრძოლმა“ ნაციონალებმა, სინამდვილეში სეპარატისტულ რეგიონებს აღუდგინეს ტერიტორიული მთლიანობა, რითაც დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპირობა შეუქმნა. ქვეყნის გამყიდველი, მართლაც კრემლის აგენტი სააკაშვილი რუსების პროვოკაციას კი არ წამოეგო, თვითონ იყო ამ პროვოკაციის მონაწილე, ოღონდ მოტყუებული დარჩა. ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყება თურმე 2006 წელსაც იგეგმებოდა, განსაკუთრებით სააკაშვილი და ბოკერია აქტიურობდნენ, კულუარული ინფორმაციით, რუსეთი ტერიტორიების ვითომდა დაბრუნებაში ფულს ითხოვდა. მაშინ ეს გეგმა ჩავარდა, თუმცა ორი წლის შემდეგ „ხორცი შეასხეს“. რესპოდენტები დარწმუნებული არიან, რომ რუსებმა ნაციონალებისგან ფულიც აიღეს, მაგრამ თავისი საქმე გააკეთეს. ნაციონალები გორში პურმარილითა და ქართული დროშებით იყვნენ ჩასული, რომ ცხინვალის „აღება“ ზარზეიმით აღენიშნათ, სწორედ ამაში გადაიხადეს ფული, რაც კოდორის ჩაბარებაში „გაქვითეს“. ამ ომის შედეგად თითქმის ნახევარი საქართველო წაგვართვა რუსეთმა და დარჩენილიც მიყიდული აქვს სააკაშვილს, გაიხსენეთ, რამდენი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი აქვს რუსეთზე ჩუმად გასხვისებული, თუმცა რატომღაც ეს კაცი, პროდასავლური მიმართულების პოლიტიკოსად ითვლება. საერთოდ, პოლიტიკაში ფულის გადახდა-აღება ყოველთვის იყო, არ არის ახალი ამბავი, მაგრამ უბედურებაა ისაა, როცა ამას საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ აკეთებ, მით უმეტეს სახელმწიფოს პირველი პირი. ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენება, ფეთჰულაჰ გიულენის შეკვეთა ყოფილა. მას თურმე სააკაშვილისთვის ფული ჰქონია გადახდილი, რომ ამ მეჩეთის აშენებაში დახმარებოდა. ეტყობა იმიტომ იკლავდა თავს სააკაშვილი, გინდა თუ არა ბათუმის ცენტრში უნდა აშენდეს საქართველოს დამაქცევარი აზიზიეს სახელობის მეჩეთიო, აცხადებენ რესპოდენტები.

ლევან კიკნაძე: „მუდმივად არსებობს კითხვები და მიდის კამათი ნაციონალები გაურიგდნენ თუ არა რუსებს და ჩააბარეს თუ არა ჩვენი ტერიტორიები. მე, როგორც სპეცსამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა, ერთი რამ ვიცი, როცა ხელისუფლებაში მოდიხარ და ხალხს კონფლიქტების მოგვარებას პირდები, მერე ვიღაცას არ უნდა გადააბრალო უარესი შედეგის მიღება. პირველ რიგში შენ თავს უნდა მოკითხო, გაანალიზო რატომ მოხდა. ჩაატარე გამოძიება... ხელისუფალი რომ ხარ, იმის ვალდებულებაც ხომ გაქვს აღებული, რომ ქვეყანა სწორი გზით ატარო. მაგრამ საქართველოში გამეფებული დაუსჯელობის სინდრომი ის გამოსავალია, რომელიც უმაღლეს თანამდებობის პირს, პრეზიდენტს, ხელშეუხლებელს ხდის და ავიწყებს იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც უფლისა და ხალხის მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობის უზარმაზარი ტვირთი ბოლომდე უნდა ატაროს. დილემამ, რომლის წინაშეც სააკაშვილი დადგა, ვერ აიძულა იგი განთავისუფლებულიყო ყოველგვარი პირადული ინტერესებისგან სწორედ იმ იმედით, რომ ვერასოდეს ვერავინ მოკითხავდა, თუ რა გააკეთა საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად. მახსენდება ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როდესაც ქართულმა მხარემ პრაქტიკულად უარი უთხრა აფხაზ პატრიოტებს რუსეთის გარეშე გადაედგათ პირველი ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარებისკენ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე გაცილებით ადრე, ნაციონალების მმართველობის საწყის ეტაპზე, აფხაზების მხრიდან ურთიერთობის დარეგულირების სურვილის გაჩენამ, გარკვეული იმედები ჩასახა. დღის წესრიგში რკინიგზის აფხაზური მონაკვეთის აღდგენის საკითხი დადგა, რომლის ირგვლივაც შეხვედრები, როგორც სოხუმში ასევე თბილისშიც იმართებოდა. პარალელურად გრძელდებოდა მოლაპარაკებები კონფლიქტის ფართომასშტაბიან მოგვარებასთან დაკავშირებით. როგორც სხვა დროს, ეს მოლაპარაკებებიც ჩიხში შევიდა და გაურკვეველი მიზეზის გამო შეწყდა კიდეც. გარკვეული დროის შემდეგ, საკმაოდ გავლენიანმა და ანგარიშგასაწევმა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი ქართულ მხარესთან საიდუმლო შეხვედრის და მოლაპარაკებებიც დაიწყო. პირველი გასაიდუმლოებული შეხვედრა უკრაინაში შედგა. აფხაზებს თავიანთი მოთხოვნები ჰქონდათ და ჩვენი წინადადებებიც აინტერესებდათ. იმ დროისათვის თბილისს შემუშავებული ჰქონდა გეგმა, თუ როგორი სტატუსით შემოვიდოდა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზებმა ეს დოკუმენტი მოითხოვეს, რათა თავიანთი შენიშვნები შეეტანათ. როგორც იქნა დოკუმენტი გადაეგზავნა აფხაზურ მხარეს. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური მხარისთვის დოკუმენტი ძირითადად, როგორც სამუშაო ვარიანტი, მისაღები იყო, მათ წარმოადგინეს თავიანთი წინადადებებიც. ამ შეხვედრაში ჩართული მონაწილეების აზრით, მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელი იყო, მაგრამ ქართულმა მხარემ პასუხი არ გადაგზავნა, რაც პრაქტიკულად მოლაპარაკების შეწყვეტას ნიშნავდა. ამის შემდეგ 2008 წლის მოვლენებიც განვითარდა, რაზეც აფხაზურმა მხარემ შემოთვალა: თუ ომს აპირებდით, ჩვენ რაღას გვაწვალებდით და დარტყმის ქვეშ გვაყენებდითო. გასაგები მიზეზების გამო, შეხვედრებში მონაწილე ადამიანების ვინაობას ვერ დავასახელებ. დასასრულ კი გეტყვით, სულ არ ვაპირებ, მით უმეტეს არ მაქვს

პრეტენზია, გავაანალიზო ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა, სურათი ისედაც ნათელია. 25 წელზე მეტია, საქართველო „დამოუკიდებელია“, ეს ბრჭყალებში მოქცეული დამოუკიდებლობა ჩვენი გაყუჩებული ტკივილი უფროა, ვიდრე ირონია. დღემდე საქართველო, როგორც სახელმწიფო არ შედგა, რა ბედი ელის ხვალ ისტორიული ქარტეხილების გზაჯვარედინზე მოქცეულ ერს, ძნელი სათქმელია“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ტრისტან წითელაშვილი:

„ნაციონალებს“ სამშობლო არ აქვთ და სამშობლოს ღალატში როგორ დავადანაშაულო?

რა ბრალდებებს უყენებს სამშობლოს „მოღალატე“ ტრისტან წითელაშვილი უსამშობლო „ნაციონალებს“?

„საერთო გაზეთის“ სტუმარია სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მონაწილე, იმ დროს ბატალიონ „ავაზას“ მეთაური, ამჟამად მაჟორიტარობის კანდიდატი, სკანდალური განცხადებებითა და ხმაურიანი გამოსვლებით ცნობილი ტრისტან წითელაშვილი.

— ბატონო ტრისტან, მართალია, ხშირად ჩანხართ სხვადასხვა ტელევიზიებში როგორც მიწვეულ სტუმრად, ასევე გასულ სიუჟეტებში, თუმცა ასეთი ვრცელი სიუჟეტი, რომელიც ორიოდე დღის წინ გავიდა „რუსთავი-2-ის“ ეთერით, დიდი ხანია აღარ მოუძღვნიათ. იქნებ, არც დაინტერესებულიყო საზოგადოება, მაგრამ ხაზგასმით გამოგაცხადეს როგორც სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებული და კვლავ მოქმედი მოღალატე. იქნებ გაგვარკვიოთ, რა ხდება?

— გასამართლებული ვიყავი 160-ე მუხლის II ნაწილით — ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვა, მოხმარება. რა დამოკიდებულება მაქვს ნარკოტიკებთან, ყველამ კარგად იცის, უპირველესად ვინც ამ მუხლით აღმიკვეთა თავისუფლება, მაგრამ აქ არ ჩანს მთავარი — როგორ გამიტაცეს აგვისტოს ომიდან რამდენიმე დღეში (26 აგვისტოს) საკუთარი ოჯახიდან საშინაო სამოსით; რა საუბრები მქონდა გამტაცებლებთან; რას ითხოვდნენ ჩემგან; რას მთავაზობდნენ გარკვეულ ადამიანებზე ხელის დადების სანაცვლოდ და რომ ვერ გამირიგდნენ როგორ გამომაჩინეს გატაცებული მესამე დღეს, უკვე 28 აგვისტოს. (სხვათაშორის, 2-3 წლის შემდეგ გლდანის ციხეში ერთ საკანში აღმოვჩნდით მე და ჩემი გატაცების ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც „ჩამოწერილად“ ცნო თავისივე „საძმომ“ და ბევრი რამ მისგანაც შევიტყვე)

რაც შეეხება „რუსთავი-2-ის“ მიერ მოშზადებულ სიუჟეტს — „რუსთავი 2“ ვისაც აქებდა ან აქებს, ის იკითხეთ რა კაცია, რითი სუნთქავს, თორემ მე სრულებით არ მაწუხებს რას იტყვიან ჩემზე და ჩემ საქმიანობაზე გარკვეულ ანაზღაურებაზე დაგეშილი ჟურნალისტები — ჟურნალისტებად არც ვთვლი მათ, უცხო ქვეყნის თუ ქვეყნების დაზვერვის ჩვეულებრივი ნომრიანი აგენტები არიან.

საკაშვილის „ჯიბის ტელევიზია“ („ფრჩხილების“ გარეშე უნდა იხსენიებოდეს ასე) „რუთავი-2“ ახმოვანებს იმას, რასაც ამჟამად ოდესაში ჩაბუდებული ჭკუანაკლული წამოყივლებს. ასე იყო წლების წინაც, როდესაც საკაშვილი ჯერ მხოლოდ მამლაყინწა იყო და საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებას იწყებდა. პირველად მაშინ დავიწყე მის წინააღმდეგ ხმამაღალი განცხადებების კეთება, როდესაც შალვა ნათელაშვილმა პოლიტიკაში ასაფრენი ბილიკი, საკრებულოს თავმჯდომარეობა მიჰყიდა საკაშვილს.

იმ დროს, როგორც სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირს, მქონდა გაეკვეული წვდომა და ინფორმაციები, მათ შორის საკაშვილის ფსიქოტიპზე და შესაბამისად მივმართე ხელმძღვანელობას. იმ დროს, ფაქტობრივად, მე ვიყავი პირველი და ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელიც ძირშივე ვეწინააღმდეგებოდი მის მოსვლას პოლიტიკაში. მაშინ მეტი არ შეეძლო და რაც დამიშავა თავისი ჭკუით, ეს იყო სიუჟეტი „60 წუთში“, რომელიც ახლანდელ სიუჟეტშიც ჩაურთეს. მაშინ არ იყვნენ ასე გაქნილები, მაგრამ ახლა რაღამ გამოაშტერათ?

— თუმცა, „რუსთავი-2-ის“ მაყურებლის დონისთვის, საკმარისია. მათ მიერ ჩემთან მოგზავნილი პირის, აკაკი გოგიჩაიშვილთან ახლო ურთიერთობაში მყოფი აიუბ პაიკაევი (აკაკი გოგიჩაიშვილის დამსახურებით ჰქონდა ამ გვარ-სახელით პასპორტი აღებული), იგივე იუსუფ ხაკიმოვის შესახებ მოვახსენე შესაბამის სამსახურს და შემდგომი მოქმედების შესახებ მითითება მივიღე, შესაბამისად, მითითების მიხედვით ვმოქმედებდი, რათა დადგენილიყო მისი კავშირები..

თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ „60 წუთის“ აღნიშნული სიუჟეტი გავიდა ისე, თითქოს ჩეჩნეთში ჩემი მიწოდებული იარაღით ედგათ სული. ერთი რამ ვერ გავიგე, თუ რუსეთის აგენტი ვიყავი და ვარ მე, როგორ მივაწვდიდი ჩეჩენ მეომრებს რუსეთის წინააღმდეგ საომრად რუსულ იარაღს, ვინ გამანძრევდა? და უმთავრესი — საკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ჩაბარა საქართველოს გვარიანი ნაწილი და გადაუფორმა იმ რუსეთს, რომლის აგენტიც მე ვყოფილვარ; საკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ მიჰყიდა საქართველოს თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი იმ რუსეთს, რომლის აგენტიც მე ვყოფილვარ და კიდევ მე ვარ რუსეთის აგენტი?

რა თქმა უნდა, მათი ეს ტელე-მაიმუნობა გავასაჩივრე სასამართლოში და აგერ, მოგიტანეთ მტკიცებულებად ასლი №2 ა/228 15/XII 2004 წ, სადაც, სარეზოლუციო ნაწილში გარკვევით წერია „დაეკისროს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-სა“ და აკაკი გოგიჩაიშვილს 5 000 ლარის ანაზღაურება ტრისტან წითელაშვილის სასარგებლოდ“. ასევე, სახელმწიფო ბაჟის გადახდაც. აქვე წერია კიდევ რა ევალებოდათ — ჩემი პატივისა და ღირსების შემლახველი ცრუ ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა. 2002 წლის 17 მარტს გავიდა აღნიშნული სიუჟეტი და ახლა იმას ატრიალებენ ისევ, რაშიც სასამართლოზე გამტყუვდნენ.

— კარგით. ახლა იმაში გაარკვიეთ საზოგადოება თქვენებურად სხარტად, რის შესახებაც გიგი კალანდაძე ძლივს ღერღავდა, რა გასაიდუმლოებულ ობიექტზე შეხვედით, რატომ და რა ფარულ გადაღებას აწარმოებდით კვლავ რუსეთის სასარგებლოდ...

— არსად არ შევდიოდი მალულად და არაფერს არ ვიღებდი — ვინ არიან ეს სულელები, კაცო! საკაშვილი სანამ შურს იძიებდა და დამაპატიმრებდა, ვიყავი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და მქონდა როგორც მნიშვნელოვანი კავშირები კონკრეტულ სამსახურებთან, ასევე კონკრეტულ ინფორმაციებზე წვდომა. შესაბამისად, უკვე საკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც გამაჩნდა ინფორმაციები საკაშვილის, კეზერაშვილისა და ბაჩანა ახალაიას მიერ ჩადენილი დანაშულებების შესახებ თავდაცვის სამინისტროში — ბოლოს და ბოლოს ერთად ვიხდიდით არაფრის გამო საკაშვილის ციხეში სასჯელს მაღალი რანგის სამხედრო ოფიცრები. როდესაც განვთავისუფლდი ციხიდან, შევქმენი დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტთა ჯგუფი და დავიწყეთ ამ დანაშაულებებზე ეტაპობრივი მუშაობა. ყველა დოკუმენტაციას, რასაც მოვიპოვებდით, ვაწვდიდით თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, ვაწვდიდით პროკურატურას და პოლიციას — ეს ყველაფერი იყო ღიად, არაფერს არ ვმალავდით.

პირველი დოკუმენტი, რაც ხელთ გვქონდა, ეს იყო იარაღის კონტრაბანდა. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტოდან უზარმაზარი თანხები იყო გახარჯული. ეს თანხები მიდიოდა საშუამავლო ფირმასთან („ბელტრეინინგი“ სეიშელის კუნძულებზე) და იქიდან გადამისამართდებოდა „უკსპეცექსპორტში“, რომელიც იარაღსა და სამხედრო ტექნიკას აწვდიდა თავდაცვის სამინისტროს, ხოლო აქედან უკვე მიდიოდა სრულიად სხვა ქვეყანაში. მტკიცებულებად წამოგიღეთ აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ჩავაბარე პროკურატურას მოთხოვნით, გაერკვიათ დოკუმენტში თვალსაჩინოდ გაწერილი ფაქტები, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა, მაგრამ რეალურად — არ იყო.

— გაარკვიეს?

— არ არის ის ტექნიკა, არ არსებობს!

— გასაგებია, მაგრამ სისხლის სამართლის საქმე ხომ უნდა აღძრულიყო...

— ამაშია საქმე! „ნაციონალებით“ ან მათგან დავალებულ-დაშინებული ხალხითაა სავსე ყველა უწყება, შსს-ც, პროკურატურაც და თავდაცვის სამინისტროც და საქმეს ვინ აღძრავს — მე ამას ყოველთვის ვამბობ.

როდესაც გაკეთდა თავდაცვითი ზღუდეების პროექტი (დედაქალაქის შემოსასვლელების დაცვაზეა საუბარი) ბაჩანა ახალაიას თავდაცვის მინისტრობის დროს, ამ დროს გენშტაბის უფროსი იყო გიგი კალანდაძე. ამ პროექტზე გამოყოფილი იყო 300 მლნ ლარი. რა თქმა უნდა, არაფერი გაკეთებულა, დაიწყეს ვითომ კეთება, მაგრამ მიატოვეს სამუშაოები, ბოსელად გადააქციეს, რომელიც საქონლის, ცხვრებისა და მწყემსებისთვის გამოდგა მხოლოდ — მაგალითად, ნახეთ, თიანეთის შემოსასვლელშია ფაქტი. ამის შესახებაც ოფიციალურად ვაცნობეთ გენინსპექციას, თავდაცვის მინისტრს და პროკურატურას.

აი, აქ ამოტივტივდა გიგი კალანდაძე, რომელსაც თავის დროზე აქვს აღნიშნული 300 მლნ-თან პირდაპირი შეხება როგორც გენერალური შტაბის უფროსს.

რა ქნას ახლა გიგი კალანდაძემ, რით იმართლოს თავი დანაშაულში ეჭვმიტანილმა პირმა, რომელიც დღეს უკრაინაშია გაქცეული და იქ თავს აფარებს ძებნილი — ზის და ჩემზე ელაილავება თავისიანებს. ახლა კიდევ სხვა დანაშაული ჩაიდინა სისხლის სამართლის 310 მუხლით — უკანონო ფორმირებების შექმნა უცხო ქვეყანაში დაქირავებული პირების მონაწილეობით. ამაზე სახელმწიფოს უნდა აღეძრა სისხლის სამართლის საქმე — ესეც ვთქვი, გავახმოვანე, მოვითხოვე რეაგირება...

ამის გარდა უამრავ დანაშაულში ვამხილე საკაშვილის ხელისუფლება, რაც ჯერ მხოლოდ სამხედრო მიმართულებისაა, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ე.წ ომთან დაკავშირებით შემოსული 4,5 მილიარდ დოლართან დაკავშირებით, რომელიც გამქრალია ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით. ამის შესახებაც გადავეცით მასალები პროკურატურას...

თვალსაჩინოებისთვის წამოგიღეთ კიდევ ერთი მტკიცებულება, სადაც ხედავთ იუშენკოსა და საკაშვილის ხელმოწერილ დოკუმენტს, რომ მათ ნამდვილად ჰქონდათ გაჩაღებული იარაღით სერიოზული ვაჭრობა უკანონოდ.

მე გენინსპექციიდან იმის ნებართვა კი არ მქონდა რომ შევ-

სულიყავი დახურული სამხედრო ნაწილების ტერიტორიებზე, არამედ, როდესაც გვქონდა გარკვეული ინფორმაციები, თხოვნით მივმართავდი რომ როგორც სამხედრო ექსპერტისთვის, მოეცათ იმის საშუალება, რომ რასაც ჩვენ ვამტკიცებდით, ეჭვსგარეშე ყოფილიყო.

მე კი არა, ყველა მოქალაქეს აქვს იმის უფლება რომ შევიდეს იმ ბაზაზე და ვთხოვე კიდეც თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციას. მივედი და მართლაც აღმოვაჩინე ის წართმეულ-შეწერილი ტექნიკა – ბულდოზერები, ექსკავატორები, „სამასვალები“... არაფერს არ ვიღებდი, რათ მინდოდა გადაღება, ჩემი თვალით ვნახე, დავრწმუნდი... რომც გადამეღო, ან რა დაშავდებოდა, გადაღებულიც იყო მანამდე და გადმოღებულიც ყველაფერი, მაგრამ არ გადამიღია...

აქ კიდევ რა არის, იცით, ხომ წაართვეს სხვებს; 1 მლნ-იც ხომ ჩაიჯიბეს; ახლა გასაყიდად ჰქონდათ გაშზადებული – სამმაგი „ხეირი“ იყო გამიზნული, მაგრამ ვეღარ მოასწრეს გაყიდვა, ახალი ხელისუფლება მოვიდა სრულიად მოულოდნელად და დარჩა გადამალული, ნადგურდებოდა. მოვახსენეთ გენინსპექციას, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია დადასტურდა...

– და, რა შუაშია რუსეთი?

– ჩემთან რა კავშირშია რუსეთი – დღემდე არ ვიცი, მაგრამ მათთან იმ შუაშია რუსეთი, რომ ისინი ყოველთვის აკეთებდნენ და აკეთებენ რუსეთის საქმეს. რამენაირად ხომ უნდა ეცადონ ამის გადაფარვას და მომადგნენ მე. ტვინი ვისაც არ უმუშავებს, მე ვერაფრით დავეხმარები, ჩარჩენილები არიან „რუსთავი-2-ის“ დონეზე...

საქართველოს აქამდე მოტანილი მხარეები (მეტი არ დასცალდათ) ხომ 6 საათში გადაუფორმეს რუსეთს და ახლა უკრაინაში შეხიზნულ-შეტენილები უკრაინას დაეცნენ მაოხრებლად. მათ ჩააბარეს რუსეთს სევასტოპოლი; მათ ჩააბარეს რუსეთს ყირიმი, დონბასი და მე ვარ კიდევ რუსეთის აგენტი?...

– რუსული მედიისთვის მიცემული თქვენი ინტერვიუები მოიყვანეს თქვენი რუსეთის აგენტობის მტკიცებულებად...

– სწორად იგივე ხასიათის ინტერვიუ მივეცი როგორც ამერიკელ, ისე კანადელ ჟურნალისტებს; იგივე სახის ინფორმაცია და კიდევ უარესი ღიად ვთქვი ჩემ გამოსვლაში მიუნხენში და დავურთე ყველა ფორმის მტკიცებულება; იგივე ინფორმაციას ვამბობდი ღიად საქართველოში მედიით; იგივეს და უარესის თქმას ვაპირებდი ჩერნოგორიაში, სადაც მიწვეული გახლდით და თურქეთის ამბებმა გადადო ეს შეხვედრა; დამიკავშირდა „გარდიანი“ და არც იქ დავაკლებ; მოვიდა „რუსთავი-2“ და არც მათთვის მითქვამს უარი. ინტერვიუ დაარქვას ვისაც უნდა, მაგრამ მე ჩემი სიმართლის ხალხთან მიტანისთვის ყველა საშუალებას გამოვიყენებ.

რაც შეეხება ქართველ სნაიპერებს უკრაინაში – რატომ აიგივებენ საქართველოსა და ქართველს სააკაშვილთან? ინტერვიუშივე გარკვევით ვამბობ კონკრეტულად სააკაშვილზე, გიორგი ბარამიძეზე და გივი თარგამაძეზე, რომ ოთხი სნაიპერი, რომლებიც მოქმედებდნენ მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ კიევში, მათ ჩაყვანილი ჰყავდათ საქართველოდან. საერთაშორისო მედიამ აიტაცა ეს ნათქვამი და ჩემი ამ განცხადების შემდეგ კეტრინ ეშტონმა თქვა რომ ეს მართლაც არ იყო ოფიციალური მხარის სნაიპერები, ესენი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ჯგუფები, რაც გამოსარკვევია. გამოვარკვიე და დავასახელე კიდეც მათი ვინაობა. ასევე, როდის ჩავიდნენ და დაიწყეს მოქმედება. ვთქვი და ყოველთვის ვიტყვი ხმამაღლა იმას, რაც საჭიროა რომ ყველამ იცოდეს! ამასთანავე, ყოველთვის პასუხისმგებელი ვარ ჩემს განცხადებებზე – ეს არ არის რუსეთის აგენტობა...

რომ არ ვჩერდები, არც ვიღლები და არც იმის პირი მიჩანს რომ რამე გამაჩერებს სანამ მიზანს არ მივაღწევ, ეს აგიჟებთ ამ ავადმყოფებს...

პირიქით, ახლა უფრო დიდ და სერიოზულ ბრძოლებში ჩავები – გავერთიანდი მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში „ჩვენი სამშობლო“, რომელმაც წარმადგინა ბაღდათის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატობაზე;

გარდა ამისა, ჩავატარე გამაფრთხილებელი აქცია აშშ-ის საელჩოსთან სადაც პირდაპირ მოვუწოდე აშშ-ის ელჩს რომ მან აკეთოს ის საქმე, რაც მას ევალება დიპლომატიურ ჩარჩოში და არა ის, რასაც აკეთებს – ერევა საკადრო პოლიტიკაში; ერევა კანონმდებლობაში; სამართალში და ა.შ ბოლოს და ბოლოს, აშშ-ის ელჩმა უნდა გვიკარნახოს ვინ ვისთან დავწვეთ? ამიტომ მივუწოდე, თავი დაგვანებეთ, ნუ ერევი ჩვენს საშინაო საქმეებში-მეთქ;

შემდეგი აქცია „ნაციონალების“ სათაო ოფისთან ჩავატარეთ, სადაც სააკაშვილის ფიტული დავწვით და მოვითხოვეთ ამ ტერორისტულ-სექტანტური ორგანიზაციის გაუქმება.

წელან სიტყვა „ავადმყოფები“ ვახსენე, რაც ნამდვილად არ ყოფილა წამოცდენა და განვმარტავ რას ვგულისხმობდი – „ნაცმოძრაობა“ არის ავადმყოფური დაჯგუფება, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ვირუსი რომელმაც განიცადა მუტაცია და იქცა საშინელებად, რომელიც პირდაპირ არის მიმართული საზოგადოების წინააღმდეგ. ეს არის ადამიანების სიძულვილით დაინფიცირებული ჯგუფი, რაც აუცილებლად და სასწრაფოდ ითხოვს მათი რაიმე სახით იზოლირებას.

ახლა, ოთხშაბათს, უკრაინის საელჩოსთან ვატარებთ აქციას და მივმართავთ უკრაინის ხელისუფლებას, პეტიციას ვუგზავნით პოროშენკოს. ვეუბნებით, რომ მის ხელისუფლებაში არიან საერთაშორისო მნიშვნელობის განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები – უპირველესად, ძებნილი სააკაშვილი, რომელსაც „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებთან აქვს კავშირი; ადეიშვილი, ლორთქიფანიძე და ა.შ ვითხოვთ მათ გადმოცემას თავიანთსავე სამშობლოში და თუ ფინანსური პრობლემები აქვთ, ჩვენ, ჩვენი პარტია „ჩვენი სამშობლო“ ვუზრუნველჰყოფთ მათ ექსტრადირებას.

– თქვენ რას იტყვის, რატომ ინახავს უკრაინა მათ.

– იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი მავნებელი დაჯგუფება არის პენტაგონის მიერ შექმნილი ისეთი ვირუსი, რომელსაც უკვე თვითონ პენტაგონიც ვეღარ აკონტროლებს და ტექნიკურად ცდილობს მის ჩამოშორება-მოშორებას.

რა სიუჟეტებიც უნდა ის გაუშვას „რუსთავი-2-მა“, ჩვენ ვაგრძელებეთ მოქმედებას და ხუთშაბათს ბათუმში ჩავატარებთ აქციას, სადაც ასევე, დავწვავთ სააკაშვილისა და მისი მამობილის, გიულენის ფიტულს.

– საარჩევნოდ დესტაბილიზაციაზე ითქვა, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლისთვის ემზადებიანო...

– არა მხოლოდ ახლა და საარჩევნოდ, არამედ, დიდი ხანია ემზადებიან. ჰქონდათ მცდელობები, მაგრამ მიზეზთა გამო არ გამოუვიდათ. ახლა, პირველი დესანტირება მოხდა აჭარაში ვარშალომიძის სახით. მას დავალებული აქვს რომ შეაგროვოს მცირე შეიარაღებული ჯგუფები, რაც მოახერხა კიდეც 28 წერტილში, მხოლოდ, თურქეთში რა მოხდებოდა, იმაზე იყვნენ ფოკუსირებული, თუ სასურველი სცენარით წარიმართებოდა მოვლენები, მას მიებმოდა საქართველო და სომხეთი. გირჩი-მირჩი, ბურჭულა-ჭურჭულა, უკრაინელი „ქლიავი“ ჩერნოვეცკი – რას არ ეცადნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ არაფერი, ამიტომ ახლა მთელი ძალისხმევა იქით აქვთ მიმართული, რომ სერიოზულად იმავნებლონ.

სამთავრობო ცვლილებები

თავდაცვის მინისტრის პოსტი **ლევან იზორიამ** დაიკავა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კი **ქეთევან ციხელაშვილი** გახდა. ახალი მინისტრები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე წარადგინა.

გიორგი კვირიკაშვილი: „მინდა, წარმოგიდგინოთ სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ქალბატონი **ქეთევან ციხელაშვილი**. იგი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი; იყო აკადემიური მკვლევარი ფრიბურგის უნივერსიტეტში – შვეიცარიაში; ირლანდიაში, ლიმერიკის უნივერსიტეტში გავლილი აქვს კურსი ევროპული ინტეგრაციის საკითხებში. არის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრი. ქეთი ასევე იყო ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და თავდაცვის სამმართველოს მკვლევარი; მუშაობდა უმცირესობების საკითხთა ევროპულ ცენტრში გერმანიაში; იყო კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პროგრამის მენეჯერი და უფროსი ანალიტიკოსი. პროფესიით ქეთი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია და კითხულობს ლექციებს ევროპათმცოდნეობაში. იგი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. დარწმუნებული ვარ, იგი წარმატებული მინისტრი სახელმწიფო მინისტრი იქნება,“ – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი: „თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე წარმოგიდგენთ **ლევან იზორიას,** რომელიც დღემდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე იყო. ლევან იზორია არის სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1999 წელს მიენიჭა გერმანიის ქ. გოტინგენისგეორგ–აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრის,ხოლო 2002 წელს ამავე ფაკულტეტის მიერ სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი უმაღლესიშეფასებით. იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, უფრო ადრე კი — შინაგან საქმეთასამინისტროს აკადემიის რექტორი. 2007–2008 წლებში იგი იყო „საქართველოს უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის დეკანი. 2008-2009 წლებში მოღვაწეობდა, როგორც პროფესორი გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში. ასევე იყო ჰაიდელბერგის მაქს პლანკის უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორი, ჰუმბოლდტის სტიპენდიით. ლევან იზორია არის 4 წიგნის ავტორი და 5 წიგნის თანაავტორი. ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს“, – აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრმა წარმატებები უსურვა ახალ მინისტრებს და იმედი გამოთქვა, რომ ისინი მმართველი გუნდის ღირსეული წევრები იქნებიან.

გიორგი კვირიკაშვილი:

ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ქვეყანაში ნებისმიერი საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და მშვიდობის შენარჩუნებაა

„აუცილებლად უნდა ავღნიშნო, რომ შეუძლებელია ამაყი არ იყო, როდესაც ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხას კვლავ დაუბრუნდა მცხეთის უნიკალური ისტორიული ძეგლები. ყველას მინდა მოგილოცოთ ეს ამბავი“ - განაცხადა **მცხეთა-მთიანეთში** სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** და მოსახლეობას მთავრობის მიერ 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია.

„მარტო მცხეთა-მთიანეთში არაერთი სერიოზული პროექტი განვახორციელეთ: რეაბილიტაცია ჩაუტარდა საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთს; აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მრავალ სხვა გზასა და ხიდს, სასმელი წყლის სისტემებს, სანიაღვრე და ნაპირსამაგრ სისტემებს, წყალმომარაგებისა და სარწყავ სისტემებს; აშენდა და განახლდა საბავშვო ბაღები, სკოლები; გამრიცხველიანდა და 30 ათასზე მეტ ოჯახს სტაბილურად მიეწოდება ელექტროენერგია,“ – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა პროექტზე „სინათლე ყველა სოფელს“, რომლის ფარგლებშიც ელექტროფიცირდა უშუქო სოფლები, წლის ბოლომდე კი დასრულდება კიდევ რამდენიმე ოჯახის ელექტრიფიცირება; ბუნებრივი აირის ქსელში ჩაერთო 7 ათასამდე ოჯახი; წლის ბოლომდე კიდევ 1500-ზე მეტი ოჯახი ბუნებრივი აირის მომხმარებელი გახდება.

პრემიერმა ისაუბრა მეწარმეების, გლეხებისა და ფერმერების დასახმარებლად ამოქმედებულ პროგრამებზე, რომელთა ფარგლებშიც, გაიხსნა და გადაიარაღდა საწარმოები, დამუშავდა მიწები, მოსახლეობას უსასყიდლოდ გადაეცა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სასუქი, სათესლე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები. გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას, მაღალ მთაში სტიქიური უბედურებებისა და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციების პრევენციის მიზნით ჩატარებულ სამუშაოებზეც მიაწოდა ინფორმაცია მოსახლეობას.

„დარიალის ხეობაში ჩვენ დავამონტაჟეთ თანამედროვე სასიგნალო სისტემა. სწორედ ამ სიგნალის წყალობით მოვახერხეთ ხალხის დროულად ევაკუაცია და სიცოცხლის გადარჩენა სტიქიის ბოლო შემოტევის დროს.“ – აღნიშნა პრემიერმა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მთის კანონის მიღების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთის კანონის წყალობით, პირველი სექტემბრიდან დანამატებით ისარგებლებენ პენსიონერები, მასწავლებლები, ექიმები, ექთნები; საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ მეწარმეები; სოციალური პაკეტით კი უკვე სარგებლობენ ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახები.

„საქართველოსთვის მთა ბუნებრივი კარიბჭე და მცველია, იქ მცხოვრები თითოეული მოსახლე კი ჩვენი სამშობლოს ნამდვილი მესაზღვრეა. ამიტომაც მას განსაკუთრებული ყურადღება და პატრონობა სჭირდება. ჩვენგან განსაკუთერებული ყურადღების შედეგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მთაში დაბრუნდეს ძირძველი მოსახლეობა და რა თქმა უნდა, მთა არ უნდა დაცარიელდეს. მთის კანონის შემოღებით ჩვენ მნიშვნელოვანი დახმარება გავუწიეთ მთაში მცხოვრებ ჩვენს გმირ ხალხს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრმეიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა გუდაურში ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მოწყობის მნიშვნელობაზე, რამაც გაზარდა ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა და ადგილობრივ მოსახლეობას მეტი სარგებელი მოუტანა. პრემიერმა ასევე ისაუბრა ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტზე, როგორიცაა არხოტის 25-კილომეტრიანი გზის მშენებლობა.

„ეს, ნამდვილად, საამაყო პროექტია. იცით, რომ პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის დამაკავშირებელი გზა აქამდე არ არსებობდა. ვისურვებდი, რომ არხოტისკენ სამანქანო გზის გაჭრა მთაში დაბრუნების სიმბოლოდ იქცეს. აი, ეს არის ჩაყრილი ფუნდამეტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მომავალ 4 წელიწადში კიდევ უფრო მაშტაბური საქმეები წამოვიწყოთ და ბოლომდე მივიყვანოთ“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ პარტიის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი გამოთქვა.

„რეალური პოლიტიკით, რეალური ნაბიჯებით ჩვენ მივაღწევთ ქვეყნის წინსვლასა და გაძლიერებას! ამ გზაზე თქვენი ნდობა და მხარდაჭერა გვჭირდება. მჯერა, რომ არჩევნებში ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ! „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, როგორც უალტერნატივო ძალა დღეს, რომელსაც ქვეყნის სწორი გზით განვითარება შეუძლია“, – დასძინა პრემიერმა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის გამოსვლამდე მცხეთელებს პარტიის გენერალურმა მდივანმა **კახა კალაძემ** მიმართა: „არსად ისე არ ტრიალებს თავისუფლების სული, როგორც აქ, ამ უძველეს მიწაზე, ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და ერთად უნდა შევინარჩუნოთ ის“.

ვიცე-პრემიერმა 4 წლის მანძილზე განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა, მათ შორისაა მთის კანონი, რითაც მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია მთის ხალხს.

„ჩვენ ავღორძინებთ მთასაც და ბარსაც, დავიცავთ მემკვიდრეობას მამა-პაპათა ტრადიციებს, ჩვენ ერთად ვიყავით 4 წლის წინაც და დღესაც ერთად ვართ, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ“, – განაცხადა კახა კალაძემ

„მცხეთაში, ნამდვილად სულ სხვა მუხტია – შეუძლებელია, როცა ამ მიწაზე დგახარ განსაკუთრებული სიმძაფრით არ იგრძნო, რამხელა ისტორიასა და ტრადიციებს ინახავს ეს ქალაქი, რამხელა კულტურისა და სულიერების, რამხელა ცივილიზაციის წარმომადგენე ლი ხარ“, – აღნიშნა ასევე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელმაც მოსახლეობას მცხეთა-მთიანეთში პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა.

* * *

„ძალიან სასიამოვნო გრძნობაა, როდესაც იმყოფები მართლაც საქართველოს ციხე-სიმაგრეში, ჩრდილოეთის კარიბჭეში, რომელიც ყოველთვის იყო ჩვენი სიამაყე და ყოველთვის იყო დამცავი საქართველოსი, აქ განსაკუთრებულად გმირული სულის ხალხი ცხოვრობს და მე მეამაყება, რომ დღეს თქვენთან ვართ“, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **სტეფანწმინდაში** შეკრებილ მოსახლეობას.

მთავრობის მეთაურმა ადგილობრივ მოსახლეობას უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია. „2020 წლისთვის განმავლობაში უნდა დასრულდეს საქართველოს მთავარი სატრანზიტო მაგისტრალები, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ახალი პროექტი მცხეთა - ვლადიკავკაზის ავტობანის, ეს არის მნიშვნელოვანი საქართველოს განვითარებისთვის, რომ ლარ-

→

სიდან მცხეთამდე და ალბათ, აქ საჭირო იქნება თანამშრომლობა ჩვენს მეზობელთანაც, ეს საინჟინრო გადაწყვეტაზე იქნება დამოკიდებული, იქნება უფრო ფართო გზა, ვიდრე დღეს არის თუ იქნება 4-ზოლიანი გზა, თუ ამის საშუალებას მოგვცემს საინჟინრო გადაწყვეტა. ალბათ, უნდა გაფართოვდეს და ნამდვილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ავტობანი გაკეთდეს. ეს ძირეულ ცვლილებებს შეიტანს, რა თქმა უნდა, სტეფანწმინდის განვითარებაში და რა თქმა უნდა, ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იმ კუთხითაც, რომ გაცილებით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება აქ. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იმისთვის, რომ სატრანზიტო პოტენციალი განვითარდეს, და რა თქმა უნდა, ამასთან ერთად ტურისტული პოტენციალიც. ეს არის ალბათ, მსოფლიოს ერთ ერთი ულამაზესი კუთხე ყველანაირი გადაჭარბების გარეშე. ამას გარდა, ჩვენ ვგეგმავთ, რომ კობიდან გუდაურამდე ეს ჩრდილოეთის ფერდობი განვავითაროთ, რაც თავისთავად სტეფანწმინდას უკვე გადააქცევს

ზამთრის კურორტად, და ნებისმიერი საოჯახო სასტუმრო, რომელიც დღეს არის სტეფანწმინდაში, დაიტვირთება უკვე არა მხოლოდ ზაფხულის პერიოდში, არამედ ზამთრის პერიოდშიც, ვინაიდან აქედან დაინიშნება რეგულარული ტრანსპორტი კობის მიმართულებით, საიდანაც უკვე გუდაურის კურორტზე შესაძლებელი იქნება დასვენება და რა თქმა უნდა შემდეგ ისევ დაშვება და სტეფანწმინდაში ღამის გათევა. ამიტომ ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არ არის აბსტრაქტული, ეს არის ძალიან კონკრეტული ნაბიჯები. 2017 წელს ჩვენ უკვე დავიწყებთ ამ გეგმების განხორციელებას, გზის პროექტირება უკვე დაწყებულია, კობის მიმართულებით ვმუშაობთ საფრანგეთის კომპანიებთან, რათა მათთან ერთად მოხდეს რესურსის მოზიდვა და ამ საბაგირო ზოლის აშენება. ეს ყველაფერი იქნება უმნიშვნელოვანესი, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ გვჭირდება მშვიდობა და სტაბილურობა“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

„ჩრდილოელ მეზობელთან პრაგმატული პოლიტიკის შედეგად ჩვენ შევძელით ის, რომ სამხედრო გართულებების საფრთხე თავიდან ავიცილეთ. 4 წლის მანძილზე საქართველოს დასავლეთთან საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ძალიან დიდი პროგრესი ჰქონდა. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ გვჭირდება მშვიდობა, სტაბილურობა. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ოთხი წელი ისე გავიარეთ, რომ ერთი მხრივ, გვქონდა ძალიან დიდი პროგრესი დასავლეთთან საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და მეორე მხრივ, ჩრდილოელ მეზობელთან პრაგმატული პოლიტიკის შედეგად ჩვენ შევძელით ის, რომ სამხედრო გართულებების საფრთხე ავიცილეთ თავიდან. ჩვენ მომავალში აუცილებლად უნდა გადავდგათ ნაბიჯები ვითარების, ურთიერთობის ნორმალიზიციისთვის, რა თქმა უნდა, არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის ხარჯზე. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ამ რეგიონში, სადაც ვიმყოფებით გაცილებით მდგრადი, გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა იყოს და თქვენ დაგეგმოთ თქვენი ცხოვრება, საქმიანობა, თქვენი შემოსავლები იყოს გაცილებით მაღალი, ვიდრე დღეს არის. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა მთის კანონის ავტორებს დააღნიშნა, რომ კანონის სამივე ავტორი ამ რეგიონის წარმომადგენელია და ძალიან ბევრი იშრომეს იმისთვის, რომ ეს კანონი დაწყებულიყო და ბოლოში გასულიყო. **ზაქარია ჟუცნაშვილმა** მთავრობის მეთაურს ნდობის გამოცხადებისთვის მადლობა გადაუხადა. მაჟორიტარი დეპუტატობის წარდგენას ესწრებოდნენ **კახა კალაძე, ირაკლი ტრიპოლსკი, მირიან ფიკლაური, დიმიტრი ხუნდაძე.**

საქართველოს პრემიერმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქარათველოს“ თავმჯდომარემ, გიორგი კვირიკაშვილმა, თიანეთის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **ზაქარია ჟუცნაშვილი** წარუდგინა. „ზაქარია აქტიური დაწარმატებული დეპუტატია. ის მთის კაცია და ყველაზე კარგად იცის რა გტკივათ და რა გიხარიათ“.

პრემიერმა ისაუბრა 4 წლისგანმავლობაში განხორციელებულ პროექტებსა და მიღწევებზე, მათ შორის ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის რეფორმებზე. „ამ მიღწევების წყალობით მეტი და მეტი ადამიანი უნდა დასაქმდეს და ყველა ოჯახში უნდა შევიდეს კეთილდღეობა. ჩვენი გუნდი პროფესიონალებისგან შედგება და ჩვენ გვაქვს სწრაფი განვითარების გეგმა“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. ზაქარია ქუცნაშვილმა პრემიერს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და მოსახლეობას სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. „ჩვენ თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთ, ჩვენი მოსახლეობა, ნამდვილად, იმსახურებს მშვიდობას, თავისუფლებასა და კეთილდღეობას” – განაცხადა **ზაქარია ჟუცნაშვილმა.**

* * *

„ჩვენ მართლა დიდი ქვეყნის შვილები ვართ“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა ლუშეთში** განაცხადა, სადაც ადგილობრივებს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ზაქარია ქუცნაშვილიწარუდგინა. „დღეს ვიზეიმეთ უდიდესი დღესასწაული ვაჟაობა, დღესასწაული, რომელიც ქართველი კაცის სულიერების სიღრმეზე მიუთითებს და მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად უკიდეგანოა ქართველი კაცის კაცთმოყვარეობა. ჩვენ მართლმადიდებელი ქვეყნის შვილები ვართ, შესანიშნავ ზეიმზე ჩვენ ვაჟას პოეზია წაგვიკითხა ჩვენმა საყვარელმა ადამიანმა გუჯა ბურდულმა. ჩვენ იმ ადგილას ვიმყოფებით, რომელიც ყოველთვის საქართველოს უსაფრთხოების და ყოფნა-არყოფნის დროს, გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა საქართველოსთვის ბრძოლაში. მთიელები ყოველთვის, საუკუნეების მანძილზე იდგნენ საქართველოს დამცველთა რიგებში პირველ ადგილზე. დღეს ჩვენ უნდა შევეხიდოთ მთას და უნდა დაგიდგეთ გვერდით, რომ საქართველო გადავარჩინოთ. მთის გარეშე საქართველოს განვითარება შეუძლებელია, და საქართველოს, ქართველი კაცის ბუნების, მისი საუკეთესო თვისებების შენარჩუნება შეუძლებელია“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. არ შეიძლება ქართველებმა ვიცხოვროთ, ვისუნთქოთ და ვიკვებოთ პოლიტიკით. ეს არის ერთ-ერთი დამახასიათებელი ჩვენი გუნდის, ჩვენ გვინდა დავამშვიდოთ საზოგადოება. არ შეიძლება ქართველებმა ვიცხოვროთ მხოლოდ პოლიტიკით, არ შეიძლება ვისუნთქოთ და ვიკვებოთ პოლიტიკით, არ შეიძლება ყოველდღე ვუყუროთ ტელევიზიით, თუ როგორ ილანძღებიან ადამიანები, როგორ აყენებენ ერთმანეთს შეურაცხყოფას, ეს ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დამთავრდეს, ეს ფურცელი უნდა გადავშალოთ და დავიწყოთ ერთმანეთის პატივისცემაზე და სიყვარულზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა“, – განაცხადა პრემიერმა.

„ქართული ოცნება“ არის ქვეყანაში ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც დღეს ადამიანებს აწუხებთ, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა **კახა კალაძემ ლუშეთში** განაცხადა, სადაც მან პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას ყაზბეგში, დუშეთსა და თიანეთში მაჟორიტარობის კანდიდატი **ზაქარია ჟუცნაშვილი** წარუდგინა. „თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ თვითკმაყოფილები ვართ და მხოლოდ განხორციელებულზე ვსაუბრობთ. ჩვენ გვესმის ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს რეგიონში, რაიონებსა და სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს. ჩვენ გვჯერა და ვფიქრობთ, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ არის ქვეყანაში ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც დღეს ადამიანებს აწუხებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ პრობლემებს აუცილებლად მოვაგვარებთ ერთად დგომით, ჩვენი ერთსულოვნებით“, – მიმართა კალაძემ მოსახლეობას. მისივე თქმით, საქართველოში ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებისა, განსახვევებული აზრისა, არის თავისუფალი. „ჩვენი მთავარი მონაპოვარი თავისუფლებაა. დღეს ჩვენ ნამდვილად გვეამაყება ის, რომ საქართველოში ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებისა, განსახვევებული აზრისა, არის თავისუფალი. მე მეამაყება ის, რომ დღეს საქართველოში ჩვენი პოლიცია დეპოლიტიზირებულია. ისინი ემსახურებიან ხალხს და არა რომელიმე პარტიას, ან ხელისუფლებას. ისინი ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას თავიანთი სიცოცხლის ფასადაც. მე ნამდვილად მემაყება ის, რომ საქართველოში დღეს სიტყვის თავისუფლებაა და ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი ხედვა, გეგმა ქვეყნის განვითარების, გააცნოს საქართველოს მოქალაქეებს და მოქალაქეებმა მშვიდობიანი, ცივილიზებული გზით, არჩევნების გზით მიიღონ გადაწყვეტილება, თუ ვინ იყოს კვლავ ქვეყნის ხელისუფლებაში. მე მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გუნდი არის „ქართული ოცნება“. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გამარჯვება 8 ოქტომბერს არ იქნება მხოლოდ ჩვენი აქტივისტების, მხარდამჭერების გამარჯვება, არამედ ეს იქნება სრულიად საქართველოს გამარჯვება, რადგან პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვება პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობასთან“, – განაცხადა კახა კალაძემ. ®

გიორგი კვირიკაშვილი:

„ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, ერთადერთი ძალა, რომელსაც ერის კონსოლიდაცია შეუძლია!“

ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** მოსახლეობას **შიდა ქართლის** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა. „ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ ქალაქ გორში წარმოადგენს **იოსებ მაკრახიძე,** გორის რაიონში **თენგიზ ხუბულური,** ხაშურში – **ვალერი გელაშვილი,** ქარელში – **გიორგი თოთლაძე,** კასპში – **ირაკლი მეზურნიშვილი.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლა აგვისტოს ომის გახსენებით დაიწყო და დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო. „ქედს ვიხრი ამ მხარის გმირობის წინაშე, ქედს ვიხრი თითოეული თქვენგანის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩემი პატივისცემა დაგიდასტუროთ და გითხრათ -დღეს რომ ქართლი და მთლიანად საქართველო ისევ ფეხზე დგას, თქვენი გამძლეობის, თქვენი თავდადებისა და სამშობლოს ერთგულების დამსახურებაა“, – ასე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გორში შეკრებილ მოსახლეობას.

„სამწუხაროა, რომ ქართველებს 21-ე საუკუნეში ისევ მოგვიხდა სისხლისღვრა საკუთარი მიწისთვის, ბრძოლა სამშობლოსთვის და აქაც ქართლმა კიდევ ერთხელ საკუთარ თავზე მიიღო დარტყმა, კიდევ ერთხელ შეასრულა მისია, რომელიც მას ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა. დღეს კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო აგვისტოს ომში დაღუპულები და კიდევ ერთხელ პატივი მივაგო მათ ხსოვნას. ქედს ვიხრით ყველანი მათი უკვდავი სულების წინაშე“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის მეთაურმა მშვიდობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მთავარი საზრუნავი ქვეყანაში ნებისმიერი საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და მშვიდობის შენარჩუნებაა. „როდესაც „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ბრძოლაში ერთვებოდა, ჩვენი მიზანი იყო გონივრული პოლიტიკის გატარება და ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, ნებისმიერი საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და ჩვენ ეს მოვახერხეთ. თუმცა საფრთხე არ გამქრალა, დღესაც დიდი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ შევინარჩუნოთ ეს ძნელად მოპოვებული მშვიდობა.ქართველებს არც წარსულისა და არც მომავლის წინაშე უფლება არა გვაქვს ნაჩქარევად მივიღოთ გადაწყვეტილებები. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ წარსულის შეცდომები. თუმცა არასოდეს შევეგუებით ჩვენი ტერიტორიის ჩვენი მიწა-წყლის ოკუპაციას და ყველა მშვიდობიანი ხერხით ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს გამთლიანებისთვის“, – განაცხადა პრემიერმა. გიორგი კვირიკაშვილმა დევნილებს გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობა მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებითვის ძალ-ღონეს არ იშურებს: „მინდა მივესალმო დევნილებს და მადლობა ვუთხრა მათ გამძლეობისთვის. ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მათ ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ. ჩვენ ძალიან ბევრ ოჯახს უკვე გადავეცით ბინა და დღეს ეს ხალხი საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრობს.

დაგეგმილი გვაქვს, 2017 წელს მთლიანად გადავჭრათ შიდა ქართლის დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პრობლემა“, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობას მთავრობის მიერ 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ საგადასახადო რეფორმა და მეწარმეობის ხელშეწყობა, ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლება, გამართული ინფრასტრუქტურა და მმართველობის ეფექტიანი სისტემა – ეს არის ის, რაც დღეს ადამიანების ცხოვრებას მაქსიმალურად შეცვლის უკეთესობისაკენ. „ჩვენ ყურადღებას და მზრუნველობას არ ვაკლებთ საზღვრისპირა სოფლებს, განვახორციელეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, შეუმსუბუქებს ცხოვრებას ჩვენს ხალხს, რომლებსაც მორალურადაც და ფიზიკურადაც ურთულეს პირობებში უწევთ ცხოვრება. მინდა მათ ვუსურვო გამძლეობა და ვუთხრა, რომ სახელმწიფო მათ გვერდზეა“, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა და ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია საოკუპაციო ზოლთან არსებულ სოფლებში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.

„საოკუპაციო ზოლთან არსებულ ყველა სოფელში, და ასეთია 56 სოფელი, უკვე დასრულდა გაზიფიცირება და დღეისათვის ყველა უზრუნველყოფილია გაზით. ასევე ყველა ეს სოფელი გამრიცხველიანებულია. 19 სოფელში მოეწყო წყალმომარაგების სისტემა, 2017 წლის ბოლომდე კი ყველა სოფელს ექნება წყალი. 17 სოფელში ავაშენეთ ახალი ამბულატორია. ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს და ვეხმარებით ამ ზონაში მცხოვრებ ახალგაზრდებს განათლების მიღებაში და ვაფინანსებთ სტუდენტების საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლის საფასურს. მინდა გითხრათ, რომ კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შევუმსუბუქოთ მორალური ტვირთი ამ სოფლების მოსახლეობას“, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი გამოთქვა.

„ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, და გაიმარჯვებს, როგორც ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ერის კონსოლიდაცია, ქვეყნის სწრაფი განვითარება და ხალხისათვის კეთილდღეობის მოტანა“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გორში შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა ვიცე-პრემიერმა **კახა კალაძემ.** „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა იმედი გამოთქვა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მათი მხარდაჭერის. „მე მჯერა 8 ოქტომბერს გავიმარჯვებთ, ეს არ იქნება მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვება. ეს იქნება მთელი საქართველოს გამარჯვება. კახა კალაძემ სიტყვით გამოსვლისას 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირები გაიხსენა და პატივი მიაგო მათ ხსოვნას. „რამდენიმე დღეში ისევ გავიხსენებთ 8 აგვისტოს. გორმა ბევრი სისხლი და ტკივილი ნახა და ამიერიდან ჩვენი მთავარი საზრუნავია მშვიდობაა“, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა. ®

კლინტონის ოჯახის საიდუმლოებები: ბილმა ამაზე ილაპარაკა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად პირველად აირჩიეს ქალი

მელორ სტურუა

ფილადელფიაში, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, შტატების მიხედვით ხმის მიცემის დამთავრებისთანავე, 6 საათსა და 39 წუთზე, სამხრეთ დაკოტის შტატმა 15 ხმა მისცა ჰილარი კლინტონს, რის შედეგადაც მან მოაგროვა 2382 ხმა – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი რომ გამხდარიყო. ამ ისტორიული მოვლენის „მიზეზი“ ყრილობას წარუდგა ვიდეოს მეშვეობით ნიუიორკიდან, რითაც „შუშის ჭერი გახვრიტა“.

ამერიკულ პოლიტიკურ ფოლკლორში „შუშის ჭერის გახვრეტა“ ნიშნავს, პირველმა გააკეთო ის, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. ასე რომ, ჰილარი კლინტონმა 26 ივლისს ისტორია შექმნა. პირდაპირი მნიშვნელობით მთელი ყრილობა ფეხზე დადგა. ახალგაზრდობამ კი ხტუნვა დაიწყო.

კლინტონის ძირითადმა მოკავშირემ, ვერმონტელმა სენატორმა ბერნი სანდერსმა ამ ისტორიულ დრამაში სიმბოლური როლი შეასრულა – შეუერთდა შტატ ვერმონტის დელეგაციას და მოუწოდა დემოკრატიულ პარტიას, ჰილარის გარშემო გაერთიანდეს.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელიც ტრიბუნაზე ღამის 10 საათის შემდეგ გამოჩნდა. მან ყველას უამბო 45-წლიანი თანაცხოვრების ამბავი ჰილარისთან, რომლის პოლიტიკური მტრები მის კარიკატურად წარმოჩენას ცდილობდნენ. ჰილარი კლინტონი – თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარული ნომინანტია და მის ქმარს საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა, რომ შეექმნა ქედუხრელი პოლიტიკური მებრძოლის, მოსიყვარულე ცოლისა და დედის სახე.

თითქოს გაახსენდა, რომ უკვე 38 წუთი ლაპარაკობდა, რითაც რეგლამენტი დაარღვია, და კლინტონმა განაცხადა, დროა, დღის წესრიგს დავუბრუნდეთო.

თავისი გაჭიანურებული გამოსვლისას ექს-პრეზიდენტმა თქვა, რომ ჰილარი არასოდეს ტოვებს ბედის ანაბარად ხალხს. „ამგვარადვე არასოდეს მივუტოვებივარ მე“, – აღიარა მან.

ძნელი სათქმელია, რას გულისხმობდა ყოფილი ამერიკელი ლიდერი. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰილარი სწორედ მან მიატოვა.

ცოტა ხნით ადრე სანდერსის ბიჭებმა კლინტონისა და მისი ნომინაციის წინააღმდეგ კოორდინირებული საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს. ისინი ამბობდნენ, რომ ეს მათთვის არის პირველი ყრილობა და არ გააჩნიათ არანაირი ლოიალურობის განცდა კლინტონის მიმართ, რომლის პროგრესულობაც მათ აეჭვებთ. „არაფრით არ ვემხრობი ჰილარის, რადგანაც მისი სიტყვები მხოლოდ სიტყვებია და სხვა არაფერი. და არც მას ვენდობი და არც ჩვენს დღის წესრიგს“, – განაცხადა, მაგალითად, ინგრიდ ოლსონმა, აიოვას შტატის დელეგატმა. შტატების მიხედვით ხმები ასე განაწილდა: კლინტონი – 2842 ხმა, სანდერსი – 1865. 56-მა დელეგატმა თავი შეიკავა.

ყრილობის დარბაზში და ქუჩებში იმართებოდა მასშტაბური დემონსტრაციები კლინტონის ნომინაციის წინააღმდეგ. ეს გამოსვლები უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე 2008 წელს მისსავე საწინააღმდეგო მანიფესტაციები. მაგრამ წინააღმდეგობები სანდერსსა და კლინტონს შორის ახლა ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ოდესღაც კლინტონსა და ობამას შორის იყო.

თუმცა დავუბრუნდეთ ბილ კლინტონის გამოსვლას. მისი მთავარი ამოცანა იყო „გაეადამიანურებინა ეს რკინის ლედი“. დიდხანს ჰყვებოდა, თუ როგორ შეხვდა ჰილარის იელის უნივერსიტეტში 1971 წელს; გულდასმით ჩამოთვალა თავისი ცოლის უკვე კარგად ცნობილი პროფესიული მიღწევები. შეეცადა აგრეთვე, დაეხატა მეუღლის, როგორც დედის პორტრეტი – მისი ცხოვრების ეს მხარე ნაკლებად იცის ხალხმა. როგორ გადაჰყავდა ჰილარის თავისი ქალიშვილი სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტთა საცხოვრებელში, ეს მონათხრობი გულის ამაჩუყებელი გამოდგა.

ყრილობა „გახურდა“, მაგრამ სანდერსი არავის უხსენებია. ეს იყო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც ჰილარის შტაბმა მიიღო. საქმე ის არის, რომ ჰილარი უკვე გახდა ნომინანტი და ამიტომაც მას სურდა, ყველა ორატორს ყურადღება გაემახვილებინა მის ხასიათზე და ტრამპის წინააღმდეგ შემტევი ბრძოლის აუცილებლობაზე.

ამაღელვებელი იყო ცხრა აფროამერიკელი დედის გამოსვლა, რომელთა შვილები ცეცხლსასროლი იარაღით ძალადობის მსხვერპლი გახდნენ. ქალები გაჰყვიროდნენ: „შავების სიცოცხლეც მნიშვნელოვანია!“ – ისინი საარჩევნო მუშაობას ეწეოდნენ ჰილარის სასარგებლოდ. ერთ-ერთმა დედამ, ლუსია მაკბათმა, რომლის 17 წლის ვაჟი ჟორდან დევისი მოკლეს მას შემდეგ, რაც ვიღაცას არ მოეწონა ხმამაღალი მუსიკა,

მისი მანქანიდან რომ ისმოდა, ჰილარიზე თქვა – „მას არ ეშინია თქვას, რომ „შავების სიცოცხლეც მნიშვნელოვანია“.

ყრილობამ კლინტონის რელიგიურ შეხედულებებსაც ვერ აარიდა თავი. საგანგებოდ უჩვენეს ვიდეო, რომელშიც იგი ითხოვს, ხალხმა ილოცოს, შემდეგ კი თვითონაც უერთდება მლოცველებს.

ეს ვიდეო რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რაც რესპუბლიკელთა კონგრესზე მოხდა. იქ რელიგიის პრობლემა და ტრამპის რელიგიური შეხედულებები უკანა პლანზე დარჩა.

ამ მელოდრამატული ესკაპადის შემხედვარემ ვიფიქრე, რა ადვილად შეიძლებოდა ამ სპექტაკლის ჩაშლა, დონალდ ტრამპს – კლინტონის მთავარ მოწინააღმდეგეს – რომ გადაეწყვიტა და დემოკრატების ყრილობაზე შეეგზავნა თავისი მზვერავები, რომლებიც ბილ კლინტონის ყველაზე ამაღელვებელი გამოსვლისას დარბაზიდან შესძახებდნენ: „სჯობს, გაიხსენო შენი სექსუალური თავგადასავლები, მაგალითად, მონიკა ლევინსკისთან!“ ან უფრო მეტიც, საამისოდ თვითონ მონიკა ლევინსკი წაექეზებინათ. რასაკვირველია, უანგაროდ კი არა, სოლიდური ჰონორარის სანაცვლოდ.

მაშინ კი „ჩეინჯ მეიკერი“ – ცვლილებების შემქმნელი – თავად გახდებოდა.

ეშმაკმა უწყის, გონიერება არ ეყო ტრამპს, მოეფიქრებინა ასეთი რამ თუ ის მაინც არ არის დანტეს ჯოჯოხეთის დემონი.

დემოკრატებმა ამერიკელებს მცდარი არჩევანი აარიდეს

ამერიკული სახელმწიფოებრიობის აკვანში – ფილადელფიაში მიმდინარე დემოკრატების ყრილობის მესამე დღეს დემოკრატთა მძიმე არტილერიამ დამიზნებითი ცეცხლი გაუხსნა რესპუბლიკელების კანდიდატ დონალდ ტრამპს.

არ ჩამოვთვლი ყველა ორატორს და დავიწყებ ბოლოდან, როცა ტრიბუნაზე ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოვიდა. მისი გამოსვლა იყო არა მხოლოდ დამამთავრებელი, არამედ – შემაჯამებელიც. მან შეაჯამა თავისი პრეზიდენტობის 8 წელიც და ყრილობის დებატებიც.

პრეზიდენტს თვალებზე ცრემლი მოადგა, როცა ლაპარაკობდა, რომ სჯერა ამერიკელი ხალხის და მან მოუწოდა ამომრჩევლებს, ეს რწმენა საკუთარ თავში აქციონ იმ ქალის მხარდამჭერ ხმად, რომელიც ამ თანამდებობაზე მას შეცვლის. „თქვენ ორჯერ ამირჩიეთ ამერიკის პრეზიდენტად. დღეს თხოვნით მოგმართავთ თქვენ, ჰილარი კლინტონისთვის გააკეთოთ იგივე, რაც ჩემთვის გააკეთეთ“.

...„თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ ამის შესახებ. შეგიძლიათ შეისწავლოთ ის, მაგრამ ვიდრე არ მიუჯდებით პრეზიდენტის მაგიდას, ვერ გაიგებთ, რა არის ეს: გლობალური კრიზისების მართვა ან ომში ახალგაზრდების გაგზავნა, – აღნიშნა ობამამ. – მაგრამ ჰილარი იყო ამ ოთახში და იგი წარმოადგენს ამ გადაწყვეტილებების ნაწილს. მძიმე კრიზისის დროსაც კი უსმენს ხალხის ხმას, ინარჩუნებს სიმშვიდეს და ყველას პატივისცემით ეპყრობა“.

ყველაზე ემოციური ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის გამოსვლა იყო. მან მიმართა ამერიკის საშუალო ფენას, რომელსაც ყველაზე მეტად ემუქრება ტრამპი და მისი ფილოსოფია. ის ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ამერიკა, თავისი ფასეულობების ძალებს დაყრდნობილი, „ყოველთვის, ყოველთვის წინ მიიწევს“. მსოფლიო საშიშროებების პერიოდში ტრამპს არა მხოლოდ არ შეუძლია, უხელმძღვანელოს ასეთ ნაციას, – მისი არჩევა ამერიკის ნაციონალური ფასეულობების ღალატი იქნებაო.

„ადამიანი, რომელსაც სურს, ამერიკა თავისი მიზნებისთვის გახლიჩოს და ჩამოაგდოს განხეთქილება მთელ მსოფლიოში; ადამიანი, რომელიც ხმამაღალ მუქარას და ნამდვილ ძალას ერთმანეთში ურევს, ვერ შეძლებს ამერიკელთა მართვას“, – განაცხადა ბაიდენმა.

აღსანიშნავია მულტიმილიარდერისა და ნიუ-იორკის ყოფილი მერის, მაიკლ ბლუმბერგის გამოსვლაც. ცნობილია, რომ ისიც აპირებდა პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ჩაბმას, მაგრამ გადაიფიქრა. ადრე რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატად ტრამპის შერჩევამ აიძულა, შეეცვალა თავისი შეხედულებები: „ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია, ჰილარი კლინტონის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ პრეზიდენტად არჩევა“, – ასეთი იყო მისი მიმართვა.

ბლუმბერგმა განაცხადა, თუ რაოდენ მიმზიდველია ბიზნესმენი პრეზიდენტი, მაგრამ ტრამპი „რადიკალური არჩევანია“ – შევხვედრივარ ტრამპს და შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ თაღლითსა და გაიძვერას შორიდანაც ამოიცნობთ.

ასეთია ყრილობის დარბაზში მიმდინარე ამბები. რა ხდება მისი კედლების გარეთ? საპროტესტო აქციას მართავენ ბერნი სანდერსის მომხრეები. მთელი გზატკეცილი ჩახერგილია ავტომობილებით, რომელთა მფლობელებიც ელოდებიან, თუ როდის შეამოწმებენ უსაფრთხოების ძალები. დელეგატები და ჟურნალისტები ფეხით მიაბიჯებენ გავარვარებულ ასფალტზე – ეს მით უმეტეს აუტანელია, რადგან ფილადელფიაში სიცხე 40 გრადუსს აღწევს, უახლოესი მეტროსადგური კი დაკეტილია და ამიტომაც ხალხი ფეხით დადის.

ასეთივე ზედახოცვაა საკვების რიგებში. შტორმმა კიდევ უფრო გაართულა ყრილობის მუშაობა. სიცხისგან 41 ადამიანი დაზარალდა.

ნიკოლოზ კაჭკაჭური:

გზებზე იმდენი ახალგაზრდა გვეღუპება, რომ ხანდახან თავი ომში მგონია

ლამის ყოველი მეხუთე ქორწილი ტრაგედიით და მსხვერპლით სრულდება

მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ ხელმძღვანელის თქმით, მონიტორინგის ჯგუფების გააქტიურების შემდეგ, კონდენციონერის წესრიგში მოსაყვანად, ავტოსახელოსნოებთან მიკროავტობუსების გრძელი რიგი დადგა. კონდენცირების სისტემა რომ გამართული იყოს, მძღოლებს ფულის ტყუილად გადახდა არ ეხალისებათ. მით უმეტეს, რომ ზაფხულის პერიოდში მგზავრთა ნაკადი იკლებს და მძღოლებს კონდიციონერის შესაკეთებელი კი არა, სახლში პურის მისატანი ფული არ რჩებათ – აცხადებს **ნიკოლოზ კაჭკაჭური.**

როგორც იცით, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ ყოველ ზაფხულს აცხადებს, რომ მიკროავტობუსებში კონდენცირების პრობლემის მოსაგვარებლად ასობით ათასი ლარი დახარჯა. მე მაინტერესებს, რაში იხარჯება ამხელა ფული, როცა მიკროავტობუსების უმეტესობაში კონდენციონერები ისევ გაუმართავია. რაც კომპანიამ მონიტორინგის პროცესი დაიწყო, მესამე მასივის ხიდების ქვეშ და სხვა ავტოსახელოსნოებთან მიკროავტობუსების რიგი დგას. თითოეულ მძღოლს კონდენციონერის შეკეთება 100-დან 400 ლარამდე უჯდება და სულელები ხომ არ არიან, რომ გაკეთებული კონდეციონერები თავიდან აკეთონ და ფული „წყალში გადაყარონ?“ კომპანია რომ აცხადებს, სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მანქანას ხაზზე გასვლა აეკრძალებაო, ეს იმას ნიშავს, რომ ავტოპარკის 60-70% უნდა გაჩერდეს. იცით ამას რა მოჰყვება? მძღოლების ამ ფორმით დაჯარიმება თუ გაგრძელდა, შეიძლება სოლიდარობის ნიშნად, ხაზზე ერთი მძღოლიც აღარ გამოვიდეს. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, დიღმის პარკში მძღოლსა და დაცვის წევრს შორის კონფლიქტი მოხდა. დაცვამ მძღოლს ხელი დაარტყა და ამას ის მოჰყვა, რომ თითქმის ყველა ხაზი გაიფიცა. პარკიდან გასული 135, 51 და კიდევ სხვა ნომრის სამარშრუტო ტაქსებიც კი უკან მობრუნდნენ. ახლაც, მძღოლები ისეთი აღელვებულები არიან, ძლივს ვაკავებ. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ კონდენცირების სისტემის შესაკეთებელი ფული არასწორად და არაკვალიფიციურ ხელოსნებში დაიხარჯა. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, კონდენციონერებში ფრეონი ისე ჩატუმბეს, რომ ზეთი არ დაუმატეს. „მშრალზე მუშაობის“ შედეგად, მწყობრიდან გამოვიდა ძვირადღირებული კომპრესორები და მძღოლებმა ერთის ნაცვლად, ორი პრობლემა მიიღეს.

ნიკოლოზ კაჭკაჭურის განმარტებით, გაუმართავი კონდიცირების სისტემის გარდა, მგზავრების გაგრილებას სხვა პრობლემაც უშლის ხელს. მძღოლთა უფლებების დამცველის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ მიკროავტობუსის მძღოლებს დღიური გეგმიდან კონდენციონერის მუშაობის შედეგად გაზრდილი ხარჯი ჩამოაჭრა, ზაფხულის პერიოდისთვის დამახასიათებელი მგზავრთა მცირე ნაკადის გათვალისწინებით, ასეთი შეღავათი საკმარისი არაა.

როგორც იცით, კომპანიამ მიკროავტობუსის მძღოლებს დღიური გეგმიდან კონდენციონერის მუშაობის შედეგად გაზრდილი ხარჯი (დაახლოებით 10-15 ლარი), ჩამოაჭრა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თავის დროზე, „თბილისის მიკროავტობუსმა“ ჩაატარა მონიტორინგი და მძღოლის დღიური შემოსავალი სხვადასხვა ხაზებზე 30-დან 40 ლარამდე განსაზღვრა, მაგრამ ზაფხულში, როცა ხალხი ქალაქიდან გასულია მძღოლს ამის ნახევარიც არ რჩება. მანქანის შეკეთების ხარჯებს თუ დავუმატებთ, ბევრი სახლში პურის ფულის მიტანასაც ვერ ახერხებს. ასეთ პირობებში, ვერ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე მძღოლმა 10 და 15 ლარის დაზოგვის მიზნით, კონდიციონერი გამორთო. ამიტომ, ჩემი აზრით, კომპანიამ დღიური გეგმა კიდევ უნდა შეამციროს. ეს მძღოლისთვისაც შვება იქნება და მგზავრისთვისაც.

– რას იტყვით ბოლო ხანებში კატასტროფულად გაზრდილი ავტოავარიების შესახებ?

– თქვენთან ინტერვიუში ბევრჯერ მითქვამს, რომ შეცდომა იყო საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე დაწესებული ჯარიმების განახევრება. ჯარიმები შემცირდა ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა სიჩქარის გადაჭარბება, საპირისპირო მიმართულებით გადასვლა, ღერძულა ხაზის გადაკვეთა და ა.შ. ფაქტია, რომ ამის შედეგად, გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევები და უამრავი დაღუპული ადამიანი მივიღეთ. 2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად, 600 ადამიანი გარდაიცვალა და წელს ალბათ, ამაზე მეტი იქნება. მშვიდობიანობის დროს, გზებზე იმდენი ახალგაზრდა გვეღუპება, რომ ხანდახან თავი ომში მგონია. დღე არ გავა, რომ ავარიის შესახებ არ გავიგოთ და ეს უბედურება არ დასრულდება, სანამ სანქციები არ გამკაცრდება და საპატრულო პოლიციაში საგზაო პატრულის სამსახური არ შეიქმნება. მთელი საქართველო შეძრა 21 ივლისს ქუთაისი-სამტრედიის შემოვლით გზაზე მომხდარმა ავარიამ რომელშიც, სამი ახალგაზრდა დაიღუპა და ოთხი მძიმედ დაშავდა. ახლა ბევრს საუბრობენ მომხდარის მიზეზებზე, გამყოფი ბარდიურის არარსებობაზე და ა.შ. მაგრამ მე უბედურების სათავე გადაჭარბებული სისწრაფე მგონია. მძღოლების 90% წარმოდგენა არა აქვს. სამარშრუტო ტაქსისა და მსუბუქი ავტომანქანის შეჯახების შედეგად, დაშავდნენ ადამიანები. ანალიგიური შემთხვევა მოხდა გორგასლის ქუჩაზე, სადაც ამობრუნებულ მიკროავტობუსში უამრავი ადამიანი დაშავდა. ლამის ყოველი მეხუთე ქორწილი ტრაგედიით და მსხვერპლით სრულდება. ერთმანეთის გასწრებაში საქორწინო ესკორტის მძღოლები გადადიან შემხვედრ მოძრაობაზე და თავსაც იღუპავენ და სხვებსაც აზარალებენ, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს სტანდარტი, როგორ უნდა წავიდეს კოლონა. რა არის დასაშვები საქორწინო ესკორტისთვის და რა არა. მინდა თქვენი მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ პრობლემაზე გავამახვილო, რომელსაც ფეხით მოსიარულის უყურადღებობა იწვევს. დაახლოებით ერთი წლის წინ, ორხევში ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ახალგაზრდა გოგონა გარდაიცვალა. ავარიის მიზეზი ის გახდა, რომ გოგონა გზაზე გადასვლის დროს, ყურსასმენებით მუსიკას უსმენდა და გაბმული სიგნალი ვერ გაიგო. ანალოგიურმა შემთხვევამ რამდენიმე თვის წინ, ორხევის ხიდებთან ახალგაზრდა ბიჭი შეიწირა. მიზეზი ამჯერადაც ყურსასმენებით მუსიკის მოსმენა გახდა. წესით, გზის ამ მონაკვეთზე, სადაც მანქანების დიდი სიჩქარეებია, ფეხით მოძრაობა დაშვებულია, მიწისქვეშა გადასასვლელი უნდა იყოს, მაგრამ არ არის და დიდი სისწრაფით მომავალი ავტომობილი ვერ ახერხებს დროულად შეჩერებას. მშობლებო, აუხსენით შვილებს, რომ ყურსასმენები გზაზე გადასვლის დროს მაინც მოიხსნან. ბოლოს და ბოლოს, ერთი მხარე მაინც მოიხსნან, რომ მანქანის სიგნალი გაიგონ. ახალგაზრდა თაობა გზებზე გვეღუპება და ასე გაგრძელება შეუძლებელია. უკონტროლობის ბრალია, რომ თურქული მანქანები ჩვენს გზებზე არანაირი მოძრაობის წესებს არ ემორჩილებიან. თურქეთში უმცირეს დარღვევაზე უზარმაზარი ჯარიმებია და იქ ვერ ბედავენ და აქ ყველასთვის ყველაფერი შეიძლება. ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, აუცილებლად გასამკაცრებელია ჯარიმები ისეთ დარღვევებზე, რომელიც გზებზე სიკვდილიანობას იწვევს. კერძოდ: სიჩქარის გადაჭარბებაზე, ნასვამ ან ნაბახუსევ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვაზე, უწყვეტი ხაზის გადაკვეთაზე და საპირისპირო მიმართულებით გადასვლაზე. ყველა შუქნიშანთან საჭიროა სათვალთვალო კამერების დაყენება და რაც მთავარია, აუცილებლად უნდა შეიქმნას სატრანსპორტო პოლიცია. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! თაობას ვკარგავთ!

ნელი თორდია
571 35 36 88

თემურ ვეკუა:
თუ ეკოლოგიური პრობლემები არ მოგვარდება, უახლოეს ხანში მძიმე დაავადებები კატასტროფული სიჩქარით გაიზრდება

*გვესაუბრება პროფესორი, ეკოლოგი **თემურ ვეკუა**.*

– ბატონო თემურ, მოდით, ჩვენი საუბარი დავიწყოთ იმით, თუ რა გავლენა აქვს საერთო ეკოლოგიურ სიტუაციას ადამიანების ჯანმრთელობაზე?

– დაბინძურებული გარემო განსაკუთრებულ პრობლემას ადამიანის იმუნიტეტს უქმნის. დაქვეითებული იმუნიტეტის ადამიანი შეიძლება ისეთი მძიმე ავადმყოფობით დაავადდეს, თავადაც კი გაუკვირდეს და ვერ გაიგოს, საიდან, როგორ შეეყარა სენი. ჩვენს დედქალაქში კი ჰაერის დაბინძურების მხრივ ცუდი მდგომარეობაა. ახლა დაიწყეს ჰაერის დაბინძურების ხარისხის გაზომვა. ერთის მხრივ, კარგია, რომ თბილისის რამდენიმე უბანში დაიწყეს გაზომვა, მაგრამ მერე, თუ ქმედითი ზომები არ გაატარეს, მხოლოდ დაბინძურების ხარისხის გაზომვას აზრი არ აქვს. წარმოიდგინეთ, ავადმყოფს დღეში ათჯერ გავუზომოთ სიცხე, მაგრამ წამალი არ მივცეთ, სათანადოდ არ ვუმკურნალოთ, მხოლოდ სიცხის გაზომვით ვუშველით? ჩვენ ადრეც ვსაუბრობდით, რომ ბერნზინგასამართი სადგურები ქალაქის ცენტრალურ უბნებში და ქუჩებშია განლაგებული. არავინ ამოწმებს, რამდენად ბინძურდება გარემო თუნდაც რეზერვუარებიდან საწვავის აორთქლების დროს. აღარაფერს ვამბობ თბილისში ასე მომრავლებულ მანქანებზე, რომელთა უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია.

– ბატონო თემურ, თბილისში საცხოვრებელი უბნების თავზე სამგზავრო თვითმფრინავები დაფრინავენ. რამდენად აზიანებენ საფრენი აპარატები ქალაქის ბუნებას?

– უნდა გითხრათ, რომ ნებისმიერი თვითმფრინავი უამრავ ჟანგბადს შთანთქავს. აქედან გამომდინარე, ქალაქის ეკოლოგიას დიდი ზიანი ადგება. საწვავის გამონაბოლქვის გარდა ზიანი ხმაურითაც განისაზღვრება. მინდა გითხრათ, რომ არსებობს საერთაშორისო ნორმები თუ სად, როგორ უნდა დაფრინავდნენ.

– დავუბრუნდეთ ავტომობილებს. სავალი გზიდან რა რადიუსით ზიანდება ჰაერი, თუ არის გამოთვლილი?

– სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ჰაერის დაბინძურებაზე ვსაუბრობთ, მაგრამ არავინ ამბობს სავალი გზების მიმდებარე ნიადაგის დაბინძურებაზე. თქვენ წარმოიდგინეთ, სავალ მაგისტრალებზე, მარჯვნივ და მარცხნივ 60 მეტრ რადიუსშია ნიადაგი დაბინძურებული. გამონაბოლქვი, რომელსაც ავტომობილები გამოყოფენ, მათი ძირითადი ნაწილი, მართალია, ჰაერში მიდის, მაგრამ ნაწილი ნიადაგშიც რჩება, რომელიც აბინძურებს ბუნებას. აქვე ერთი საგანგაშო საკითხი მინდა გითხრათ. თბილისში რამდენიმე ქუჩას დაგისახელებთ, სადაც ინტენსიური მოძრაობაა, მაგრამ იგივე ქუჩებში საკვები პროდუქტებიც იყიდება. მაგალითისთვის ავიღოთ მარჯანიშვილის ქუჩა. მეტროდან ავუყვეთ ალექსანდრე ნეველის ეკლესიამდე და ვნახავთ გაცხოველებულ ვაჭრობას. იმ ქუჩაზე ასეულობით მანქანა დადის, მაგრამ გზის ორივე მხარეს, მაღაზიების გარდა, პირდაპირ ქუჩაშიც იყიდება საკვები პროდუქტები. მოდით, გავზომოთ, იმ პროდუქტებში რა რაოდენობით არის მავნე ნივთიერებების შემცველობა. დამერწმუნეთ, შედეგი კატასტროფული იქნება. იგივე მდგომარეობაა დოლიძის ქუჩაზე, კავსაძეზე და თბილისის ბევრ სხვა უბნებში.

მხოლოდ ჰაერის კონტროლი არ არის საკმარისი. აუცილებელია, ხდებოდეს ასევე ნიადაგის შემოწმება. უნდა ვიცოდეთ, არის თუ არა ნიადაგი დაბინძურებული, ამასთან, სად და რა დოზით.

– ბატონო თემურ, ახლა ქუჩის ვაჭრობაზე ვსაუბრობდით, მაგრამ რა მდგომარეობაა ბაზრებში? ავიღოთ თუნდაც ე. წ. დეზერტირების ბაზარი

– ეს საშინელებაა! თითქმის მიმდებარედ არის ავტობუსების, სამარშრუტო ტაქსების გაჩერებები. ამის გარდა, დიდი თუ პატარა მანქანები შედიან და გამოდიან. ეს ხდება იმ ადგილზე, სადაც პროდუქტი, საკვები პროდუქტი იყიდება! ნუ დაგვავიწყდება ბაზრებში არსებული ანტისანიტარია. ჰაერის, ნიადაგის დაბინძურებას ანტისანიტარიაც ემატება, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და ამიტომაც გვაქვს ქალაქში ეკოლოგიურად სავალალო ვითარება. ყველა პარამეტრები უნდა ვიცოდეთ ხალხმა, რა ვითარებაა რეალურად დედაქალაქში. მხოლოდ გაზომვები არ არის საკმარისი, ხალხმა უნდა იცოდეს სიმარტლე. მოსახლეობას ეუბნებიან, რომ 500-ათასიანი იაპონური დანადგარი დავდგით და ჰაერის კონცენტრაცია იზომებაო.

– შედეგი?

– არანაირი. ჯერჯერობით ასეა. აუცილებელია, ქალაქის მმართველობამ ქმედითი ღონისძიებები მიიღოს დედაქალაქში ვითარების გამოსასწორებლად. ეკოლოგიური პრობლემები სხვა ქვეყნებსაც ჰქონდათ, მაგრამ შეძლეს პრობლემის გადაჭრა. ამიტომ აუცილებელია, ხელისუფლებამ გადმოიღოს ის კარგი გამოცდილება, რომელიც აქვთ ბიუჯურება. სამწუხაროდ, არავინ საუბრობს, რომ ჰაერის დაბინძურებაში თავისი წვლილი ასფალტის საფარსაც შეაქვს, რადგან საბურავების და ასფალტის ხახუნისას გამოიყოფა სხვადასხვა დამაბინძურებელი ინგრედიენტები. როდესაც ვსაუბრობთ დედაქალაქში ეკოლოგიის გამოსწორებაზე, აუცილებელია ქალაქში ელექტროტრანსპორტის დაბრუნება. ევროპაში იშვიათია ქალაქი, სადაც არ აქვთ თუნდაც ტრამვაი, რომელიც ეკონომიურადაც მომგებიანია. უცნობია, დღეს თბილისში რამდენი მანქანაა დიზელის საწვავით და რამდენი ბენზინით. ამის ცოდნა აუცილებელია, რათა ვიცოდეთ არსებული და მოსალოდნელი პრობლემები ეკოლოგიური თვალსაზრისით.

– გარკვეულ ეკოლოგიურ პრობლემებს ახალი მშენებლობებიც ქმნიან.

– დიახ, ასეა. ისე ახლოს შენდება ერთმანეთთან კორპუსები, თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო, იტყვიან. ამასთან, მოსაგვარებელია ავტოსადგომების საკითხი, ყველა ეზო ავტოსადგომად არის გადაქცეული, რაც ყოვლად დაუშვებელია. როდესაც საცხოვრებელი კომპლექსი ან სხვა ნაგებობა შენდება, ათას კვადრატულ მეტრზე მინიმუმ ასი კვადრატული მეტრი მწვანე ფართობის გაშენება უნდა იყოს სავალდებულო. მიმაჩნია, რომ აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელიც სწორედ ეკოლოგიურ და მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხებზე იმუშავებს.

– წესით, ყველა ქალაქში უნდა შეიქმნას გამწვანების ზონები ეკოლოგიის გასაუმჯობესებლად. ჩვენთან რა ხდება?

– ჩვენთან გამწვანება ნორმასთან შედარებით ოთხჯერ ნაკლებია! ჰაერის დაბინძურება თბილისში ზამთრის პერიოდში იზრდება, როდესაც ხალხი ინდივიდუალურ „კარმას“ გამათბობლებს იყენებს. ამიტომაც თბილისში ხშირია ჭუჭყიანი წვიმა. ნახეთ, ბუნებრივი ნალექის შემდეგ როგორი დასვრილი სახურავები აქვთ მანქანებს. ამიტომ გითხარით, რომ აუცილებელია, შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელსაც ქვეყნის პირველი პირი უხელმძღვანელებს. თუ პრობლემები დროულად არ მოგვარდა, რამდენიმე წელში მძიმე დაავადებები გეომეტრიული პროგრესით გაიზრდება.

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

ჩოხატაური

ღია კარის დღე ჩოხატაურში მიგრანტთა ხელშემწყობი კონკურსისთვის

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში, „საქართველოში მცხოვრებ ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნესსაქმიანობის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში გამოცხადებული მცირე საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის ღია კარის დღე გაიმართა.

პროექტის მიზანია საქართველოდან ემიგრაციის შემცირების ხელშეწყობა, პოტენციურ და დაბრუნებულ მიგრანტთათვის საარსებო წყაროს შექმნის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება.

პროექტს ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (**DVV International**) საქართველოს ოფისთან და ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან პარტნიორობით.

თელავში სპორტის სასახლე აშენდება

თელავში სპორტის სასახლე აშენდება, რომელიც 2017 წელს არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლებს. ცნობილია, რომ გაისად საქართველოში დაგეგმილია მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამართვა, მათ შორის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატი რაგბიში, ასევე მსოფლიოს 19-წლამდელთა ჩემპიონატი ხელბურთში, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი ფეხბურთში და სხვ. სპორტული ღონისძიებების თვალსაზრისით თელავი ერთ-ერთი სერიოზული ფლანგი იქნება. თელავის მსგავსად, სპორტის სასახლეები აშენდება ბათუმში, ქუთაისსა და გორში, ჭიდაობის სახლი და სპორტული მედიცინის ცენტრი – თბილისში და 20 საფეხბურთო და სარაგბო მოედანი თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განცხადებით, ამ საქმეს მოხმარდება 65 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კანადური და სლოვაკური ინვესტიცია, მშენებლობაზე დასაქმდება 1000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სპორტულ ობიექტებზე გაჩნდება სამუშაო ადგილები.

მშენებლობები დასრულდება 2017 წლის ივნისში. სულ აშენდება 26 ობიექტი.

თელავში აღმოჩენილ გვირაბში არქეოლოგები მუშაობენ

თელავში აღმოჩენილ მიწისქვეშა გვირაბში მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები დაათვალიერეს ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ არჩილ თხლაშიძემ და მერის მოადგილემ ლევან ლილუაშვილმა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ცნობილ არქეოლოგ ნიკოლოზ თუშაბრამიშვილს შეხვდნენ და აღმოჩენის შესახებ მისი შეფასებები მოისმინეს. არქეოლოგის განცხადებით, აღმოჩენილ გვირაბში არის სხვადასხვა პერიოდის ქვის წყობის ფენები და შესაძლოა, ეს გვირაბი ქალაქის სხვადასხვა მონაკვეთზე მთელ კომპლექსს უერთდებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ თელავმა არქეოლოგიური აღმოჩენების თვალსაზრისით მთელი საქართველოს ყურადღება მიიპყროს.

თელავი

ლიტვისა და ლატვიის დელეგაციები ახმეტის მუნიციპალიტეტში

ახმეტის მუნიციპალიტეტში მეგობრული ვიზიტით იმყოფებიან ლიტვისა და ლატვიის წარმომადგენლები. სტუმრები ახმეტის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატ ზურაბ ზვიადაურს, მუნიციპალიტეტის გამგებელ ბექა ბაიდაურსა და გამგეობის სხვა თანამდებობის პირებს შეხვდნენ.

მხარეებმა შეხვედრაზე ისაუბრეს დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საკითხებზე.

შეგახსენებთ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტს ლიგატნესა და პანევეჟისის მხარეებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომლებიც მიზნად ისახავს გამოცდილების გაცვლას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სოციალური საკითხები, კულტურა, სპორტი, სოფლის მეურნეობა და სხვ.

შეხვედრა დართლოს რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს რეგიონალური გაანვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრის მოადგილე ილია დარჩიაშვილი შეხვდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელ ბექა ბაიდაურს. შეხვედრა დართლოს რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით გაიმართა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი სოფელ დართლოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სახლების რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტის მიზანია ძეგლის სტატუსის მქონე საუკუნოვანი სახლებისთვის პირვანდელი იერსახის შენარჩუნება, კერძოდ, იმ ციხესიმაგრის ტიპის საცხოვრებელი სახლებისთვის, რომლებიც, მათი უნიკალური და გამორჩეული არქიტექტურიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

შეხვედრა დედოფლისწყაროში მიწების გადაწვასთან დაკავშირებით

დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტის გამგეობისა და **GIZ**-ის ორგანიზებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაწვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების პრევენციული სამოქმედო გეგმის წარდგენა-განხილვა გაიმართა. დღის წესრიგში იდგა ქარსაფრების შენარჩუნებისა და დაცვის, ასევე ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების საკითხები.

შეხვედრის დაწყებამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გოჩა ცოფურაშვილმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ბესარიონ აბაშიძემ, სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (**GIZ**) ხელმძღვანელმა ჰანს იოაჰიმ ლიპმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსა და ფერმერებთან ერთად, შირაქის ტერიტორიაზე ქარსაფარი ზოლები, ნაკვეთები დაათვალიერეს და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნენ.

ქარსაფარი ზოლების არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დარგისთვის. ფაქტია, რომ ქარსაფარი მოსავლის 30 პროცენტამდე დანაზოგს იძლევა, ამას გარდა, იგი საბინადრო

დედოფლისწყარო

ადგილია იმ ფრინველებისა თუ ცხოველებისთვის, რომლებიც მოსავლისთვის საშიშ, მავნე მღრღნელებზე ნადირობენ.

ღონისძიებაზე მყოფი პირების განცხადებით, ქარსაფრებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებს მოფრთხილება და დაცვა ესაჭიროება. მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, უსაფრთხოებისა და ხანძრების დროულად აცილების მიზნით, შირაქის ტერიტორიაზე მობილიზებულია დედოფლისწყაროს და ახმეტის მუნიციპალიტეტების სახანძრო-სამაშველო სამსახურები, რომელთაც დახმარებას სახნავი ტექნიკაც უწევს.

შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია პრობლემის გადაჭრის გზებზე. გამგებელმა თავის პრეზენტაციაში, რომელიც შექმნილი სიტუაციის ანალიზსა და პრობლემის მოგვარების გზებს ეხებოდა, ყურადღება გაამახვილა ხანძრების ნეგატიურ შედეგებზე, ისაუბრა იმ კონკრეტულ ინიციატივებზე, რომლებიც სიტუაციას გამოასწორებს.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს გამგეობაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებზე მუშაობს.

კოღო ანოფელესის საწინააღმდეგო წამლობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

ლაგოდეხის სოფლებში მალარიის გადამტანი კოღო ანოფელესის საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაობი დაიწყო. ეს სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს სოფლებში: ჭიაურში, აფენში, ლელიანში. შეწამვლა თერმული ნისლით ხორციელდება.

მაჭისციხის რეაბილიტაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახა ჯამბურიამ სოფელ მაწიმში მაჭისციხის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მაჭისციხის ეკლესიის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის განსახორციელებლად ისტორიული ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა 40 000 ლარი გამოყო, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამუშაოები 2 500 ლარით დაფინანსდა. წლების განმავლობაში აღნიშნულ ისტორიულ ძეგლს რეაბილიტაცია ესაჭიროებოდა, ჩამონგრეული სახურავიდან ტაძარში წყალი ჩადიოდა, დაზიანებულ სახურავზე მცენარეები იყო ამოსული.

პროექტის ფარგლებში მაჭისციხის კარის ეკლესიას მთლიანად შეეცვლება სახურავი და რკინის კონსტრუქციით გამაგრდება დამსკდარი კედლები.

ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა წნორში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად, ქ. წნორის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობას გა-

ძლიერი საქართველოსთვის

ერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიორგი კობერიძე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტი ითვალისწინებს ახალი რეზერვუარების, სატუმბი და საქლორატორო სადგურების მშენებლობას, მათ შორის ჭაბურღილებისა და მაგისტრალური ქსელის მოწყობას.

წნორში დღემდე არ არსებობდა წყალმომარაგების ქსელი. სამუშაოების დასრულების შედეგად, 5500-მდე ადგილობრივი მცხოვრები ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით პირველად ისარგებლებს და წყლის მიწოდების 24-საათიანი გრაფიკით იქნება უზრუნველყოფილი.

ფოთში რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი დასრულდა

რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის სპექტაკლით დაიხურა. დასმა მაყურებელს შესთვაზა ჰენრიკ იბსენის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ხალხის მტერი“, რომლის რეჟისორი დავით მღებრიშვილია.

სპექტაკლზე მისულ მაყურებელს საშუალება ჰქონდა, დაეთვალიერებინა თეატრის ფოიეში გამოფენილი ცნობილი ქართველი მსახიობების სასცენო კოსტიუმები, მაკეტები, აფიშები და ფოტომასალა.

ფესტივალში 18 ქართული სახელმწიფო რეგიონული და რამდენიმე უცხოური თეატრი მონაწილეობდა. ფესტივალის ყველა მონაწილე სიმბოლური დიპლომებით დააჯილდოვეს.

ფესტივალი 2015 წელს დაფუძნდა. იგი კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის – „დღეს“ – ორგანიზებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმართება.

ფოთის „რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი“ 17 ივლისს გაიხსნა და ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მის დახურვას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, ხელოვანები და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მესტია – სიახლე დევნილთათვის

მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის სათათბირო დარბაზში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა.

„სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები, ახალი შესაძლებლობები, კონსტრუქციული და მდგრადი გარემო დევნილთათვის“ – ამ პროექტის შესახებ ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს წარუდგინეს ფონდ „აფხაზინტერკონტის“ წარმომადგენლებმა.

პროექტი ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა სასოფლო-სამეურნეო და სოციალური მიმართულების ინიციატივების მხარდაჭერას. მის ფარგლებში, სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონის 90 ბენეფიციარი გაიუმჯობესებს საარსებო წყაროებისადმი წვდომას, მათი შემოსავლები გაიზრდება 35-40 პროცენტით, შემცირდება დევნილი ოჯახების მიგრაცია და ხელი შეეწყობა განსახლების ადგილებზე მათს სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

ჩხოროწყუს საქალაქო ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები გადაეცა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საქალაქო ბიბლიოთეკას ესტუმრა და 150 ეგზემპლარი წიგნი – სხვადასხვა სახის ლიტერატურა გადასცა. გიორგი კეკელიძემ დაათვალიერა ბიბლიოთეკა, შეხვდა ბიბლიოთეკარებს და მათს საჭიროებებს გაეცნო.

შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით გოგუა, რომელმაც გიორგი კეკელიძეს მადლობა გადაუხადა წიგნადი ფონდის განახლებისთვის. გამგებელმა მადლიერება გამოხატა აგრეთვე ჩხოროწყუელი სტუდენტების – ბადრი ოყუჯავასა და ოთარ შენგელიას მიმართ, რომელთა ინიციატივითაც ბიბლიოთეკას წიგნები გადაეცა.

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში წიგნებისა და კომპიუტერების პერიოდულად ჩატანას გულისხმობს. ჩხოროწყუს ბიბლიოთეკასაც ეს წიგნები მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში გადაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ჩხოროწყუელებს დაჰპირდა, რომ უახლოეს პერიოდში ჩხოროწყუს საქალაქო ბიბლიოთეკა კომპიუტერსაც გადასცემს.

ახალციხეში გზების მასშტაბური რეაბილიტაცია გრძელდება

ახალციხე-სვირის საავტომობილო გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ორფენიანი ასფალტის საფარი 1 800 მეტრზე იგება, ასევე ეწყობა სანიაღვრე არხები.

სვირის გზაზე მიმდინარე სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 304 ათასი ლარით ფინანსდება.

შეგახსენებთ, ეს გზა წლების განმავლობაში ამორტიზებული იყო, რეაბილიტაციის შემდეგ კი იგი უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

სამუშაოების მიმდინარეობას მხარის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა მელიქიძე გაეცნენ.

ბორჯომში კოსტავას სკვერის რეაბილიტაცია დასრულდა

მასშტაბური სამუშაოების ფარგლებში მთლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სკვერში არსებულ შადრევანს. შეიცვალა ცენტრალური შესასვლელის დიზაინი.

დიმიტრი ყიფიანი, ბორჯომის გამგებელი: განხორციელდა კიბეების რეაბილიტაცია და მისი დეკორატიული ელემენტების მოწყობის სამუშაოები, მოეწყო პანდუსი, შეიცვლა განათების სისტემა, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე სკვერის მიმდებარედ არსებულ საყრდენ კედლებს. კოსტავას სკვერი ერთ-ერთი ძირითადი დასასვენებელი ზონაა ტურისტებისთვის, განახლებული ინფრასტრუქტურა კი ხელს შეუწყობს ქალაქში უფრო მეტი დამსვენებლის მოზიდვას.

პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან 473 000 ლარით დაფინანსდა.

გორი – პროექტი „დევნილთა საარსებო წყაროები“

გორის მუნიციპლიტეტის გამგეობამ დევნილებთან დაკავშირებით სამუშაო უმასპინძლა შეხვედრას, რომელიც კონსორციუმის – „სამართლებრივი დახმარება საქართველოს“ (LAG) და ესპანური საერთაშორისო ორგანიზაციის – „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ (ACF) იყო ორგანიზებული. ღონისძიება გაიმართა პროექტის – „საარსებო წყაროების მხარდაჭერა საქართველოში იძულებით გადაადგილებული და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით“ (LIFE Georgia)“ – ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებული პირებისა და მასპინძელი თემის წარმომადგენელთათვის გრძელვადიანი საარსებო წყაროების შესაძლებლობების შექმნას, ხელშეწყობას პროფესიული განვითარების, მეწარმეობისა და დასაქმების ხელმისაწვდომობით, ასევე ინკლუზიური მიდგომების ადვოკატირებითა და ინტეგრაციით შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ექვს მუნიციპალიტეტში.

სამუშაო შეხვედრაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს ორი მნიშვნელოვანი კვლევის შედეგები: პროექტის პირდაპირი ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საწყისი კვლევა და უნარ-ჩვევების, განვითარებისა და ტრენინგების საჭიროების შეფასება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ქალაქ გორის მერიის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის, ადგილობრივი კოლეჯებისა და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მონაწილეებმა ისაუბრეს დევნილთა საარსებო წყაროების მიმართულებით არსებულ პერსპექტივებზე და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები.

შუახევში წყალსადენის მშენებლობა მიმდინარეობს

შუახევში, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, 29 კმ-იანი ფურტიო-ბუთურაული-ნენიის წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ვლადნეფტპროდუქტის“ წარმომადგენლობა საქართველოში.

პროექტი სამწლიანია და მისი ღირებულება 4 მლნ. 917 ათასი ლარია. მაგისტრალით, რომლის გაყვანა ზღვის დონიდან 1260 მეტრის სიმაღლიდან, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რაქვთიდან ხორციელდება, შუახევის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის (30 პროცენტი) მოსახლეობა ისარგებლებს. წყლის სათავე ნაგებობა რაქვთაში, ხოლო სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მშენებლობა ნენიში, ფურტიოსა და ბუთურაულში მოეწყობა.

2016 წელს მაგისტრალის მშენებლობაზე 2 მილიონი ლარი დაიხარჯება. სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, 2017 წლის დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

რატომ დასჭირდა 5 თვე და 5 დღე იმ დამნაშავის გამოაშკარავებას, რომელიც 5 თვე და 5 დღე გამოძიების ცხვირწინ ტრიალებდა

2016 წლის 22 თებერვალს თბილისში, ზემო ფონიჭალაში 1972 წელს დაბადებული ნონა რომანიძის და მისი მცირეწლოვანი შვილის – მარიამ მამფორიას ცხედრები იპოვეს.

მკვლელმა ნონა რომანაძეს 29 ჭრილობა მიაყენა დანის საშუალებით, ხოლო პატარა მარიამს 16 ჭრილობა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით ბინას ცეცხლი წაუკიდა...

ახლობლების ვარაუდით, მკვლელი ეძებდა ფულს, კერძოდ შვიდი ათას დოლარს, რომელსაც იმ მომენტისათვის მამფორიები სახლში ინახავდნენ.

და აი, ხუთი თვისა და ხუთი დღის შემდეგ სამათალდამცველებმა დააკავეს ნონა რომანოვას მეუღლის და ზოგადად ოჯახის მეგობარი 1989 წელს დაბადებული გიორგი ხ. რომელიც წარსულში ნასამართლევი იყო ქურდობის, ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის...

გიორგი ხ. დავაკავეთო, გამოგვიცხადეს, ნუ, აქ ნაწერში არ გხვდებათ თვალში, მაგრამ როცა გააჟღერეს და მოვისმინე ეს „გიორგი ხუ“ (არა, ის არ მიფიქრია, რაც ახლა თქვენ გაიფიქრეთ), ყურსაც ძალიან ცუდად მოხვდა და გულსაც...

ყურს რატომ მოხვდა ცუდად გასაგებია და გულის ამბავს მოგახსენებთ ახლავე...

ანუ, ეს გიორგი „ხუ“-ა და მაგდა – პაპიძე იყო? რატო არ იყო „პუ“? საერთოდ, ვინმემ ამიხსნას, როგორ ხდება, რომ რიგი ბრალდებულის გვარს გარკვევით გადმოცემენ დაკავების წამიდანვე და რიგი ბრალდებული: „ხუ“-ა? ანუ, ზოგს უკეთესი ადვოკატი ჰყავს, ზოგის გვარია უკეთესი, ზოგის დანაშაულია გვარით მოსახსენიებელი თუ როგორ არის საქმე?

შსს-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ ამ დანაშაულზე თვეების მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური გამოძიებაო... ინტენსიურიო... სულ ასე ინტენსიურად ავიღეთ ასეული ნიმუში საექსპერტო კვლევისთვის, ჩატარდა ათეულობით ექსპერტიზა, მათ შორის, ბალისტიკური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური, ფიზიკო-ტექნიკური, ქიმიური, სახანძრო ტექნიკური და კიდევ სხვაო... მოწმის სახით კი დაიკითხა ასეულობით პირი თბილისსა და საქართველოს სხვა და სხვა რეგიონებშიო (ჩხოროწყუ გამოგრჩათ და დვაბზუ)...

და როცა დანაშაულის იარაღი იპოვნეთ, რაზედაც ბრალდებულის გენეტიკური პროფილის კვალი აღმოგიჩენიათ, ოჯახის საახლობლო წრეში მკვლელობის მცდელობისთვის, ყაჩაღობასა და ქურდობისთვის ნასამართლევი ადამიანის დნმ-ისთვის რომ შეგედარებინათ მკვლელობის იარაღზე აღმოჩენილი დნმ-ი მარტივად და სწრაფად, არ გამოვიდოდა ეგ ამბავი? ტრასტოლოგიური, დაქტილოსკოპიური, ფიზიკო-ტექნიკური კვლევების ჩატარებამდე?

მე არ ვარ პროფესიონალი იურისტი, მეტიც, არც მოყვარული იურისტი ვარ, მაგრამ მეც კი ვიცი, რომ მკვლელობის, ქურდობის, ყაჩაღობის შემთხვევაში, პირველ რიგში დაზარალებულის ახლობლების, მეგობრების სანაცნობო წრის გამოკვლევას და შესწავლას იწყებენ... თუ მეშლება, შემისწორეთ...

5 თვე და 5 დღე დაგჭირდათ დანაშაულის გასახსნელად... იმ დანაშაულის გასახსნელად, რომლის ჩადენის დროსაც, მკვლელმა ადგილზე ათეულობით გენეტიკური პროფილის კვალი დატოვა... იმ დანაშაულის გასახსნელად, რომელიც ჩაიდინა ოჯახის მეგობარმა, ქურდობისთვის, ყაჩაღობისთვის და მკვლელობისთვის ნასამართლევმა ბიჭმა... წარმოდგენაც არ მინდა, რა დრო დაგჭირდებათ, იმ დანაშაულის გამოსაძიებლად, რომელსაც ჩაიდენს მსხვერპლისთვის სრულიად უცხო, სუფთა წარსულის მქონე და ხელთათმანიანი ადამიანი, რომელიც არ დაგიტოვებთ ადგილზე თავისი გენეტიკური პროფილის კვალს...

როგორც ბრიფინგზე ითქვა, ამ ახალგაზრდა ბიჭმა დანით 29 ჭრილობა მიაყენა მეგობრის ცოლს... და მეგობრის მცირეწლოვან გოგონას კი 16 ჭრილობა... ეს არ იყო აფექტის მდგომარეობა, ეს არ იყო ეჭვიანობის ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა... მან მეგობრის ოჯახი ამოხოცა 7 ათასისათვის (ამ ამბის ირონია ის გახლავთ, რომ ფული მაინც ვერ იპოვნა)... ამოხოცა კარგი სიტყვაა, მოკვლა კიდევ უკეთესი სიტყვაა... მან ისინი აწამა... 29 ჭრილობა დედას და 16 ჭრილობა პატარა გოგონას... მან ისინი აწამა ფულის მისაღებად, მერე კი მშვიდად წაუკიდა ცეცხლი და კარი გაიხურა...

გამოგვიცხადეს, ეს დანაშაული 16-დან 20-წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებსო... მაგრამ „გიორგი ხუ“, რის „გიორგი ხუ“-ა თუ თავს არ მოისაწყლებს, არ აღიარებს და მინიმალურ სასჯელს არ მიიღებს...

მით უფრო, რომ ამის გამოცდილება უკვე აქვს...

ეს ბიჭი 27 წლისაა, უკვე მოასწრო სასჯელი მოეხადა ქურდობისთვის, ყაჩაღობისთვის, მკვლელობის მცდელობისთვის... მხოლოდ მკვლელობის მცდელობისთვის ადამიანებს 7 წელს მაინც უსჯიან თავისუფლების აღკვეთას და ქურდობა და ყაჩაღობაც რომ დავამატო, გამოდის აკვნიდან ფეხი პირდაპირ საკანში გადაუდგამს...

ნუ, ახლა, აკვანსა და საკანზე, რათქმაუნდა, სერიოზულად არ მითქვამს, მაგრამ ძალიან სერიოზულად ვკითხულობ, როდის მოასწრო ამ ბიჭმა ამდენი დანაშაულისთვის სასჯელის მოხდა? ეტყობა, მინიმალური სასჯელით დაკმაყოფილდნენ მოსამართლეები, ან ვადაზე ადრე გამოუშვეს, ან კარგი ადვოკატი ჰყავდა... არ ვიცი და ვერც გავარკვევ, სანამ გიორგის გვარი არ აქვს და „ხუ“-ა...

დანაშაული გახსნილია... მართალია 5 თვისა და 5 დღის შემდეგ, მართალია ათეულობით ძვირადღირებული ექსპერტიზის (რომელის თანხასაც ისევ ჩემი ქვეყნის ბიუჯეტი იხდის), ასეულობით მოწმის ჩვენებების საშუალებით, მაგრამ რაც მთავარია, გახსნილია...

სჯობს გვიან ვიდრე არასდროსო, გაგვიგია ყველას, მაგრამ არა ასეთ შემთხვევებზე... ინტენსიურადო? ღამე არ უნდა დაგეძინათ, სანამ 16 ჭრილობის საშუალებით გარდაცვლილი პატარა გოგონას მკვლელას არ იპოვნიდით... ინტენსიურად? არ უნდა გევახშმათ, სანამ იმ ადამიანს არ იპოვნიდთ, რომელმაც სასტიკად ნაწამები გოგონას ცხედარს ცეცხლი წაუკიდა... იქნებ, ეს ადამიანი, ზუსტად მაშინ, როცა ვახშმობდით ან გეძინათ სხვა გოგონას აწამებდა, კლავდა ან წვავდა? ინტენსიურად? აი, მე კვირაში ორი დღე დავდივარ სამსახურში, ფაქტიურად ინტენსიურად ყოველკვირეულად დავდივარ... თქვენ რა ინტენსივობით მუშაობთ, როცა ცხვირწინ გიტრიალებთ ყაჩაღობისთვის და მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი ადამიანი და მისი და დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი დნმ-ის შედარება არ მოგდით აზრად?

მე სამართლიანობა მინდა... მინდა, საზოგადოება ამ მკვლელობაზეც აღშფოთდეს... ამ მკვლელის საცვალიცა და თეთრეულიც გამოიტანონ ჭორიკნებმა დღის შუქზე... მინდა, ამ მკვლელობასაც უწოდოს კვირაში სამჯერ პროკურატურამ საზარელი, მინდა ეს მკვლელიც ისევე დაისაჯოს, როგორც სხვა მკვლელები კი არა, როგორც მაგდა პაპიძე, რადგან „გიორგი ხუ“-მაც განზრახ მკვლელობა ჩაიდინა დამამძიმებელი გარემოებებით... და საერთოდაც, მინდა არც ჩვენ დაგვტოვონ და არც თავად დარჩნენ ‘ხუ“ მდგომარეობაში და ბრალდებული გიორგი გვარით მოიხსენიოთ... სხვა შემთხვევაში, ჩავთვლი რომ სამართლიანობა დაირღვა...

დაე, ვცდებოდე, მაგრამ მგონია, ეს „ხუ“ ბატონი მინიმალურ სასჯელს მიიღებს...

თუმცა, დაველოდოთ სასამართლოს... მანამდე კი ველოდები პროკურატურას და საზოგადოებას... აკი, ასეთ საზარელ დანაშაულებზე პროკურატურას უყვარს დოკუმენტების გამოქვეყნება, განცხადებების გაკეთება... აკი, ასეთ მძიმე დანაშაულს მძაფრად აღიქვამს საზოგადოება და განიხილავს დაუსრულებლად...

ჰოდა, აჰა, პატივცემულო საზოგადოებავ, განიხილეთ ეს „ხუ“ ბიჭი, პატივსაცემო პროკურატურავ, დაგვიდეთ საქმის დოკუმეტები და სამართლიანო ნაფიცნო მსაჯულნო, გაასამართლეთ...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

მიწიერი სამოთხე, რომელიც შეიძლება ჯოჯოხეთზე უარესი იყოს...

1968 წელს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთერთი არქიტექტორი, ზ. ბჟეზინსკი, საუბრობდა რა ადამიანთა მასების მართვის აუცილებლობაზე, წერდა: „გაიზრდება პიროვნებაზე სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობები. მალე შესაძლებელი გახდება თითქმის უწყვეტი კონტროლის განხორციელება ყოველ მოქალაქეზე და მუდმივად განახლებადი კომპიუტერული ფაილდოსიეების წარმოება, რომლებიც, უბრალო ინფორმაციის გარდა, მოიცავენ ყველაზე კონფიდენციალურ ინფორმაციას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ქცევისა და სხვათა შესახებ... შესაბამის ორგანოებს კი ექნებათ ამ ფაილებთა ნმყისიერად მიღწევადობისშესაძლებლობა.ძალაუფლება იმათ ხელში მოექცევა, ვინც გააკონტროლებს ამ ინფორმაციას...“

ამერიკელმა მკვლევარმა ჯონ კელჰუნმა გასული საუკუნის 60-70 იან წლებში „მიწიერი სამოთხის“ კონცეფციის შემოწმება გადაწყვიტა და მოაწყო ექსპერიმენტთა სერია, რომელსაც „სამყარო“ შეარქვა. ექსპერიმენტის არსი, რომელიც თაგვებზე ჩაატარეს, მდგომარეობდა შემდეგში – ჯერ ააშენეს იდეალური საცხოვრებელი თაგვებისთვის – უზარმაზარი სივრცე. მასში მუდმივად ნარჩუნდებოდა მღრღნელებისთვის ყველაზე კომფორტაბელური ტემპერატურა 20 გრადუსი ცელსიუსით. „სამოთხე“ რეგულარულად მარაგდებოდა სუფთა სასმელი წყლით და ნარჩევი საკვებით. შიგნით ორგანიზებული იყო მრავალი მყუდრო და კომფორტაბელური კუთხე – ბუნაგები ფეხმძიმე დედლებისთვის ან საცხოვრებლები – მარტოხელა მამრებისთვის, თანაც ასარჩევად. ექსპერიმენტი თაგვების «სამოთხე» ოთხი წყვილი თაგვით დაიწყეს.

ასენიზატორების ჯგუფი წმენდდა მღრღნელების სკორეს და ნარჩენებს, ხოლო ექიმთა სპეციალური ჯგუფი აკვირდებოდა „სამოთხის“ ბინადართა ჯანმრთელობას, მკურნალობდა მათ სნეულებათა შემთხვევაში და აკონტროლებდა ცხოველთა რაოდენობას, რათა ყველას ყველაფერი ჭარბად ჰქონოდა.

მტაცებლებისა და ინფექციების გამოჩენა გამორიცხული იყო. „სამოთხე“ გათვლილი გახლდათ ერთდროულად ცხრა ათასი წრუწუნას უღრუბლო და კომფორტულ არსებობაზე, მაგრამ რეალურად კოლონიის მთელი ამ ხნის განმავლობაში იქ ცხოვრობდა მხოლოდ ორ ათასზე მეტი.

მაშ ასე, ექსპერიმენტი დაიწყო. პირველი მოსახლენი ოთხი მამალი და ოთხი დედალი პირველი შევიდა თაგვების სამფლობელოში. კელჰუნის გრადაციის თანახმად ეს იყო სტადია „ა“, ანუ – უცნობი ტერიტორიის ათვისების პერიოდი. მალე დადგა სტადია „ბ“ – ბინადრებმა შეაფასეს არსებობის ბრწყინვალე პირობები და აქტიურად იწყეს გამრავლება – თაგვების რაოდენობა ორმაგდებოდა ყოველი 55-ე დღეს.

მაგრამ ათი თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ადგილები ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი იყო, ხოლო წყალი და საკვები თავზე საყრელად, დადგა სტადია „ც“ – პოპულაციის ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა. ახლა თაგვების რაოდენობა ორმაგდებოდა ყოველ 145-ე დღეს. სტადია „ც“-ს დადგომის მომენტში „სამოთხეში“ ცხოვრობდა დაახლოებით 600 თაგვი.

მესამე სტადიაში (დაცემის დასაწყისში)“ სამოთხე“ წარმოადგენდა უკვე მკაფიოდ დაყოფილ იერარქიას. გაჩნდენ თაგვ-მბრძანებელნი, რომლებმაც საუკეთესო ადგილები დაიპყრეს კედლების გასწვრივ, და თაგვ-დევნილები, -მათ შუა ადგილისკენ მიერეკებოდნენ. დევნილები ჩამოძონძილებივით იყვნენ, გააჩნდათ ნაკაწრები და სისხლჩაქცევები – „თანამემამულენი“ მუდმივად ესხმოდნენ მათ თავს და ეს მიუხედავად იმისა, რომ წყალი და საკვები ჭარბათ ჰქონდათ, ასევე ჰყავდათ დედლები და მყუდრო ოთახები.

ექიმთა ძალისხმევით მღრღნელების სიცოცხლის ხანგრძლივობა მესამედით გახანგრძლივდა, ამასთან მხცოვანი თაგვები სულ უფრო და უფრო აგრესიულები ხდებოდნენ, სწორედ ისინი ახდენდნენ ახალგაზრდებზე თავდასხმის პროვოცირებას.

დედლებიც საკმაოდ შეიცვალნენ. მათ უარი თქვეს დაწყვილებაზე, მრავალი მათგანი კი უბრალოდ ჭამდა თავის ნაყოფს და თავს ძირითადი კოლონიიდან მოშორებით მდებარე საწოლარსა და თავშესაყარს აფარებდნენ, სადაც უკვე აღარავის ღებულობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „სამოთხე“ ჯერ ნახევრადაც კი არ იყო ავსებული, თაგვების პოპულაციამ რაოდენობის მხრივ კლება იწყო.

ამის შემდეგ კი დადგა სტადია „დ“ – სიკვდილის სტადია. ცოცხლად დარჩენილი ახალგაზრდა თაგვები მონებივით იქცეოდნენ, მათი ფსიქიკა დანგრეული იყო ხშირი თავდასხმებით. ჩვეულებრივ ისინი თავს მყუდრო და შორეულ ადგილებს აფარებდნენ, და აგრესიული მამალ-დედალი „მოხუცებისგან“ თავდაცვასაც კი არ ცდილობდნენ, ხოლო „მოხუცები“ ცდილობდნენ დაეპყროთ რაც შეიძლება მეტი ტერიტორია, რომელიც არსებითად არავის სჭირდებოდა.

დედლები არავის იკარებდნენ, რითაც პრაქტიკულად ეწინააღმდეგებოდნენ გამრავლებას. ჯერ კიდევ „დ“ სტადიაში ყოფნისას კოლონიაში განვითარდა მამალთაგვების ახალი პოპულაცია, რომლებსაც მეცნიერებმა „ლამაზები“ შეარქვეს.

ეს თაგვები მისდევდნენ ჰომოსექსუალიზმს, დასაქმებულნი იყვნენ მხოლოდ იმით, რომ ჭამდნენ, სვამდნენ, ეძინათ და საკუთარ ბეწვს ისუფთავებდნენ. მათ თავს არავინ ესხმოდა, მაგრამ ისინი სიცოცხლეში არანაირ აქტიურობას არ ავლენდნენ, არ იბრძოდნენ არც დედლების და არც ტერიტორიების მოსაპოვებლად. ძალიან მალე თაგვების „სამოთხეში“ მოსახლეობის უმეტესობას უკვე „ლამაზები“, ანუ მამათმავალი-მღრღნელები და „მარტოხელად და დამოუკიდებლად“ მცხოვრები დედლები შეადგენდნენ, რომლებსაც არ სურდათ გამრავლება.

„კოლონიის აღსასრულის“ ანუ ბოლო, „დ“ სტადიის დადგომისთვის თაგვების საშუალო ასაკი 776 დღეს წარმოადგენდა, ანუ ის 200 დღით ამეტებდა რეპროდუქტიული ასაკის ზედა ზღვარს. მოზარდეულის სიკვდილიანობა შეადგენდა 100 პროცენტს, ხოლო დაფეხმძიმებულობა უტოლდებოდა ნულოვან პროცენტს.

ამასთან, საკვებისა და სასმელის სიჭარბის მიუხედავად, გაიფურჩქნა კანიბალიზმი, მამლებს შორის პრაქტიკაში დამკვიდრდა ჰომოსექსუალიზმი, დაფეხმძიმებულ დედალთა გარკვეული რაოდენობა კი უარს ამბობდა თავის პირმშოთა გაზრდაზე და მათ უბრალოდ ხოცავდნენ. ექსპერიმენტის დაწყებიდან 1780-ე დღეს მოკვდა „სამოთხის“ უკანასკნელი ბინადარი.

ამ სამწუხარო აღსასრულამდე მცირე ხნით ადრე ჯონ კელჰუნმა კოლონიიდან ამოიყვანა „ლამაზი“ მამლების და „მარტოხელ და დამოუკიდებელი“ დედლების რამოდენიმე ჯგუფი და გადაასახლა ის სხვა „სამოთხეში“ ისეთივე იდეალური პირობებით, როგორიც წინა „სამოთხეში“ ჰქონდათ, ოღონდ ახალში ბევრად უფრო მეტი სივრცე იყო.

ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით ჯონ კელჰუნმა შექმნა ორი სიკვდილის თეორია. პირველი სიკვდილი – ეს არის სულის სიკვდილი, როდესაც უსაზღვრო რესურსებისდა მიუხედავად, ახალგაზრდებს არ შეუძლიათ იპოვონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში. „ლამაზი“ მამრები და „დამოუკიდებელი მარტოხელა“ მდედრები, კელჰუნის აზრით, პირდაპირი ანალოგიაა იმ ადამიანების, რომლებიც, სტრესისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში ცხოვრობენ, – ისინი უბრალოდ უარს ამბობენ ბრძოლაზე და საკუთარი მოდგმის გაგრძელებაზე.

მეტიც, სამუდამოდ თქვეს რა უარი ბრძოლაზე რისთვისაც გინდა იყოს, „ლამაზმანები“ ძალიან მალე კარგავენ ძლიერი ქცევის ყოველგვარ უნარს, ანუ კარგავენ მამაკაცურობას ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი გაგებით. ხოლო სულიერი სიკვდილის შემდეგ ძალიან მალე და გარდაუვალად დგება ფიზიკური სიკვდილი.

ჯონ კელჰუნმა ჩაატარა 25 ასეთი ექსპერიმენტი, და ყველა მათგანი ერთნაირად დასრულდა.

ის, რასაც ყოველთვის ელტვოდნენ „თავისუფალი ქვისმთლელები“, ჯერ-ჯერობით აუხდენელ ოცნებად რჩება და დარჩება ასეთად მართლმადიდებლური ესქატოლოგიისა და აპოკალიპტური მოვლენების ფონზე, მაგრამ დავსვათ შეკითხვა – რა მოხდება, მავანმა ელიტარულმა საზოგადოებებმა ამგვარ ოცნებას რომც მიაღწიონ? რას დაემსგავსება ეს საზოგადოება და იქნება თუ არა ის ბედნიერი?

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ოსმანთა იმპერიის სულთანთა ქართველი დედები

მიჰრიშაჰ სულთანი

ბეზმიალემ ვალიდე სულთანი

სწორედ ასეთ ქალს შეეძლო, ყოფილიყო ღირსეული მეუღლე, რომელსაც უნარი შესწევდა გაეგზიარებინა სულთანი არამარტო საწოლში, არამედ სახელმწიფოებრივ საქმეებშიც გაეწია დახმარება და რაც ყველაზე მთავარი იყო, გაეჩინა ტახტის ღირსეული მემკვიდრე, — თვლიდნენ ოსმანები. ყმაწვილ მთიელ ქალიშვილებზე ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული.

ქართველებს დიდი, შორიშორს განლაგებული მეტყველი თვალები აქვთ, თვალის ფორმა ნუშისებრი. წარბები — გრძელი, გამოყვანილი ბოლოებაპრეხილი. წამწამები კარგად გამოხატული. სახე ოვალური ან სამკუთხედი ფორმის, ყვრიმალები არც თუ ძალიან გამოკვეთილი, რაც სახეს სინაზეს ანიჭებს. ნიკაპი — მომრგვალებული. თვალები დასავლეთ საქართველოში ღია ფერის აქვთ, ცისფერიდან მწვანის სხვადასხვა ელფერით დასრულებული. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო შავრგვრემანები არიან, მუქი ყავისფერი და თაფლისფერი თვალებით. ნებისმიერი სიმაღლის ტიპური ქართველი ქალები ძვალწვრილნი არიან, განსაკუთრებით ეს მაღალი წარმომავლობის ადამიანებს ეხება, მათ მამაკაცებსაც კი თხელი, დახვეწილი ხელები და ფეხები აქვთ. ქალებს მკაფიოდ აქვთ გამოხატული წელი და მკერდი. მაღალ, გამხდარ ქალიშვილებსაც კი ყველაფერი თავის ადგილზე აქვთ.

გთავაზობთ ოსმანთა იმპერიის სამი სულთნის დედების შესახებ ინფორმაციებს.

მიჰრიშაჰ სულთანი, ცნობილია, როგორც გიურჯუ გიუელი (ქართველი მზეთუნახავი) — ოსმანთა სულთანის მუსტაფა III მეუღლე, სულთან სელიმ III-ის, ხასეკი სულთანის და ვალიდე სულთანის დედა.

მიჰრიშაჰ სულთანი 1745 წელს დაიბადა. დაბადების სახელი აგნესი. იყო ქართველი მღვდლის ქალიშვილი. 1760 წელს გახდა მუსტაფა III-ის მეუღლე.

1789 წელს, მას შემდეგ, რაც ტახტზე ავიდა მისი ვაჟი სელიმ III, იგი ვალიდე სულთანი გახდა. იგი მართავდა ქვეყანას დე-ფაქტო, როგორც რეგენტი 1789-დან 1805 წლამდე.

1790-იან წლებში დაიწყო სკოლებისა და მეჩეთების მშენებლობა. 1805 წელს აშენდა მიჰრიშაჰ ვალიდე სულთანის კომპლექსი. მიჰრიშაჰ სულთანი 1805 წელას გარდაიცვალა სტამბოლში. დაკრძალულია მიჰრიშაჰ ვალიდე სულთანის მავზოლეუმში.

მიჰრიშაჰი „მზეს“ ნიშნავს (ლიტ. ალერსი, სიყვარული, მოწყალება). მას მრავალი ლექსი მიეძღვნა.

ბეზმიალემ ვალიდე სულთანი — ოსმალეთის სულთანის მაჰმუდ II-ის მეუღლე, სულთან აბდულ-მეჯიდისა და ვალიდე სულთანის დედა.

შევკეფზა ვალიდე სულთანი

ბეზმიალემ სულთანი 1807 წელს დაიბადა. იყო ქართული წარმომავლობის. 1822 წელს ბეზმიალემი მაჰმუდს გაჰყვა ცოლად, ერთი წლის შემდეგ კი დაიბადა მისი ვაჟი, მომავალი სულთან აბდულ-მეჯიდი. 16 წლის ასაკში ავიდა იგი ტახტზე. თავად ბეზმიალემ სულთანი იმ პერიოდისთვის 32 წლის გახლდათ. ვიდრე მისი ვაჟი მართავდა ქვეყანას, 14წლის განმავლობაში იგი ვალიდე სულთანი იყო (1839-1853 წწ.). სულთან აბდულ-მეჯიდ I-ს ძალიან უყვარდა დედა და მის რჩევებს ითვალისწინებდა სახელმწიფო საქმეებშიც კი.

ბეზმიალემ სულთანი 1853 წლის 2 მაისს გარდაიცვალა დოლმაბახჩეს სასახლეში. დაკრძალეს მაჰმუდ II-ის გვერდით. 1855 წელს, დედის სხოსვნის საპატივცემულოდ აბდულ-მეჯიდმა ააგო ბეზმიალემ ვალიდე სულთანის სახელობის მეჩეთი.

როგორც სხვა სულთნების დედები, ბეზმიალემიც ქველმოქმედებით იყო დაკავებული.

სტამბოლში ტოპკანისა და სხვა რაიონებში ააგო შადრევნები.

1843 წელს ჩამოაყალიბა საქველმოქმედო ფონდი.

1850 წელს გახსნა სკოლა გოგონებისთვის და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

1845 წელს აიგო პირველი ხიდი ბოსფორის სრუტეზე.

შევკეფზა ვალიდე სულთანი — ოსმანთა სულთანის აბდულ-მეჯიდ I-ის მეუღლე, სულთან მურად V-ისა და ვალიდე სულთანის დედა.

შევკეფზა სულთანი 1820 წლის 12 დეკემბერს დაიბადა. იყო მეჰმედ ზაურუმისა და ჯემილე ხანიმის ქალიშვილი. ყოფილა მეგრული წარმომავლობის.

1839 წლის 1 აგვისტოს გახდა სულთან აბდულ-მეჯიდ I-ის მეუღლე.

1840 წლის 21 სექტემბერს ეყოლა შეჰზადე მურადი, 1842 წლის 20 ოქტომბერს გოგონა — ალიე-სულთანი.

1876 წელს მისი ვაჟიშვილის მურად V-ის მმართველობის პერიოდში იყო ვალიდე სულთანი.

გარდაიცვალა 1889 წელს. დაკრძალულია იენი ჯამიში.

ადამიანები ჯერ კიდევ 1,7 მილიონი წლის წინათ ავადდებოდნენ კიბოთი

„კაცობრიობის აკვანში“, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პალეონტოლოგებმა აღმოაჩნეს პროტოადამიანების ძვლები, რომლებიც იტანჯებოდნენ ფეხის ძვლებისა და ქუსლების კიბოთი, რაც კიდევ ერთხელ უარყოფს პალეოდიეტის სასარგებლო თვისებებს და ადასტურებს, რომ კიბო ჩვენი ევოლუციის თანამდევი იყო“, – საუბარია სამხრეთ აფრიკის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში.



როგორც გამოკვლევის თანაავტორმა, ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტის წარმომადგენლმა ედვარდ ოუდსმა განაცხადა: „თანამედროვე მედიცინა ამტკიცებს, რომ კიბო და სხვადასხვა სიმსივნეები ცხოვრების თანამედროვე სტილის და დაბინძურებული გარემოს პროდუქტებია. ჩვენმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ეს დაავადებები მილიონი წლების წინათ არსებობდა, ჯერ კიდევ პირველი ინდუსტრიული ქვეყნების გაჩენამდე“.

ოუდსმა და მისმა კოლეგებმა ეს აღმოჩენა გააკეთეს ეგრეთ წოდებულ კაცობრიობის აკვანში გათხრების შედეგად, რომელიც დანალექი ქანების განსაკუთრებულ კომპლექში ჩაატარეს იოჰანესბურგის მახლობლად, სადაც იპოვეს ბევრი პროტოადამიანის და მათი წინაპრების ჩონჩხების ნარჩენები, მათ შორის, ავსტრალოპიტეკი სედიბისა, რომელიც დღეისათვის Homo-ს წინაპრობის მთავარ კანდიდატად ითვლება.

ლი ბერგერის მიერ 2009 წელს უძველესი ჰომინიდების ამ სახეობის ჩონჩხის ნარჩენების აღმოჩენის შემდეგ, მეცნიერები განუწყვეტლივ აწარმოებენ გათხრებს მალაპას გამოქვაბულისა და სვარტკრანსის კომპლექსის ტერიტორიებზე, რათა ეპოვათ ავსტრალოპიკეტების ახალი ნარჩენები და დაედასტურებინათ ან უარეყოთ მათი პრეტენზია ადამიანის ევოლუციაში მთავარ „დაკარგულ“ რგოლობაზე.

ამის ნაცვლად, ბერგერის გუნდმა აქ სხვა რამ აღმოაჩინა – კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უძველესი კიბოს და კეთილთვისებიანი სიმსივნის კვალი, როცა გათხარეს ორი უცნობი ჰომინიდის, სავარაუდოდ, სედიბის ავსტრალოპიკეტების ნარჩენები, რომლებიც სვარტკრანსის გამოქვაბულში 1,7 და 1, 98 მლნ წლის წინათ ცხოვრობდნენ.

უფრო ადრინდელი ნარჩენები ეკუთვნოდა ახალგაზრდა მამრს, დაახლოებით 12-13 წლისას, რომელსაც ეგრეთწოდებული ოსტეიუდური ოსტეომა აწუხებდა – ძვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც თავად ძვალში ძვლის ქსოვილის არაკონტროლირებად ზრდას იწვევს.

ასვტრალოტეკის უფრო გვიანდელ ნარჩენებს უფრო სახიფათო დაავადების კვალი აჩნევია – ავთვისებიანი ოსტეოსარკომისა, რომელმაც ამ ინდივიდს ფეხები და ფეხების თითები დაუზიანა. სავარაუდოდ, ეს ძვლოვანი წარმონაქმნები უშლიდა ხელს პრიმატს სიარულის დროს და უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე გამოქვაბულის ადრინდელი მცხოვრების ოსტეომა. ამ სიმსივნის „პატრონის“ ასაკის და სქესის დადგენა არ მოხერხდა ნარჩენების ფრაგმენტულობის გამო.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, უძველეს ადამიანებში კიბოს არსებობის დამადასტურებელი აქამდე იყო ხორვატიის გამოქვაბულ კრაპინაში ნაპოვნი ნეანდერტალელების ნარჩენები, რომელთა ასაკი დაახლოებით 120 ათას წელს შეადგენდა.

ჩვენი გვარის უძველეს წარმომადგენლებში სიმსივნის არსებობა, ბერგერისა და მისი კოლეგების აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ამ დაავადებების არსებობა თანამედროვე ადამიანებში სულაც არ არის გამოწვეული ბუნების დაბინძურებით, ცხოვრების თანამედროვე სტილზე გადასვლით, საკვების თერმული დამუშავებით და უმ „პალეოდიეტაზე“ უარის თქმით.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

რა უთხრა შვილიშვილმა თენგიზ არჩვაძეს...

20 წლის წინათ

— აი, აქ შევიდეთ, ესეც აქ დავაწყოთ... ჩამოჯექი... — თენგიზ არჩვაძე არყიან ბოთლსა და ცოტაოდენ „შესაყოლებელს“ მაგიდაზე ალაგებს და მერე სინათლეს რთავს: — ბიჭოს, დენიც გვქონია, გაუმარჯოს თელასს!..

გარეთ ჭინჭყლი ამინდია, თოვს, ჩვენ „ძველი“ კინოსტუდიის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ოთახში ვართ, ელექტროენერგიის ჩართვამ უზნაძის „განწყობის თეორიაც“ აამუშავა და, ახლა, ცოტაოდენი არაყიც თუ წაგვეშველა, აღარაფერი გვიჭირს. მასპინძელი უკვე შეზარხოშებულია, კუშტი, კაეშნიანი სახე, დაძაგრული გამოხედვა, მალიმალ ალალი ღიმილით ეხსნება, ოღონდ გააჩნია, რას ჰყვება, რას იხსენებს...

— მოდი, ახლა თამადა მე ვიქნები, სადღეგრძელოებს ვიტყვი, თან რაღაცებს მოვყვები და შენ მერე, როგორც გინდა, ისე გამოიყენე... მოვრიგდით?!

— კი, ბატონო.

— აბა, ჩვენს შეხვედრას, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, რომელსაც ვერც ჟურნალისტობა გადაწონის და ვერც მსახიობობა! ხომ ასეა?! — გამომცდელად მიყურებს, ოდნავ მოწკურული თვალებით მბურღავს.

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, ძალიან კარგი!..

მერე ახლობლებს იხსენებს:

— ჩვენ რაჭველები ვართ. ისე, „ვორონცოვზე“ დავიბადე და გავიზარდე... მამაჩემი ჭიათურაში გაზეთის რედაქტორი იყო, ესე იგი, შენი კოლეგა... ორჯონიკიძე დასდევდა დასაჭერად. მეპურეებში ჩაჯდა და გადარჩა... რომ ვუთხარი, რატომ ჩაჯექი მეპურეებში-მეთქი, მაშინ შენ არ მეყოლებოდიო... გესმის, ვილენ? შენ არ მეყოლებოდიო!.. ჰოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ არ მეყოლებოდნენ ჩემი შვილიშვილები, ჩემი სიცოცხლეები?..

— რამდენი გყავს?

— სამი — ანუკა, მარიამი და ირინე... ამათზე მერე ვიტყვი, ჯერ მშობლებისა დავლიოთ!

— გაანათლოთ ღმერთმა!

— ჰო... 24-ში მამაჩემის 14 დედ-მამიშვილი შორაპანში დახვრიტეს, სისხლი ასხამდა თურმე ხის ვაგონებიდან... აქ ვინ მოგასწავლა?

— რა ვიცი, გეძებდი... თეატრშიც დავრეკე, მარნეულის ამბებზე ვისაუბრებთ-მეთქი...

— მარნეულში „სამშობლო“ დავდგით... სახელმწიფო თეატრი შეიქმნა... ნანა კვასხვაძემ დადგა, ნანა ბოკუჩავამ, განსაკუთრებით — ნათელა არველაძემ — ძალიან მოინდომეს... ნათელა მაგარი ქალია... სოლომონ ლიონინიძე ვითამაშე... ხმალი მაჩუქეს... სახლში ივანე ჯავახიშვილის 1923 წელს გამოცემული დიდი საქართველოს რუკა მაქვს კედელზე გაკრული... ერთხელ კინაღამ დამიჭირა კგბ-მ ამ რუკისთვის, მაგრამ არ ჩამოურთმევიათ... მივაკიდე ხმალი ამ რუკაზე და, ღმერთო დიდებულო, აღარ დაეტია იგი საქართველოს ახლანდელ საზღვრებში... აბა... „სამშობლო“ დავდგით ჩემს საორბელიანოში, ჩემს სამშვილდეში... დიდი საქმე გაკეთდა... მოდი, ჩვენს ბედუკულმართ სამშობლოს გაუმარჯოს!.. ეეე... დავიღალე, ყოველდღიურობამ დამღალა. 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა... მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან... ჭიქა ამიწევია...

— გიორგი შავგულიძესთან...

— მაშ... გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები... მოდი, ჩვენი წასული მეგობრების ხსოვნისა ვთქვათ!.. იცი, რა შვილიშვილები მყავს?.. ანუკამ საოცარი რამ მითხრა ერთხელ: ბაბუ, ისე მიყვარხარ, როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო... გესმის?! ამის თქმა არ გინდა?! როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო! მოდი, შვილიშვილებს გაუმარჯოს... იქნებ მაგათ მაინც არ იცხოვრონ სიცრუეში, ორპირობაში...

20 წლის შემდეგ

კეპი სახეს უფარავდა და, ლიფტიდან რომ გამოვიდა, კინაღამ ვერ ვიცანი...

— ხომ ხედავ, ზუსტად მოვედი... თორმეტ საათზე!.. — ხელს მართმევს და თვალებში შუქი უდგება.

— მობრძანდი, ბატონო თენგიზ! — რედაქციის დერეფანში აქეთ-იქიდან ესალმებიან, ცნობისმოყვარეობით შესცქერიან თენგიზ არჩვაძეს. შეიძლება ითქვას, რომ „ფორმაშია“, ენერგიული გამომეტყველებით ათვალიერებს ოთახში გამოფენილ სურათებს, ფოტორეპროდუქციებს.

— მაგარი იყო ლადო გრიგოლია, კარგად ვიცნობდი... დიდი მხატვარი იყო... ნახე, გრიგოლ ორბელიანი როგორ არის შესრულებული... „დაემხო ჩემი სამშობლო, საფლავს ჩავდივარ მწუხარი“... მერე ალექსანდრე ჭავჭავაძის ფოტორეპროდუქციაზე აჩერებს მზერას...

— ეკატერინე მეორის ნათლული იყო, წარმოგიდგენია?.. კახეთში, რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისას ფეხში დაჭრეს კახელებმა...

— რამდენჯერმე დაგირეკე, გასულია ქალაქიდანო...

— ჰოდა, აი, მოვედი!..

— საერთოდ, როგორ ცხოვრობ, ბატონო თენგიზ?!

— ღმერთმა დალოცოს ბიძინა ივანიშვილი... ხუთ სულს ვინახავ მისი წყალობით... ეეე,,, ეგ არი, რომ ჩემი ხალხის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ...

— ახლა, თენგიზ არჩვაძე მესტუმრა და თითო ჭიზით არ აღვნები, სადღეგრძელოებს ვიტყვი, თან რაღაცებს მოვყვები და შენ მერე, როგორც გინდა, ისე გამოიყენე... მოვრიგდით?!

— კი, ბატონო.

— აბა, ჩვენს შეხვედრას, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, რომელსაც ვერც ჟურნალისტობა გადაწონის და ვერც მსახიობობა! ხომ ასეა?! — გამომცდელად მიყურებს, ოდნავ მოწკურული თვალებით მბურღავს.

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, ძალიან კარგი!..

მერე ახლობლებს იხსენებს:

— ჩვენ რაჭველები ვართ. ისე, „ვორონცოვზე“ დავიბადე და გავიზარდე... მამაჩემი ჭიათურაში გაზეთის რედაქტორი იყო, ესე იგი, შენი კოლეგა... ორჯონიკიძე დასდევდა დასაჭერად. მეპურეებში ჩაჯდა და გადარჩა... რომ ვუთხარი, რატომ ჩაჯექი მეპურეებში-მეთქი, მაშინ შენ არ მეყოლებოდიო... გესმის, ვილენ? შენ არ მეყოლებოდიო!.. ჰოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ არ მეყოლებოდნენ ჩემი შვილიშვილები, ჩემი სიცოცხლეები?..

— რამდენი გყავს?

— სამი — ანუკა, მარიამი და ირინე... ამათზე მერე ვიტყვი, ჯერ მშობლებისა დავლიოთ!

— გაანათლოთ ღმერთმა!

— ჰო... 24-ში მამაჩემის 14 დედ-მამიშვილი შორაპანში დახვრიტეს, სისხლი ასხამდა თურმე ხის ვაგონებიდან... აქ ვინ მოგასწავლა?

— რა ვიცი, გეძებდი... თეატრშიც დავრეკე, მარნეულის ამბებზე ვისაუბრებთ-მეთქი...

— მარნეულში „სამშობლო“ დავდგით... სახელმწიფო თეატრი შეიქმნა... ნანა კვასხვაძემ დადგა, ნანა ბოკუჩავამ, განსაკუთრებით — ნათელა არველაძემ — ძალიან მოინდომეს... ნათელა მაგარი ქალია... სოლომონ ლიონინიძე ვითამაშე... ხმალი მაჩუქეს... სახლში ივანე ჯავახიშვილის 1923 წელს გამოცემული დიდი საქართველოს რუკა მაქვს კედელზე გაკრული... ერთხელ კინაღამ დამიჭირა კგბ-მ ამ რუკისთვის, მაგრამ არ ჩამოურთმევიათ... მივაკიდე ხმალი ამ რუკაზე და, ღმერთო დიდებულო, აღარ დაეტია იგი საქართველოს ახლანდელ საზღვრებში... აბა... „სამშობლო“ დავდგით ჩემს საორბელიანოში, ჩემს სამშვილდეში... დიდი საქმე გაკეთდა... მოდი, ჩვენს ბედუკულმართ სამშობლოს გაუმარჯოს!.. ეეე... დავიღალე, ყოველდღიურობამ დამღალა. 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა... მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან... ჭიქა ამიწევია...

— გიორგი შავგულიძესთან...

— მაშ... გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები... მოდი, ჩვენი წასული მეგობრების ხსოვნისა ვთქვათ!.. იცი, რა შვილიშვილები მყავს?.. ანუკამ საოცარი რამ მითხრა ერთხელ: ბაბუ, ისე მიყვარხარ, როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო... გესმის?! ამის თქმა არ გინდა?! როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო! მოდი, შვილიშვილებს გაუმარჯოს... იქნებ მაგათ მაინც არ იცხოვრონ სიცრუეში, ორპირობაში...

20 წლის შემდეგ

კეპი სახეს უფარავდა და, ლიფტიდან რომ გამოვიდა, კინაღამ ვერ ვიცანი...

— ხომ ხედავ, ზუსტად მოვედი... თორმეტ საათზე!.. — ხელს მართმევს და თვალებში შუქი უდგება.

— მობრძანდი, ბატონო თენგიზ! — რედაქციის დერეფანში აქეთ-იქიდან ესალმებიან, ცნობისმოყვარეობით შესცქერიან თენგიზ არჩვაძეს. შეიძლება ითქვას, რომ „ფორმაშია“, ენერგიული გამომეტყველებით ათვალიერებს ოთახში გამოფენილ სურათებს, ფოტორეპროდუქციებს.

— მაგარი იყო ლადო გრიგოლია, კარგად ვიცნობდი... დიდი მხატვარი იყო... ნახე, გრიგოლ ორბელიანი როგორ არის შესრულებული... „დაემხო ჩემი სამშობლო, საფლავს ჩავდივარ მწუხარი“... მერე ალექსანდრე ჭავჭავაძის ფოტორეპროდუქციაზე აჩერებს მზერას...

— ეკატერინე მეორის ნათლული იყო, წარმოგიდგენია?.. კახეთში, რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისას ფეხში დაჭრეს კახელებმა...

— რამდენჯერმე დაგირეკე, გასულია ქალაქიდანო...

— ჰოდა, აი, მოვედი!..

— საერთოდ, როგორ ცხოვრობ, ბატონო თენგიზ?!

— ღმერთმა დალოცოს ბიძინა ივანიშვილი... ხუთ სულს ვინახავ მისი წყალობით... ეეე,,, ეგ არი, რომ ჩემი ხალხის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ...

— ახლა, თენგიზ არჩვაძე მესტუმრა და თითო ჭიზით არ აღვნიშნოთ? შევიდეთ ჩვენს სასადილოში... თან ვისაუბროთ...

— შევიდეთ, რაც არის არის!... მე გპატიჟებ!..

— არა, ეგრე არ გამოვა, დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი!..

რედაქციის ორი თანამშრომელი გვიერთდება, მოგვიანებით ჯანსუღ ჩარკვიანიც შემოხმაურდა — გაუგია ჩვენი იქ ყოფნა. გადაკოცნა ძველი ძმაკაცი. მე არ მესმევა, თანაც, ძალიან მეჩქარება, მაგრამ თენგიზის სადღეგრძელოს მაინც დავლევო, თქვა და ჭიქა ასწია: „თენგიზ არჩვაძე რაინდი კაცია, ძმებო, ნაღდი კაცი, ნაღდი მამულიშვილი და მსახიობი... ეს დაამტკიცა მისმა არსებობამ, მისმა შემოქმედებამ... ასეთი კაცები აცოცხლებენ საქართველოს, გაუბზარავი, უმწიკვლო კაცები!...

დაგვემშვიდობა ბატონი ჯანსუღი, მებუფეტესთან მივიდა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მთელი ჩვენი სუფრა მან გადაიხადა.

... ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვსხედვართ, თენგიზი საინტერესო ამბებს გვიყვება. მერე ვდგებით, მე პირველ სართულამდე ვაცილებ და იქ გულთბილად ვემშვიდობებით ერთმანეთს.

ხოლო „საერთო გაზეთის“ დღევანდელი ნომრის ფურცლებზე ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობის მოფერებას თავისი მიზეზი აქვს — **თენგიზ არჩვაძე დღეს — 3 აგვისტოს 84 წლისა გახდა, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ!**

ვილენ მარდალეიშვილი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— **როგორ ხდება ვადების გამოთვლა სამოქალაქო სამართალში?**

— საინტერესო შეკითხვაა. თემა აქტუალურია, რადგან ბევრმა არ იცის ვადების საკითხი და უშვებს სერიოზულ სამართლებრივ შეცდომებს. ეს რომ არ მოხდეს, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მითითებულს:

-მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით — წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, — მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას,კვარტალი — სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე — თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ — თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად — თვის ბოლო დღე.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

* * *

— **მაქვს სოფელში დიდი კაკლის ხეივანი. მეზობელი, რომლის ბაღის ტერიტორიაზე გადადის ჩემი კაკლების ტოტები და, შესაბამისად, ნაყოფიც, მედავება ამ ნაყოფს. თუ ნაყოფს არ მივცემ, მემუქრება ტოტების შეჭრით. რამდენად სამართლიანია მისი პრეტენზია?**

— მისი პრეტენზიები სამართლიანია. დაგიკონკრეტებთ:

-მუხლი 178. მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლება ნაყოფზე

1. თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად.

2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები, ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა.

* * *

— **მოვალემ გადამიცილა გასესხებული თანხის გადახდის ვადას. შემიძლია თუ არა გადაცილებული დღეებისათვის მოვთხოვო პროცენტებით ან პროცენტიდან პროცენტის გადახდა?**

- დიახ, შეგიძლიათ, თუ ეს საკითხი განხილულ იყო ხელშეკრულების დადებისას და და აღნიშნული მითითებულია ამ ხელშეკრულებაში. დაგიკონკრეტებთ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით:

მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საცხენოსნო კლუბი „ხარება“

ივნისში, სამეგრელოს რეგიონმა, სენაკში, საქართველოს მასშტაბით გამართულ „მარულა 2016“ უმასპინძლა, სადაც შეჯიბრებები ჩატარდა „ცხენოსნობის ტრადიციულ სახეობებში“, როგორიცაა მარულა, ცხენბურთი, კონკური, ისინდი.

განსაკუთრებული წარმატებით იასპარეზა ზუგდიდის საცხენოსნო კლუბმა „ხარებამ“. I-II III-IV საპრიზო ადილები ამ კლუბის მხედრებმა ღირსეულად მოიპოვეს.

კლუბი „ხარება“ სულ სამი წლისაა, თუმცა ოფიციალური რეგისტრაციით ზუსტად წლის გახდა გიორგობაზე - 6 მაისს. მართალია, ცხენსაშენი ტაძართან მდებარეობს, მაგრამ როგორც მამა იაკობი ამბობს, მხოლოდ საკუთარი სახსრებით მოაწყო, რომლისთვისაც საცხოვრებელი ბინა თბილისში და სოფელ კოკში საკარმიდამო ნაკვეთი გაყიდა.

კლუბს 15-მდე ცხენი ყავს: ინგლისური სუფთა სისხლის 8 ულაყი, (რომლითგანაც 3 ნაჩუქარია), გერმანული, ყაბარდოული და ჩვენებური სპორტული ცხენები, რომლებიც მარნეულთან ახლოს მდებარე „ყულარის“ ცხენსაშენში შეიძინეს. ჰყავთ კვიცებიც. მათ გამოკვებას წლიურად სულ ცოტა 100 000 ლარი სჭირდება, თურმე, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ხარჯებზე, როგორიცაა ვეტექიმის, მწვრთნელების, თავლის მომვლელების, მხედრების ხელფასები. ცნობისთვის, კლუბში მომუშავე არცერთი პერსონალი ხელფასს არ ღებულობს და მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ეწევა ამ საქმიანობას.

მამა იაკობმა გაგვაცნო კლუბის მიზნები და ამოცანები, ბიზნეს- გეგმა, თუ პროექტი, რომელიც ზუგდიდის ხელისუფლებას წარუდგინეს თავის დროზე. სიტყვიერი მხარდაჭერა მიიღეს, ფინანსური კი ჯერ-ჯერობით ვერა, თუ არ ჩავთვლით იმ შენობით სარგებლობის უფლებას, სადაც ცხენსაშენი და საზაფხულო თავლაა გახსნილი და რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გადასცა უვადო სარგებლობისთვის.

მამა იაკობი:

„ჩვენს კლუბს საცხენოსნო სპორტის აღორძინების გარდა, ერთი დიდი მიზანიცა აქვს: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მკურნალობა- რეაბილიტაცია. ორიენტირებული ვართ ისეთი ავადმყოფობების მკურნალობაზე, როგორიცაა: ბავშვთა ცერებრალური დამბლა, ყურადღების დეფიციტი, სქოლიოზი - საწყის ეტაპზე, სენსორული დარღვევები, გაფანტული სკლეროზი, ნევროზი, გულის იშემიური დაავადება და სხვა. ჩვენთან მკურნალობა არ ხდება ექიმის კონსულტაციისა და რეკომენდაციის გარეშე. ძალიან ბევრი, ასეთი ბავშვის მშობელი გვიკავშირდება და ჩვენც ყოველგვარი საფასურის გარეშე ვეხმარებით. ქველმოქმედება ჩვენი ეკლესიისა და კლუბის სახელით, ჩვენთვის მთავარია და არასოდეს დავიზარებთ, თუმცა ამ კეთილი საქმის კეთებას, მოხალისეობის გარდა კლუბის ინფრასტრუქტურის გამართვა და კეთილმოწყობა სჭირდება. დღეისთვის აქ ოცამდე ბავშვი მკურნალობს, უკეთეს პირობებში კი გაცილებით მეტისთვის შეიძლება მომსახურების გაწევა“.

ცხენებს განსაკუთრებული სიხარული კლუბში გაწევრიანებულ მოზარდებისთვის მოაქვს, რომლებსაც მხედრულ თვისებებში წვრთნიან, სპორტის ოსტატები ცხენოსნობაში. ყველაზე პატარა მხედარი ჟანა შონიაა. ის სულ 12 წლისაა, მაგრამ რამდენიმე შეჯიბრებაში უკვე მიუღია მონაწილეობა. სენაკში კი საპრიზო ადგილის გამარჯვებულიც გამხდარა.

მამა იაკობი:

რაოდენ სამწუხაროა, რომ ძველი იპოდრომი რუხში განადგურდა. არა მგონია, რეალურად მოხერხდეს იმ დონის ჰიპოდრომის გაკეთება ზუგდიდში, ახლო ხანებში... მე რასაც ვაკეთებ, ბიზნესი არ არის. ესაა ბავშვობის სიყვარულს (ცხენით გატაცება) პლიუს ქველმოქმედების სურვილი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ეს ქველმოქმედება და ცხენის სიყვარული ძალიან ძვირი „ფუფუნებაა“. ალბათ, მომიწევს მანქანაც გავყიდო, მაგრამ არაფერს ვნანობ. ესაა გზა, რომელიც ადამიანებისა და ქვეყნის, ტრადიციების სიყვარულზე გადის. „ხარების“ მნიშვნელობა ხომ ბიბლიურადაც და შინაარსობრივადაც, ადამიანების გახარებაა. ჩვენ გვინდა გავახაროთ ადამიანები და დიდად მადლიერი დავრჩებით, თუ ხელისუფლებაც „წაგვეხმარება“ ამ მიზნის შესრულებაში.

ცხენი მარტო მარათონში გამარჯვებული საპრიზო ადგილები კი არა ცხოვრების ჯანსაღი წესია, ახალი თაობის სწორი ხედვა და ჯანმრთელობაა“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელისუფლებას სწორადა აქვს „აქცენტები აღებული“ ტრადიციების აღდგენა - განვითარებაზე, რისი მაგალითიც გახლდათ „მარულა 2016“, მაშინ საცხენოსნო კლუბი „ხარება“ მათი ერთერთი ძლიერი დასაყრდენი უნდა გახდეს და იზრუნოს მისი შემდგომი გაფართოებისთვის.

სამეგრელო, ზუგდიდი, დიდ იმედებს ამყარებს ამ კლუბზე. მათ ჯერათ, რომ კვლავ დაიბრუნებენ იმ წარმატებებს, რასაც საცხენოსნო სპორტში ფლობდნენ გასულ საუკუნეში.

ფატი ნაჭყებია

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com